

არტანუჯის წყაროები

6



BU KİTAP T.C. BAŞBAKANLIK TÜRK İŞBİRLİĞİ VE KALKINMA İDARESİ
BAŞKANLIĞI (TİKA) MADDİ DESTEĞİ İLE BASTIRILMIŞTIR

წიგნი დაბეჭდილია თურქეთის თანამშრომლობისა და აღორძინების
სააგენტოს (TİKA) ფინანსური ხელშეწყობით

სერიის მთავარი რედაქტორი

ბუბა კუდავა

სერიის სარედაქციო კოლეგია

ეთერ ბაიდოშვილი, თამარ გეგია, შალვა გლოველი,
ნიკო გურგენიძე, ლევან თაქთაქიშვილი, გიორგი კალანდია,
ბონდო კუპატაძე, ნინო მინიშვილი, გორა საითიძე,
თეა ქართველიშვილი, მაია შაორშაძე, ნესტან ჯიოევი,
თემო ჯოჯუა

ISBN 99940-11-45-6 (სერიის)

ISBN 99940-55-05-4 (აბუბექრ ბინ აბდულაპი, „გამარჯვებათა ნივნი“)

© გამომცემლობა არტანუჯი, 2006.

აბუბაქრ ბინ აბდულაჰი

გამარჯვებათა წიგნი

თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, ¹
შესავლითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა
მარინე ილურიძემ



ნაშრომში წარმოდგენილია XVI საუკუნის ოსმალთა ავტორის სოლაქ აბუბექრ ბინ აბდულაჰის თხზულების, „გამარჯვებათა წიგნის“, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებით და საძიებლებით. ტექსტი დადგენილია პარიზული და ვენური ნუსხების მიხედვით.

ავტორი მონაწილეა 1578-1580 წლებში საქართველოში, შირვანსა და დაღესტანში ოსმალთა შემოსევისა და ლაღა მუსტაფა ფაშას მეთაურობით. წყაროს მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანით ბევრი საყურადღებო ცნობით მდიდრდება და ივსება XVI საუკუნის 70-იანი წლების როგორც საქართველოს, ისე კავკასიისა და თურქეთის ისტორიის საკითხები.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ცისანა აბულაძე

რეცენზენტები: პროფ. მიხეილ სვანიძე
პროფ. ნოდარ ასათიანი

EBUBEKİR BİN ABDULLAH

GAZÂVATNÂME

**Metni, giriři, Gürcüce çeviri ile notları
hazırlayan Dr. Marine İluridze**

Bu kitapta 1578-1580 yıllarında Lala Mustafa Paşa başbuğunda Osmanlılar tarafından Gürcistan, Şirvan ve Dağıstanda yapılmış seferlere katılan Osmanlı tarihçisi Solak Ebubekir bin Abdullah'ın "Gazâvatnâme'sinin" Türkçe metni, Gürcüce çeviri, girişi ve notları sunulmuştur.

Redaktörü

Prof. Dr. Tsisana Abuladze

Eleştirmenler:

Prof. Dr. Mikheil Svanidze

Prof. Dr. Nodar Asatiani

შესავალი

XVI საუკუნის ოსმალთა ისტორიკოსის სოლაქ აბუბექრ ბინ აბდულაჰის თხზულებაში „გამარჯვებათა წიგნი“, აღწერილია ოსმალთა ლაშქრობები კავკასიის ქვეყნებში 1578-1580 წლებში.

აბუბექრის ბიოგრაფიიდან ვიცით მხოლოდ ის, რასაც თავის თხზულებაში წერს, კერძოდ, იგი მარცხენა ულუფეჯების წევრი იყო. 1579 წელს განჯისათვის გამართულ ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილა: „ჩვენს თავზე ბევრი უბედურება დატრიალდა. ყველაფერი ეს რომ დაწვრილებით გადმოვცე, ამისთვის უამრავი წიგნი იქნება საჭირო, ამიტომ ამბავს აღარ გავაგრძელებ. დაახლოებით ერთი წელი სპარსეთის ქვეყანაში ტყვედ ვიყავი, შემდეგ უზენაესმა ღმერთმა გადმომხედა, სამ მეგობართან ერთად სამოსი გამოვიცვალე და რუმის ქვეყანაში დავბრუნდი“ – წერს იგი. ტყვედ ჩავარდნილი აბუბექრი თავრიზსა და ყაზვინში წაუყვანიათ, გაქცევის შემდეგ კი ჯერ ყარსში მისულა და მხოლოდ 1582 წელს დაბრუნებულა სტამბოლში სარდალ სინან ფაშასთან ერთად.¹

აბუბექრ ბინ აბდულაჰის „გამარჯვებათა წიგნის“ სამი ნუსხა არსებობს. ისინი დაცულია სტამბოლის, პარიზისა და ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკებში და შესაბამისად აღწერილია ა. ს. ლევინდის, ე. ბლომესა და გ. ფლუგელის კატალოგებში.²

¹ F. M. Kurzioğlu, Osmanlıların Kafkas Ellerini Fethi (1451-1590), Ankara, 1976, გვ. 399.

² Ağâh Sırrı Levend, Gazavat nameler ve Mihaloğlu Ali Beyin Gazavat namesi, Ankara, 1956, გვ. 87; იხ. ასევე: İstanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Kataloğu, İstanbul, 1944, გვ. 143; ამ ნუსხას იყენებენ თავიანთ შრომებში თანამედროვე თურქი ისტორიკოსები: ი. დანიშმენდი, ბ. ქუთუქოღლუ და ფ. ქირზიოღლუ, მხოლოდ ი. დანიშმენდი ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზებით აბუბექრის თხზულების ქრონოლოგიურ ჩარჩოს 1615-1634/35 წლებით საზღვრავს, იხ. İ. H. Danişmend, İzahlı Osmanlı Tarihi Kronolo-

ამ სამი ნუსხიდან პარიზული ავტოგრაფია, კოლოფონში სრულადაა მოცემული ავტორის ვინაობა: *ألف الحقيير ابو بكر بن* – ავტორი მწირი აბუბექრი აბდულაჰის ძე, მარცხენა ულუფეჯიების წევრი. ა. ლევენდი ავტოგრაფად მიიჩნევს სტამბოლურ ნუსხასაც,³ ვენურ ნუსხაში კი ავტორი საერთოდ არ არის დასახელებული. ი. ჰამერს ვენური ნუსხის ავტორად იბრაჰიმ რაჰიმზადე ჩავუში მიაჩნია.⁴ ამის საფუძველი შემდეგი უნდა იყოს. ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულია „თავრიზის დაპყრობის წიგნი“,⁵ რომელსაც ბოლოში მინერილი აქვს ავტორის ვინაობა – „მონა რაჰიმზადე ჩავუში, სულთნის კარის შიკრიკი“. მისი და „გამარჯვებათა წიგნის“ ხელწერა ერთი და იგივეა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ორივე თხზულება ერთი პირის მიერაა გადაწერილი. გარდა ამისა, იმ კრებულში, რომელშიც „თავრიზის დაპყრობის წიგნია“ შესული, არის კიდევ „დერბენდიდან ოსმან ფაშას მიერ ივაზ ეფენდისადმი (რუმელიის ყადიასქერი) გაგზავნილი წერილის პირი“.⁶ ორივე თხზულება აბუბექრის „გამარჯვებათა წიგნის“ მსგავსად ოსმალო სარდალ ოსმან ფაშას შეეხება. ყოველივე ამან, ალბათ, განსაზღვრა ის, რომ ი. ჰამერმა „გამარჯვებათა წიგნის“ ავტორადაც რაჰიმზადე მიიჩნია. ი. ჰამერისეულ თვალსაზრისს რაჰიმზადეს ავტორობის თაობაზე გ. ფლუგელი, სავსებით მართებულად, ეჭვის ქვეშ აყენებს. მისი აზრით „არც ხელნაწერი და არც სხვა ცნობები არ შეიცავენ ამ მოსაზრების დამამტკიცებელ საბუთებს“.⁷ ა. ლევ-

jisi, ტ. 3, Istanbul, 1961, გვ. 699; B. Kütükoğlu, Osmanlı-Iran sıyası Münasibetleri, 1, 1578-1590, Istanbul, 1962, გვ. IX; F. Kırzoğlu, დასახ. ნაშრომი, გვ. 399; E. Blochet, Catalogue des manuscrits turcs, ტ. 2, Paris, 1932, Supplement, № 123; ამ ნუსხის ფოტოპირების მიღებაში დიდი დახმარება გაგვინია ქალბატონმა ელენე მეტრეველმა; G. Flügel, Arabischen, persischen und türkischen Handschriften kaiserlich-königlichen Hofbibliothek, ტ. 2, Wien, 1865, გვ. 237, № 1016; ვენური ნუსხის ფოტოპირები სამუშაოდ დაგვითმო ქალბატონმა ცისანა აბულაძემ.

³ A. Levend, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

⁴ J. Hammer, Geschichte des Osmanischen Reichs, ტ. 9, Wien, 1833, გვ. 204.

⁵ G. Flügel, დასახ. კატალოგი, გვ. 239, № 1018.

⁶ იქვე.

⁷ იქვე, გვ. 237.

ენდს პარიზული და ვენური ნუსხა სხვადასხვა თხზულებად მი-
აჩნია. ვენურ ნუსხას იგი რატომღაც რაჰიმზადეს „განჯის და-
პყრობის ნიგნის“ ნაწილად მიიჩნევს.⁸ თურქი მეცნიერი იუნუს
ზეირეჯი, რომელმაც წყარო 2001 წელს გამოსცა, თვლის, რომ
წყაროს ავტორი უცნობია.⁹ ამის მიზეზი ისაა, რომ მას ზემო-
ჩამოთვლილი სამი ნუსხიდან მხოლოდ ვენური ნუსხით უსარგე-
ბლია, რომელშიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავტორი მითითე-
ბული არაა.

აქვე შევნიშნავთ, რომ რაჰიმზადეს ზემოხსენებული
„თავრიზის დაპყრობის ნიგნი“ (13 გვერდს მოიცავს) შესაძლოა
აბუბექრს ეკუთვნოდეს. თხზულების ბოლოში მითითებულია
ავტორის ვინაობა شمس الدين راجي – რაჰიმზადე ჩაეუში, მა-
გრამ გამორიცხული არაა, იგი კოპისტის მიერ იყოს მინერილი.
თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში რაჰიმზადეს მხ-
ოლოდ სამი თხზულებაა ცნობილი: 1. „მისი უდიდებულესობა
სულთან მურად-ხანის გამარჯვების ნიგნი, 2. „განჯის დაპყრობ-
ის ნიგნი და 3. „მურად III-ის ნალკოტის გაუშლელი ვარდი.“¹⁰ ამ
უკანასკნელში, ისევე, როგორც „თავრიზის დაპყრობის ნიგნი“,
აღწერილია 1585 წელს ოსმან ფაშას მიერ თავრიზის დაპყრობა.
საეჭვოა, რომ რაჰიმზადეს ერთი ფაქტის შესახებ ორი თხზულე-
ბა შეედგინა და რაც მთავარია, „თავრიზის დაპყრობის ნიგნისა“
და „გამარჯვებათა ნიგნის“ ერთმანეთთან შედარებისას აღ-
მოჩნდა, რომ ორივე თხზულებას საერთო აქვს წერის მანერა და
ლექსიკა. ხშირ შემთხვევაში მეორდება ერთი და იგივე ან ძალიან
მსგავსი ფრაზები და წინადადებები, მაგ.,

⁸ A. Levend, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

⁹ Yunus Zeyrek, Tarih-i Osman Paşa, Ankara, 2001, გვ. 11.

¹⁰ İ. Danişmend, დასახ. ნაშრომი, გვ. 694; B. Küçükoglu, დასახ. ნაშრომი,
გვ. X; F. Kurzoğlu, დასახ. ნაშრომი, გვ. 399; A. Levend, დასახ. ნაშრომი,
გვ. 89, 90; F. E. Karatay, Topkapı Sarayı Müzesi Kütüphanesi, Türkçe Yazmalar
Katalogu, ტ. I, İstanbul, 1961, გვ. 233, 234.

اب هواسی معتدل ولا يتدر و
باغ و باغچهسی دخی وارد
წყლით და ჰავით ზომიერი
ვილაიეთია და ბალ-ვენახებიც
აქვს.

شهر مزبورک باغ و باغچه و اب
و هواسی بر مرتبه دلکشادر
აღნიშნული ქალაქის ბალ-ვე-
ნახები, წყალი და ჰავა მშვე-
ნიერია.

با شلرینه اعلا ابلا قلر و سورغوچلر
صوقوب

თავებზე ქულები და ჯილები
ჩამოაცვეს.

سنان پاشا حضرتلرینک باشنه بر
صورغوچ و سایر بکله ابلا قلر
صوقلوب

სინან ფაშას უმაღლესობას
თავზე ჯილა და სხვა ბეგებს
ქულები ჩამოაცვეს.

ایکی عسکر بربرندن آیریلوب
ორი ლაშქარი ერთმანეთს მოს-
ცილდა.

ایکی عسکر بربرندن آیریلوب
ორი ლაშქარი ერთმანეთს მოს-
ცილდა.

الا یلرن بغلا یوب صافلرین دوزوب
რიგებად და მწკრივებად დაან-
ყო.

الا یلرن بغلا یوب صافلرین دوزوب
რიგებად და მწკრივებად დაან-
ყო.

مال و مناللرین یغما و تالا ن ایدوب
მათი ავლადიდება დაარბია და
გაძარცვა.

مال و غنائم یغما و تالا ن ایدوب
ავლადიდება დაარბია და გაძ-
არცვა.

მსგავსმა მაგალითებმა გვაფიქრებინა, რომ „თავრიზის დაპყ-
რობის წიგნის“ ავტორადაც შესაძლოა აბუბექრი ვიგულვოთ.

ფ. ქირზიოღლუს და ბ. ქუთუქოღლუს აბუბექრის თხზულების
სათაურად მოაქვთ ama ba'd-ის მომდევნო წინადადება: “Şark se-
ferlerinde Sürhser ile vâki olan ahvâlleri ve Şirvanda Osman Paşa ile
Sürhserin muhârebelerin beyan eder” – „აღმოსავლეთის ლაშქრო-
ბებში ყიზილბაშებთან მომხდარი ამბებისა და შირვანში ოსმან
ფაშასა და ყიზილბაშებს შორის მომხდარი ბრძოლების შესახებ

მოგვიტხრობს". ბ. ქუთუქოღლუ მეტწილად შემოკლებულ ვარიანტს "Şark seferleri" – „აღმოსავლეთის ლაშქრობებს“ ხმარობს.¹¹ ა. ლევენდი "Özdemir oğlu Osman Paşanın Dâğıstân ve Şirvân seferleri Tarihçesi" – „ოზდემიროღლუ ოსმან ფაშას მიერ დაღესტანში და შირვანში გამართული ბრძოლების ისტორიას“,¹² ი. ჰამერი და გ. ფლუგელი კი თხზულებას „سار ساسان عثمان“ – „ოსმან ფაშას ისტორიას“ უწოდებენ.¹³ ასევეა დასათაურებული ი. ზეირეჯის მიერ გამოცემული თხზულებაც. მსგავს დასათაურებას ვხვდებით თვით პარიზული ნუსხის ტექსტშიც. I ბ-ზე არატექსტიკისეული ხელით მიწერილია: **تواریخی عثمان ساسان برای امور قیو حاکمای عجیبه** – „ოსმან ფაშას ისტორია დერბენდის საკვირველი ამბის შესახებ“. ვფიქრობთ, თხზულების ი. ჰამერისეული დასათაურება სიზუსტეს მოკლებულია. გასაკვირი არაა, რომ საგანგებოდ აღენერათ ცხოვრება და მოღვაწეობა ისეთი ცნობილი სარდლისა, რომლის სახელი და დიდება მე-17 საუკუნეშიც ახსოვდათ,¹⁴ მით უფრო, რომ ცნობილია რიგი თხზულებებისა, რომელთა სათაურებშიც ოზდემიროღლუ ოსმან ფაშას სახელი ფიგურირებს, ესენია: ზემოდასახელებული „დერბენდიდან ოსმან ფაშას მიერ ივაზ ეფენდისადმი გაგზავნილი წერილის პირი“, რომლის სათაურად ა. ლევენდს "Osman Paşanın Gürcistan seferi" – „ოსმან ფაშას ლაშქრობა საქართველოში“ მოაქვს.¹⁵ აღსანიშნავია ასევე Larendeli Vucûdî Mehmed b. Abdül Aziz-ის "Gazavat-i Özdemiroğlu

¹¹ F. Kırzoğlu, დასახ. ნაშრომი, გვ. 399; B. Küttükoğlu, დასახ. ნაშრომი, გვ. IX.

¹² A. Levend, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

¹³ J. Hammer, დასახ. ნაშრომი, გვ. 204; G. Flügel, დასახ. კატალოგი, გვ. 237.

¹⁴ შტრ. სცია, ფონდი 1453, № 8, ოსმალეთის სულთანის ოსმან II-ის (1618-1622) სიგელი, გაგზავნილი დაღესტნის მმართველ იბრაჰიმისადმი. სიგელში სულთანი იბრაჰიმს მოაგონებს, რომ მისმა მამამ ლაზი ბეგმა 1578 წლის ლაშქრობის დროს დიდი სამსახური გაუწია დაღესტანში მყოფ სახელოვან და ძღვევამოსილ ოსმან ფაშას და თავად მასაც, როგორც სუნიტს, ოსმალეთისადმი მორჩილება და თანადგომა მართებს.

¹⁵ A. Levend, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

Osman Paşa" - ოზდემიროღლუ ოსმან ფაშას საღვთო ომი",¹⁶ Taliki-zade Subhi Çelebi-ს "غزوات عثمان پاشا" - „ოსმან ფაშას საღვთო ომი“ (თხზულებაში აღწერილია ოსმან ფაშას ლაშქრობა ერევანზე),¹⁷ Hüseyin bin Mehmed-ის "Gazavât-i Özdemiroğlu Osman Paşa" - „ოსმან ფაშას საღვთო ომი“.¹⁸ ც. აბულაძემ უნგრეთის აკადემიის ბიბლიოთეკაში მოიძია ხელნაწერი (Tör. 176), რომლის დასაწყისში ტექსტისგან განსხვავებული ხელით მიწერილია შემდეგი სათაური: فتوح شروان و قبو دمور بدست مصطفى پاشا - „აოზდემორ აოღლი ოსმან პაშა ხსამ ბიკ ბრელ ოსმანის მიერ დაწერილია“ - „შირვანსა და დემურკაფუში მუსტაფა ფაშასა და ოზდემიროღლუ ოსმან ფაშას გამარჯვებათა ისტორია“. როგორც ვხედავთ, ზემოდასახელებული ზოგიერთი თხზულების სათაურში ნახსენებია როგორც ოსმან ფაშა, ასევე სიტყვა - ისტორია, მაგრამ ისტორია არა ოსმან ფაშასი, არამედ ოსმან ფაშას მიერ ამა თუ იმ ქვეყნის დაპყრობის ისტორია, ამდენად, ჩვენს მიერ გამოთქმული ეჭვი აბუბექრის თხზულების ი. ჰამერისეული დასათაურების უზუსტობაში, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, მით უფრო, რომ თხზულების „ოსმან ფაშას ისტორიად“ დასათაურების შემთხვევაში იგი უნდა მთავრდებოდეს 1585 წლით, ოსმან ფაშას თავრიზში გარდაცვალებით. თხზულებაში ოსმან ფაშასთან დაკავშირებული ბოლო თარიღი 1579 წელია, როცა იგი შირვანში ყირიმის ხან მეჰმედ გირეის შეხვდა. თუ როგორ წარიმართა მისი ცხოვრება 1579-1585 წლებს შორის, ამის შესახებ ავტორი არას გვეუბნება. თხზულება მთავრდება 1580 წლით, მესამე ვეზირის, სინან ფაშას ჯერ აღმოსავლეთის ლაშქრობის მთავარსარდალად, შემდეგ კი დიდვეზირად დანიშნებით. როგორც ვხედავთ, თხზულებაში ოსმან ფაშას ბიოგრაფიიდან მხოლოდ ერთი პერიოდი წარმოდგენილი, კერძოდ, 1578-1579 წლები. თავად აბუბექრ ბინ აბდულაჰი თავის თხზულებას „سلسله“ - „ტრაქტატად“ და

¹⁶ იქვე, გვ. 89; F. Babinger, Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre werke, Leipzig, 1927, გვ. 144; Bursalı Mehmed Tahir, Osmanlı Müellifleri, ტ. III, გვ. 158; თხზულება დღეისათვის დაკარგულია.

¹⁷ F. Karatay, დასახ. კატალოგი, ტ. I, გვ. 232, 233.

¹⁸ F. Kurzioğlu, დასახ. ნაშრომი, გვ. 399.

„غزوات امام“ - „გამარჯვებათა ნიგნად“ იხსენიებს. ჩვენ უფრო მიზანშეწონილად გვეჩვენება თხზულების „გამარჯვებათა ნიგნად“ დასათაურება.

პარიზული ნუსხა ავტორს 1582 წელს, სტამბოლური კი ა. ლევენდის მიხედვით 1584 წელს შეუდგენია.¹⁹ გამოდის, რომ პარიზული კი არ არის სტამბოლურის შემოკლებული, როგორც თურქი მეცნიერი ა. ლევენდი ვარაუდობს,²⁰ არამედ პირიქით, სტამბოლური პარიზულის გავრცობილი ვარიანტი უნდა იყოს. რაც შეეხება ვენურს, მას არც გადამწერის ვინაობა და არც გადანერის თარიღი არ ახლავს. იგი გადანერილი უნდა იყოს არა უადრეს 1585 წლისა, რადგანაც, როგორც უკვე ვთქვით, ვენური ნუსხისა და „თავრიზის დაპყრობის ნიგნის“ გადამწერი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს. ოსმალთაგან თავრიზის დაპყრობა მოხდა 1585 წელს და ამიტომ, ამაზე ადრე ეს თხზულება ვერ შედგებოდა და მით უმეტეს ვერ გადაინერებოდა.

ჩვენ ხელთ გვაქვს პარიზული და ვენური ნუსხების ფოტოპირები, სტამბოლურზე საუბრისას კი ვსარგებლობთ მხოლოდ ა. ლევენდის ზემოხსენებული ცნობარით.

სტამბოლური ნუსხის დასაწყისი განსხვავდება პარიზულისა და ვენურისაგან, რომელთაც ერთი დასაწყისი აქვთ, სახელდობრ: P; W: - „დიდება ალაჰს, რადგან ფადიშაჰთა ფადიშაჰისათვის ერთიანი ქვეყანა არ არსებობდა, ამიტომ იგი უზენაესმა შექმნა“, S: - „ალმოსავლეთის ლაშქრობებში ყიზილბაშებთან მომხდარი ამბებისა და შირვანში ოსმან ფაშასა და ყიზილბაშს შორის მომხდარი ბრძოლების შესახებ მოგვითხრობს“, მაგრამ სტამბოლურის დასაწყისის იკითხვისი არის ჩვენს ხელთ არსებულ ნუსხებშიც, ოღონდ **عبد المولى**-ის შემდეგ. საფიქრებელია, რომ ა. ლევენდმა ოსმალური წერილობითი ძეგლებისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ დასაწყისს გვერდი აუარა და საკუთრივ

¹⁹ A. Levend, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

²⁰ იქვე.

• პარიზულ, ვენურ და სტამბოლურ ნუსხებს შესაბამისად შემდეგი ლიტერებით აღვნიშნავთ: P, W, S.

ტექსტის დასაწყისი მოიტანა. ასევე განსხვავდება სტამბოლურის დასასრულიც პარიზულისა და ვენურისგან. P, W: „აქამდე მომხდარი ამბების შესახებ რაც ვიცოდით, შეძლებისდაგვარად გადმოგეცით. იმედი მაქვს, რომ უზენაესი ღმერთი ჩვენს ბედნიერ ფადიშაჰს ძალასა და გამარჯვებას გაუმრავლებს. წყეულ ურჯულოებს უსიამოვნებებს მიაყენებს. მემამბოხე ვილაიეთებს დააპყრობინებს და წმინდა ისლამით მორთავს და მოკაზმავს. ჭეშმარიტად მისი სურვილები აღსრულდეს!“ S: - „აქამდე მომხდარი ამბები გადმოგეცით, მაგრამ იმის გამო, რომ შემოკლებულია, კნინი ბევრი აქვს.“

პარიზული მოიცავს 141 გვერდს, დაწერილია ნასხით, შავი მელნით, აქვს კუსტოსი, სტრიქონთა რაოდენობა - 13. ვენური ნუსხა 69 გვერდისგან შედგება. ისიც ნასხითაა გადანერილი, მელანი აქაც შავია, მხოლოდ ზოგიერთი თარიღი და ლექსის დასაწყისი ჩანს სინგურიტაა შესრულებული, ახლავს კუსტოსი, თითოეულ გვერდზე 23 სტრიქონია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასაწყის-დასასრული ორივე ნუსხისა, მცირე სხვაობების გამოკლებით, ერთნაირია.

პარიზული და ვენური ნუსხების შეჯერებამ შემდეგი გვიჩვენა. პარიზული შედარებით ვრცელია.* თავდაპირველად ტექსტები ერთმანეთს მიყვება. ვენურში აქა-იქ მხოლოდ 2 კავშირი, ნანილაკი ۴ და ცალკეული სიტყვები, შემდეგ კი მთელი ფრაზები, წინადადებები და ცალკეული მონაკვეთებიც კია გამოტოვებული, მაგ.: „უამრავი თავი გაგორდა მინაზე და მკერდები გაიფლითა. ადამის ძენი მინაში სეტყვასავით ჩაეფლნენ. ადამიანთა სისხლი მინაზე ღვარად მიედინებოდა. მტვრისა და თოფთა სროლისაგან, კაცთა ყვირილისა და ცხენთა ჭიხვინისაგან ადამიანები ერთმანეთს ველარ ხედავდნენ. თეთრ და შავ წვერს და თეთრ და შავ ცხენს ერთი ფერი ედო. ბრძოლის ველი განკითხვის ადგილად გადაიქცა. ასეთი დიდი ბრძოლა წარსულში ჰამზას უმაღლესობას და პატრონებსაც კი შეშურდებოდათ“. შესაძლებელია ვენური ნუსხის გადამწერმა ეს მონაკვეთი მხოლოდ იმიტომ გამოტოვა,

* „აუბარია ამბების ეკონომიურად გადმოცემაზე და არა ვენურ ნუსხასთან მიმართებით ტექსტის სიმოკლე-გავრცობაზე.“

რომ მას ისტორიული ღირებულება არ გააჩნია. იგი ერთგვარად ბრძოლის შეფასების მეთოდია, რადგანაც ყოველი შეტაკების აღწერას ავტორი აღნიშნული ფრაზებით ამთავრებს, მაგრამ არის ისეთი მონაკვეთებიც, რომლებიც ფაქტობრივ ცნობებს შეიცავენ და ვენურ ნუსხაში მაინც არ გვხვდება, მაგ. «ყველანი – ფაშები, სანჯაყბეგები, ბოლუქის ალები, იანიჩართა ქეთხუდა, წარჩინებულები, გამოცდილი ემირები, ხელოსნები, მშენებლები და საქმის მცოდნენი ციხის შეკეთებას შეუდგნენ და ძალ-ღონე არ დაიშურეს. თითოეულს თავ-თავისი ადგილი მიუჩინეს, ვინ ვის დაეხმარებოდა და რას გააკეთებდა, დაუდგინეს. ალებსა და ბეგებს ჰკითხეს და შემდეგ მდგომარეობის შესაბამისად პატივი მიაგეს. იანიჩრებს ხსენებული ნანგრევების სამხრეთით მიმდინარე წყლის სიახლოვეს მდებარე მხარე გამოუყვეს. აღმოსავლეთი არზრუმის ლაშქარსა და ბაჰრამ ფაშას ჩააბარეს, წარინყალას მხარეს კი ანატოლიის ბეგლარბეგი ჯაფერ ფაშა გაანწესეს. ერთი სიტყვით, ყველას თავ-თავისი ადგილი გამოუყვეს და შენება და შეკეთება დაიწყო. ხსენებული ციხის შენების დაწყებისას 987 წ. ჯუმად აღ-ახერის / 1579 წ. ივლისის თვის დასაწყისი იყო». არ ჩანს ვენურში რამდენიმე ლექსიც.

ხშირად პარიზულსა და ვენურში ერთი და იგივე მონაკვეთში დარღვეულია სიტყვათა თანმიმდევრობა, ჩამატებულია ან ამოღებულია სიტყვები, ფრაზები და ა. შ. მაგ.:

P

დიარბაქირის ბეგლარბეგი დერვიშ ფაშა, არზრუმის ბეგლარბეგი ბაჰრამ ფაშა, ოზდემირ ფაშას ვაჟი ოსმან ფაშა და ყარამანის ბეგლარბეგი მუჰამედ ფაშა მზადმყოფი მეომრებითურთ ელვასავით გაიჭრნენ. ლაზიები წყეულებს ხმლით ჩეხდნენ. იმ უბანში დიდი ბრძოლა გაიმართა.

W

ბაჰრამ ფაშა, ერთი მხრიდან ოსმან ფაშა და მეორე მხრიდან დერვიშ ფაშა გამოეყო. ერთი სიტყვით, ლაზიები, ვინც კი ბრძოლის ამბავი იცოდა, ელვასავით გაიჭრნენ და ბრძოლა დაიწყო. ერთ ხანს დიდმა ხოცვა-ყლეტამ გასტანა.

გვხვდება ფაქტობრივი მასალის შემცველი ტექსტობრივი სხვაობებიც, მაგ.:

P

W

- | | |
|--|--|
| <p>1. თბილისს სანჯაყბეგი და-
უნიშნეს.</p> <p>2. ლევან შაჰი ოსმალთა ბა-
ნაკში ხუთ-ექვსათასიანი
ლაშქრით მოვიდა და ლალა
მუსტაფა ფაშასთან ხუთასი,
ექვსასი აზნაურის თანხლე-
ბით გამოცხადდა.</p> <p>3. ამირ-ხანი ოსმალთა ლაშქა-
რს ოცდაათათასიანი ჯარით
დაესხა თავს.</p> <p>4. შემახაში მყოფ ოსმან ფაშას
არას-ხანი თხუთმეტი ათასი
მოლაშქრით დაესხა თავს.</p> <p>5. მეჰმედ გირეი სულთანი
დერბენდში ოთხმოცათასი-
ანი ლაშქრით მოვიდა.</p> | <p>1. თბილისს ბეგლარბეგი და-
უნიშნეს.</p> <p>2. ლევან შაჰი ოსმალთა ბა-
ნაკში ხუთი, ექვსი ათასი
აზნაურით მოვიდა და მუს-
ტაფა ლალა ფაშასთან შვი-
დას, რვაას ქაფირთან ერ-
თად გამოცხადდა.</p> <p>3. ამირ-ხანი ოსმალთა ლაშქა-
რს ოცათასიანი ჯარით დაე-
სხა თავს.</p> <p>4. შემახაში მყოფ ოსმან ფა-
შას არას-ხანი ოცი ათასი
მოლაშქრით დაესხა თავს.</p> <p>5. მეჰმედ გირეი სულთანი
დერბენდში ორმოც-ორმოც-
დაათათასიანი ლაშქრით მო-
ვიდა.</p> |
|--|--|

შეინიშნება გრაფიკული სხვაობებიც. პარიზულ ნუსხაში ნა-
თესაობითი ბრუნვის ნიშნად კ , W-ში კ , ბრალდებითი ბრუნ-
ვის ნიშნად P-ში ც , W-ში კი კ , P-ში ბაგისმიერი ფართე უკა-
ნა რიგის o ბგერისა და ასევე წინარიგისმიერი რბილი ö-ს გა-
მოსახატავად გრაფიკულ ნიშნად l , W-ში კი-ია გამოყენებული.
პარიზულში მუდერი თანხმოვნები უმეტესად შესაბამისი ყრუთია
შეცვლილი - ფ - ზ, ც - ჟ. P-ში გადაბმულია გრაფემები ა და ბ ,
კ და ლ , W-ში კი მხოლოდ ა და ბ-ია გადაბმული. P-ში თანაობის
მანარმოებელ მორფემად არაბული ყ, W-ში კი სპარსული - ლ
გვხვდება.

ზემოჩამოთვლილი განსხვავებები გვაფიქრებინებს, რომ
პარიზული ვენურის წყარო არ უნდა იყოს. ვენურის გადამწერს

ხელთ უნდა ჰქონოდა როგორც პარიზული, რომლის დასაწყის-დასასრული გადმოუღია, ასევე ან სტამბოლური, ან ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი სხვა ნუსხა. როგორც ვთქვით, პარიზული ნუსხა ავტორს 1582 წელს ტყვეობიდან დაბრუნებულს შეუდგენია, სტამბოლური კი ორი წლის შემდეგ – 1584 წელს. შეიძლება, ამ ორი წლის განმავლობაში (1582-1584 წლებს შორის) აბუბექრ ბინ აბდულაჰმა თავისი ცნობები (ძირითადად რიცხობრივი მონაცემები) დააზუსტა, რამდენამაც ახალ – სტამბოლურ ან ჩვენთვის უცნობ ნუსხაში იჩინეს თავი.

სხვა ოსმალთა ისტორიკოსთა მსგავსად აბუბექრ ბინ აბდულაჰმა ტენდენციურია. ამართლებს ოსმალთა თავდასხმით ომებს, ყიზილბაშებსა და გიაურებს უღმერთოებსა და გზაა ცდენილებს, ოსმალებს კი რელიგიის ჭეშმარიტ დამცველებს უწოდებს. ამასთანავე, ჩვენი ავტორი, სხვა ოსმალთა მემკვიდრეებისგან განსხვავებით, უმეტესად სიმართლეს არ ღალატობს და მტრის მიმართ ასეთი სიტყვებიც დასცდება: „მეტად გულადი წყეულები იყვნენ“, „ყიზილბაშმა თანდათან რუმის ლაშქარზე იმძლავრა“ და ა. შ. როცა საქმე ეხება ოსმალთა დამარცხებას, არც მაშინ უვლის გვერდს იგი ამ „სამარცხენო ამბავს“ და ძუნწად, მაგრამ მაინც გვამცნობს მის შესახებაც, მაგ.: „ჩვენგან უამრავი პირი მონამებრივი სიკვდილით აღესრულა“, „დარჩენილი ოსმალთა ლაშქრიდან ზოგი დაეცა და ზოგი გაიქცა“.

როგორც ყველა ოსმალურ ნარატიულ წყაროში, აბუბექრის თხზულებაშიც სჭარბობს არაბულ-სპარსული ლექსიკა. ჩვენი ავტორი ხმარობს სინონიმურ წყვილებს, რომელთაგან უმეტესად ორივე არაბულია, მაგ.: *مرتب و مؤين، استقباله و متابعته، تدبير و* *كوار و* *كوار و* *كوار*, გვაქვს თურქულ-არაბული კომპონენტების მაგალითებიც: სინონიმური წყვილები, რომელთა კომპონენტებიდან ერთი სპარსულია და მეორე არაბული, მაგ.: *بر در و بر محنت، تالان و غارت*. საკუთრივ თურქული ლექსიკა ძირითადად მემშველი ზმნებითაა წარმოდგენილი.

აბუბექრი თვითმხილველია მის მიერ აღწერილი ამბებისა. იგი ხშირად წერს პირველ პირში: მოვედით, დავბანაკდით, ავიყარეთ,

დავლაშქრეთ. შევნიშნავთ, რომ თხზულების ბოლო ნაწილი შედარებით ინფორმაციული ხასიათისაა. საკმე ისაა, რომ 1579 წ. განჯასთან გამართულ ბრძოლაში აბუბეკრ ბინ აბდულაჰი ტყვედ ჩავარდა და, ცხადია, შემდგომდროინდელი მოვლენები თავად არ უნახავს და სხვათა ნაამბობის მიხედვით ექნება შედგენილი, ამიტომაც ბოლო ნაწილში მოვლენები დაწვრილებით არ არის აღწერილი.

აბუბეკრი კახთა მეფე ალექსანდრეს ნაცვლად ლევან შაჰს ახსენებს. ეს უზუსტობა ჩვენს ავტორს უცოდინრობით არ მოსდის. მის თხზულებაში ნახსენებია ალექსანდრეც: „თურმე, იმ ვილაიეთის ურჯულოები და ზაგემად წოდებული ქალაქი ცნობილ, მაგრამ ბილნსახელიან ლევან შაჰსა და ალექსანდრედ წოდებულ ურჯულო ბეგს დაუპყრია“. ლევან მეფის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო იმ პერიოდში, რომ ხშირად კახეთი „ლევანდის ქვეყანადაც“ იწოდებოდა და სწორედ ამიტომაც, ტრადიციის მიხედვით მოსდიოდათ ასეთი „უზუსტობა“ ოსმალო ავტორებს.

თხზულებაში სიტყვა ვილაიეთი სხვადასხვა მნიშვნელობითაა ნახმარი: 1. აბუბეკრი მას მეტწილად უმსხვილესი ადმინისტრაციული ერთეულის მნიშვნელობით ხმარობს, მაგ.: „მუსტაფა ფაშამ... ჩვენი საზღვრები დაარბია და არზრუმის ვილაიეთში მივიდა“, „ლევან შაჰმა... ფაშასგან ნებართვა აიღო და კვლავ თავისი ვილაიეთისკენ გაემართა“, „ლაშქარი ყიზილბაშთა ვილაიეთებს შეესია და განჯისა და ყარაბაღის ვილაიეთი დაარბია“, „საადრუხურის ვილაიეთი და მისი მცხოვრებლები გაძარცვეს“ და ა. შ. 2. ვილაიეთი ნახმარია ტერიტორიის მნიშვნელობით, მაგ.: „ხსენებული ციხის (არტაანის – მ. ი.) სიახლოვეს მდებარე ქართული ვილაიეთები და ოქროსციხედ წოდებული სიმაგრე ერთმა ხათუნმა დაიპყრო და დაიმორჩილა“. აქ სიტყვა „ვილაიეთებში“ არტაანის ციხის სიახლოვეს მდებარე ტერიტორია იგულისხმება. კიდევ ერთი მაგალითი: „სინან ფაშა... გურჯიზობლაზში შევიდა, მაგრამ... ის ციცაბო ქართული ვილაიეთები ისეთი ატალახებული იყო...“ აქაც, ცხადია, საუბარია მხოლოდ ერთი პუნქტის – გურჯიზობლაზის შესახებ, 3. ვილაიეთს ხმარობს აბუბეკრი ასევე სანჯაყის მნიშვნელობითაც, მაგ.: „...სალიანისა და ჯავადის ვილაიეთებში ყიზილბაშები მოგროვილიყვნენ“, „...არაზბარის, დიზა-

კის ვილაიეთებს თავს დაესხმოდა..." და ა. შ. ცნობილია, რომ სალიანი და ჯავადი შემახის ვილაიეთში შემავალი სანჯაყები იყო,²¹ ხოლო არაზბარისა და დიზაკის სანჯაყები კი ყარაბაღის ვილაიეთში ირიცხებოდა.²²

ყოველი ახალი ამბის აღწერას ავტორი, როგორც წესი, ამთავრებს შემდეგი წინადადებით: „თხრობა აქ შევწყვიტოთ და მივუბრუნდეთ სხვა ამბავს, რომელიც ამასა და ამას ეხება“. ეს ფრაზა ფაქტობრივად თხზულების თავებად დამყოფის როლს ასრულებს. ასევე ერთი და იგივე ფრაზით ამთავრებს აბუბექრი თითოეული ბრძოლის აღწერას: „უამრავი თავი გაგორდა მიწაზე, მკერდები გაიფლითა და ადამის ძენი მიწაში სეტყვასავით ჩაეფლნენ“.

თხზულებაში მხოლოდ მოტანილი წერილების ადრესატი იცვლება, იგი ერთ შემთხვევაში მანუჩარია, მეორეში კი კახთა მეფე ალექსანდრე. წერილების შინაარსი მეორდება და თავად აბუბექრის მიერაა შეთხზული. ამაზე მეტყველებს მუსტაფა ალის „ნუსრეთნამეში“ დაცული ამ წერილების ასლები, რომლებიც აბუბექრისეული წერილებისგან განსხვავდებიან. ეს განსაკუთრებით იგრძნობა მანუჩარისადმი გაგზავნილ წერილში, რომელშიც არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ გარდა ისლამის მიღებისა მას სხვა პირობებიც უნდა შეესრულებინა, კერძოდ, ლალა ფაშას დახმარებოდა ლაშქრით და მოემარაგებინა სურსათით და ცხენებით.²³

საკუთარ თავზე ჩვენი ავტორი მესამე პირში ლაპარაკობს, მაგ.: „ამ საწყალს კეთილი ლოცვით მოიხსენებენ“..., „ამ ღაზავათ-ნამეს წამკითხველები და გამგონენი ამ მონას კეთილ ლოცვას არ მოაკლებენ“ და ა. შ.

²¹ Mühimme, LIII, 739; Ali, Künhülâh bâr, გვ. 314 ა-ბ, ვუთითებთ F. Kırzioğlu-ს დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 304, 305.

²² იქვე, გვ. 457

²³ نصرتنا، عالی، ადრე ვისარგებლეთ ს. ჯიქიას მიერ შესრულებული ვენური ნუსხის თარგმანით. სამნუხაროდ, თარგმანიცა და ოსმალური ტექსტის ფოტოპირებიც დღესდღეობით დაკარგულია, ამიტომ გვერდებს ვერ ვუთითებთ.

„გამარჯვებათა წიგნში“ სტამბოლის სახელწოდებად ყველგან ისლამბოლია ფიქსირებული.“

აბუბექრის თხზულებაში დაცული ცნობები ჩვენთვის ხელმისაწვდომი თანამედროვე თურქი ისტორიკოსებიდან გამოყენებული აქვთ ბ. ქუთუქოღლუს და ფ. ქირზიოღლუს.“ მათ შრომებში ჩართული აბუბექრის ცნობები შეიძლება სამ რიგად დაიყოს: 1. რომელიმე კონკრეტული ამბის გადმოცემისას მხოლოდ აბუბექრის ცნობაა გამოყენებული, 2. აბუბექრის ცნობა შევსებულია სხვა ავტორის ან ავტორების ცნობებით და პირუკუ და 3. ცნობა სქოლიოშია ჩატანილი სხვა ავტორთაგან განსხვავებული ინფორმაციების საჩვენებლად. ზოგიერთ შემთხვევაში ბ. ქუთუქოღლუს და ფ. ქირზიოღლუს პირდაპირ, სიტყვასიტყვით გადმოაქვთ აბუბექრის რომელიმე ცნობა, მაგ., ლალა მუსტაფა ფაშასა და ლაშქარს შორის წარმოქმნილი უთანხმოების შემდეგ ლალა ფაშას მიერ წარმოთქმული სიტყვა,²⁴ არეშისათვის გამართული ბრძოლის აღწერიდან ზოგიერთი მონაკვეთი,²⁵ თბილისის ციხის აღწერა,²⁶ დაღესტანში მოსახლე ტომების აღწერა²⁷ და ა. შ. შემახიდან დერბენდისკენ მიმავალი ლაშქრის მიერ კავკასიონზე გადასვლისას გამოვლილი ტანჯვა-წვალების აღწერისას ბ. ქუთუქოღლუ შენიშნავს, რომ აბუბექრისეული აღწერა ამ ამბისა უფრო მეტად შეეფერება სინამდვილეს, რადგანაც იგი ამ გადასვლის ერთ-ერთი მონაწილე იყო.²⁸

^{*} ისტამბოლის ფონეტიკური სახეცვლილება „ისლამბოლი“ გააზრებულია „ბეერ ისლამად“. ეს ფორმა XVI საუკუნიდან გავრცელდა, იხ. ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1973, გვ. 155; Turkish And English Lexicon, By sir James W. Redhouse, 1921, გვ. 112, 113.

^{**} აბუბექრის ცნობებს იყენებს ი. დანიშმენდიც, მაგრამ, რადგანაც იგი სქოლიოებს საერთოდ არ უთითებს და მხოლოდ ზოგ შემთხვევაშია თავად ტექსტში მოხსენიებული ავტორი და წყარო, ამდენად ჩვენთვის ძნელდება საუბარი ი. დანიშმენდის მიერ ჩვენი ავტორის ცნობების გამოყენების მასშტაბურობაზე.

²⁴ B. Kütükoglu, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

²⁵ იქვე, გვ. 80.

²⁶ F. Kırzioğlu, დასახ. ნაშრომი, გვ. 289.

²⁷ იქვე, გვ. 309.

²⁸ B. Kütükoglu, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

„გამარჯვებათა წიგნში“ ცნობები მოცემულია სამი რეგიონის – საქართველოს, შირვანისა და დაღესტნის შესახებ. საქართველოს ამბების აღწერისას აბუბექრი ძირითადად იმეორებს იმ ცნობებს, რომლებიც დაცულია ქართულ და სხვა უცხოენოვან წყაროებში, მაგრამ ზოგიერთ მათგანს ჩვენი ავტორი განსხვავებულად გვანვდის, ზოგს კი განავრცობს. აბუბექრის ცნობით ჩილდირის ომი ქაჯის ციხისათვის გამართული ბრძოლის პარალელურად დაწყებულა.²⁹ მუსტაფა ალის, იბრაჰიმ ფეჩევისა და მუნეჯიმ ბაშის მიხედვით ჩილდირის ომი იენიყალას დასაპყრობად გამართული ბრძოლის დროს დაწყებულა.³⁰ როგორც ერთ სიგელშია ნათქვამი „შეითან-ყალას იენი-ყალასაც უწოდებენ“,³¹ შეითან-ყალა კი ისევე, როგორც იბლისის ციხე, ქართულ ენაზე ქაჯის ციხეს ნიშნავს. ანონიმი ვენეციელი ავტორი ქაჯის ციხეს უთითებს.³² რაჰიმიზადეს ცნობით ისლამის ლაშქარი „მეექვსე სადგომზე ჩილდირის ველზე მოვიდა და აღნიშნულ (ჩილდირის – მ. ი.) ციხეში გაჩერდა,³³ ჩილდირის ციხეს კი ზოგიერთი მკვლევარი ქაჯის ციხესთან აიგივებს.³⁴ ვფიქრობთ, აბუბექრის ეს ცნობა სიზუსტეს მოკლებული არ უნდა იყოს.

როგორც ცნობილია, ჩილდირის ბრძოლის შემდეგ ლალა ფაშას ათაბაგ ყვარყვარე IV-ის ძმა მანუჩარი ხლებია. აბუბექრის

²⁹ ابوبکر , გვ. 16.

³⁰ نصرتنامه , გვ. 70v, 76v, ვუთითებთ B. Küttükoğlu-ს დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 52; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 39; ნ. შენგელია, ოსმალთა ისტორიკოსის მუნეჯიმ ბაშის ცნობები ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ. – ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968, გვ. 146.

³¹ მუჰიმე დავთარი, ტ. LXXII, გვ. 857, ვუთითებთ B. Küttükoğlu-ს დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 51.

³² ანონიმი ვენეციელი ავტორი, თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალისძე, თბ., 1987, გვ. 22, 23.

³³ رحیمی زاده چاوش، ظفرنامه حضرت سلطان هراد خان , გვ. 14.

³⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 4, თბ., 1967, გვ. 268; ე. მამისთვალისძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 48; F. Kirzioğlu, დასახ. ნაშ-

ცნობით ეს მანუჩარის მეორე მისვლა იყო. ჯერ კიდევ ჩილდირის ომამდე არტაანში ხლებია იგი ოსმალთა სარდალს და სურსათ-სანოვარე მიუტანია.³⁵ ამ ცნობას „მესხური ქრონიკის“ გარდასხვა წყაროში ვერ მივაკვლიეთ. როგორც მათიანეშია ნათქვამი, ეს მისვლა ორ აგვისტოზე ადრე უნდა მომხდარიყო.³⁶

რაც შეეხება მანუჩარის გამაჰმადიანებას, ამ ფაქტს მ. სვანიძე კონსტანტინოპოლში მყოფი საფრანგეთის ელჩის ცნობაზე დაყრდნობით 1579 წ. 25 ივნისით ათარილებს.³⁷ იგივე წელია მითითებული ასევე 1579 წ. 9 დეკემბრით დათარილებულ ჰუქმშიც, რომელიც თურქეთის სულთანმა მურად III-ემ ჩილდირის ბეგლარბეგ მანუჩარს გაუგზავნა,³⁸ აბუბექრის ცნობით კი მანუჩარი ჩილდირის ბრძოლის მომდევნო დღეს, ანუ 1578 წ. 10 აგვისტოს გამაჰმადიანებულა.³⁹ გარდა იმისა, რომ ამ ცნობას ადასტურებენ მეჰმედ ბენ მეჰმედი, ქათიბ ჩელები, მუნეჯიმ ბაში და აბდულ აზიზ ყარა ჩელები-ზადე,⁴⁰ ისიც საფიქრებელია, რომ დამარცხებული მანუჩარი ლალა ფაშას უარს ვერ ეტყოდა გამაჰმადიანებაზე, აკი მის პატივსაცემად უწოდებიათ კიდევ მისთვის

რომი, გვ. 289, 473; ჩილდირის ციხის თაობაზე საპირისპირო აზრის შესახებ იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ნიგნი III, თბ., 1958, გვ. 403-405; ც. აბულაძე, სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან (XVI ს. 80-იანი წლები), მრავალთავი, XV, თბ., 1989, გვ. 201; Шериф-хан Бидлис, Шараф-наме, перевод, предисловие, примечания и приложения Е. И. Васильевой, т. I, М., 1967, გვ. 516.

³⁵ ابي بكر , გვ. 15.

³⁶ სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 49, 164.

³⁷ მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI-XVII, თბ., 1971, გვ. 134.

³⁸ ც. აბულაძე, დასახ. წერილი, გვ. 200, 202.

³⁹ ابي بكر , გვ. 21.

⁴⁰ მეჰმედ ბენ მეჰმედი, ისტორია, გვ. 98, ვუთითებთ გ. ალასანიას წერილის „აბდულ აზიზ ყარა ჩელები-ზადეს ცნობები საქართველოს შესახებ“-ის მიხედვით. – საისტორიო კრებული, VI, თბ., 1976, გვ. 114; ქათიბ ჩელები, ჯიჰან ნუმა, გვ. 408, ვუთითებთ გ. ალასანიას დასახ. წერილის მიხედვით, გვ. 114; მუნეჯიმ ბაში, გვ. 137; აბდულ აზიზ ყარა ჩელები-ზადე, გვ. 103.

მუსტაფა.⁴¹ გასათვალისწინებელია ასევე, რომ მუსტაფა აღის „ნუსრეთნამეში“ დაცული ოსმალთა მთავარსარდლის ლალა მუსტაფა ფაშას მიერ მანუჩარისადმი გაგზავნილი წერილის თანახმად, მანუჩარი ლალა ფაშას უნდა დახმარებოდა ლაშქრით, მოემარაგებინა სურსათით და გარდა ამისა მიეღო ისლამი. როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ჩილდირის ბრძოლამდე შეასრულა მანუჩარმა მისი ერთი პირობა – სურსათ-სანოვაგე მიუტანა და, რა გასაკვირია, რომ უკვე დამარცხებულ მანუჩარს მისი მეორე პირობაც შეესრულებინა – მიეღო ისლამი, უფრო მოგვიანებით კი, კერძოდ, 1579 წ. 25 ივნისს, სტამბოლში ქვეყნის დასანახად, შედარებით საზეიმო ვითარებაში, მოეწყო მისი ხელმეორედ ისლამის რჯულზე მოქცევა.

„გამარჯვებათა წიგნში“ აღწერილია თითქმის ყველა ის ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1578-1580 წლებში თურქთა შემოსევების დროს, კერძოდ, მოტანილია ლალა ფაშას მიერ კახეთის მეფე ალექსანდრესა და მანუჩარისადმი გაგზავნილი მუქარით სავსე წერილების შინაარსი, აღწერილია ქაჯის ციხის აღება, ჩილდირის ომი, ლალა ფაშას თბილისში შესვლა, თბილისის აღება, მარაშის ბეგლარბეგ მუსტაფა ფაშასა და შემდეგ სინან ფაშას ექსპედიციები, ყირიმელი თათრების მიერ ზაგემის დანოკება და ა. შ.

1578-1580 წლებში გადამწყვეტ ბრძოლებს ოსმალებსა და ყიზილბაშებს შორის შირვანის ტერიტორიაზე ჰქონდა ადგილი, სწორედ ამიტომაც ყველაზე ვრცლად აბუბექრი ამ რეგიონის შესახებ საუბრობს; დაწვრილებით აღწერს თითოეულ ბრძოლას, მაგრამ ისევე, როგორც საქართველოს ამბების აღწერისას, აქაც მხოლოდ საომარი მოქმედებების მიმდინარეობათა შესახებ გვაწვდის ცნობებს. მიზეზი ამისა იგივეა, აბუბექრმა შირვანშიც მცირე ხანს დაჰყო.

სულ სხვა ვითარებაა დალესტანთან დაკავშირებით. 1578 წლის შემოდგომა და 1579 წლის ზამთარი აბუბექრმა დალესტანში გაატარა. მას საშუალება ჰქონდა მეტი რამ შეეტყო ადგილობრივი

⁴¹ ابوبکر , გვ. 21.

ტომების შესახებ, ამიტომაც, რომ ჩვენმა ავტორმა არა მხოლოდ ბრძოლების აღწერა, არამედ სხვა ხასიათის ცნობებიც მოგვანოდა. იგი საუბრობს დალესტნური ტომების რელიგიის, სამხედრო ძალის, სამართლის, ზნე-ჩვეულებების შესახებ და ა. შ.

მოვლენების აღწერისას აბუბექრი ხშირად ტენდენციურია, მაგრამ სიმართლეს ძირითადად არ ლაღატობს და სხვა ოსმალო ავტორების მსგავსად და ზოგჯერ უფრო მკვეთრადაც ცოცხლად წარმოაჩენს XVI საუკუნის 70-იანი წლების საქართველოსა და საერთოდ კავკასიის მდგომარეობას.

მის მიერ მოწოდებული ცნობების (ორიოდე უზუსტობის, კერძოდ, მანუჩარისადმი ოლთისის ლივის გადაცემისა და ლალა მუსტაფა ფაშას დიდვზირად დანიშვნის გარდა) სხვა წყაროებთან შეჯერებამ გვიჩვენა, რომ ჩვენი ავტორი მოვლენათა უმრავლესობას სიმართლით აღწერს და ამდენად, იგი სანდო ავტორად შეგვიძლია ვიგულოთ. ყოველივე ამან განსაზღვრა ის, რომ ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვაქვს „გამარჯვებათა წიგნის“ თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შენიშვნებითა და შესავლით.

ტექსტი გამართულია პარიზული ნუსხის მიხედვით (იგი ავტოგრაფია), ვენური ნუსხის კითხვასხვაობები კი ჩატანილია სქოლიოში.

სახელითა ღვთისაითა მოწყალისა მწყალობელისა

დიდება ალაჰს, ყველგან არსებულ ღმერთს! ვინაიდან იმ ფადიშაჰთა ფადიშაჰისათვის ერთიანი ქვეყანა არ არსებობდა, [ამიტომ] შექმნა [მან] და თავისი ერთადერთობისა და წყალობის საჩვენებლად მე, ადამიანი, ერთი წვეთი წყლისგან და ერთი მუჭა მინისგან შექმნა. არ არსებობდა სამყარო და გააჩინა და უკვე ჩვენ – ადამის ძეთ – პატივი მოგვაგო, გონება წედომისა და უნარი შექმნისა გვიბოძა, მთელ თავის წყალობას, ერთადერთობას და გარდმოცემულ ორმოც წიგნს¹ მიგვანდო. ვინც ესავეს ალაჰს და მის ანგელოზებს, წიგნებს და მოციქულებს, განკითხვის დღეს, ბედისწერას, სიკეთეს და ბოროტებას [მან], მისი სიტყვა (ალაჰისა – მ. ი.) ენით დაადასტურა და გულში ჩაიდო, აკრძალულს განუდგა და ნებადართულს მიენდო, სამართლიანი ბრძანებით [ნებადართულს] ასრულებს, აკრძალულისგან კი თავს იკავებს. წმინდა ლოცვა და საუკეთესო სურვილები იმ სიხარულის მომტან წინასწარმეტყველების კურთხეულ სამოთხეს, რომლის მსგავსადაც შექმნა მთელი სამყარო და უპირველესად კი ცის გაჩენისთანავე პატივი მიაგო და ყველა დაახლოებული წინასწარმეტყველებიდან და ღირსეული ანგელოზებიდან იგი (მუჰამედი – მ. ი.) აღამაღლა და პატივი მიაგო. საუკეთესო სურვილები და ასი ათასი ლოცვა მას, მის ამხანაგებს, მეუღლეებს და მის ოთხ თანამებრძოლს,² რომლებიც მისი დაახლოებული პირებიდან გამორჩეული და საუკეთესონი არიან.

განსაკუთრებით: დიდება ღმერთს! უზენაესმა ჩვენს ბედნიერ ფადიშაჰს სიცოცხლე გაუხანგრძლივოს, ქვეყანა, ილბალი და გამარჯვება დღითი დღე გაუმრავლოს, მისი უდიდებულებსობა უბედურებისა და შეცდომისაგან დაიხსნას და სიავის მომტან მტერზე გაამარჯვებინოს.

ახალგაზრდა, ბედნიერ უფლისწულს უზენაესმა ღმერთმა სიცოცხლე გაუხანგრძლივოს, ქვეყანა გაუფართოვოს, მისი უმაღლესობა საშიშროებისა და ზარალისაგან დაიცვას. სასარგებლო ცოდნითა და კეთილი საქმით შეამკოს და პატივჰყოს, დედამინაზე, სასულთნოში სიმშვიდე და სიმართლე დაუმკვიდროს. ამინ, ასრულდეს ეს სურვილები!

დიდებულ ვეზირებსა და წარჩინებულ ემირებსაც უზენაესმა ღმერთმა სიცოცხლე [გაუხანგრძლივოს], ქვეყანა [გაუფართოვოს], თანამდებობა და სასარგებლო საქმიანობა [შემატოს].

ქვეყნის ემირებისა და ლაზი ემირების შესახებ: დიდებულები და მათი საქმენი უწმინდესმა და უზენაესმა ღმერთმა საკუთარი მაღალი ნების შესაბამისად აამოძრავოს, ყოველი მათგანი დიდვეზირის თანამდებობაზე დაადგინოს და ისლამის ლაშქარსაც უზენაესმა იღბალი და გამარჯვება გაუმრავლოს, რომელ მხარესაც არ უნდა გაემგზავროს, ღმერთმა საძულველ მტერსა და მდაბალ ურჯულოებზე მუდამყამს გაამარჯვებინოს და უავგუსტოს ბედნიერებას აღირსოს.

იმ მოწყალე და სახელოვანმა მოციქულმა ქვეყნის დასაცავად კურთხევა, ბედნიერება და კეთილდღეობა არ დაიშუროს. ისლამის ფადიშაჰისა და დიდებული შაჰინშაჰის უდიდებულესობის მტერი და მოწინააღმდეგე თანამდებობიდან ჩამოქვეითებისა და უბედურებისაგან არ გაათავისუფლოს. ამინ, ასრულდეს ეს სურვილები!

შემდეგ: მე, სანყალმა მსახურმა, საცოდავმა ვეზირის ტოლა მოხეტიალემ, სასამართლოს მოხელის ფეხის მტვერმა ვისურვე, რომ აღმოსავლეთის ლაშქრობაში მომხდარი ამბები და შირვანის ვილაიეთსა³ და დემურკაფუში⁴ ოსმან-ფაშასა⁵ და პირშავი ყიზილბაშების ბრძოლები [ჩემი] შერჩევის მიხედვით შეძლებისდაგვარად გადმოგცეთ. როცა პატიოსანი ამხანაგები და ერთგული მეგობრები ნაიკითხავენ და შინაარსს გაეცნობიან [ნახავენ], რომ შემოკლებულია და გამოტოვებული [ბევრია, ალბათ] მაპატიებენ, რადგანაც შერჩევით მაქვს შავად შედგენილი. იმედია, რომ ამ რისაღეს⁶ ნაკლს ყურადღებას არ მიაქცევთ და შემინდობთ. დამორჩილების ბრძანებაში ვინმე [ტექსტს] შემოკლებულსა

და ნაკლულს რომ ნახავს [არ ეგონოს], რომ სხვა ამბავიც თავი-
დან ბოლომდე ნაკლული და ცდომილია. ამ რისალებს შედგენის
ერთადერთი სურვილი ლაშქრობებში მომხდარი ამბების გადმო-
ცემა არაა. ეს რისალებს ლოცვის მიზეზია. რადგანაც ქვეყნიერების
ისტორია დაწერილი და შემონახულია, ამიტომ [მათი კვლავ] მო-
გონება და აღწერა საჭირო არ არის, რადგანაც ზოგს [თვითონ]
აქვს ნანახი და ზოგს კი მოსმენილი, ამიტომ მათი გადმოცემა
და აღწერა საჭიროებას არ წარმოადგენს. მანამდე, სანამ მე, სან-
ყალი, ამ შემოკლებულ რისალებს შევადგენდი, ოსმალთა დინას-
ტიიდან სულთან მურად ხანად⁷ წოდებული ერთი ღაზი ფადიშა-
ჰად ეკურთხა და ირანის მხარეს ილაშქრა. მის დროს მომხდარი
ბრძოლებისა და გამარჯვებათა შესახებ როცა წაიკითხავენ, იმე-
დია, რომ მე, სანყალს, კეთილი ლოცვით მომიხსენებენ. ეს რომ
მჯეროდა, ამიტომ მოვიკრიბე ძალა [თხზულების] შესადგენად
და შავად დასაწერად. იმედია, რომ ამ ღაზავათ-ნამეს⁸ ნამკითხ-
ველები და გამგონენი მე არ დამივიწყებენ და კეთილ ლოცვას
არ მომაკლებენ.

შემდგომ ამისა: ქვეყნიერების მფარველმა ფადიშაჰმა და
დიდებულმა შაჰინშაჰმა, არაბი და ირანელი მელიქების სულ-
თანმა მურად-ხანის უდიდებულესობამ ისურვა და ბრძანა, რომ
ირანის მხარე და შირვანის და გურჯისტანის ვილაიეთი დაე-
ლაშქრათ. დიდებული ვეზირებიდან სახელოვანი მუსტაფა ფაშას⁹
აღმატებულება შეარჩია და გამარჯვების შარავანდედით მოსილი
ლაშქრის სერასქერად¹⁰ დანიშნა. მუსტაფა ფაშამაც ბრძოლაში
გამარჯვებისთვის თადარიგი დაიჭირა, ნახა რა, რომ ემირები,
რომლებიც ბრძოლაში გამოადგებოდნენ, მზად იყვნენ, 986 წლის
მუჰარემის დასაწყისში¹¹ კარავი უსქუდარში¹² გადაატანინა და
მონასტრის მახლობლად დიდ და განიერ ადგილზე გააშლევინ-
ა, თავად მან კი ლაშქრობისათვის საჭირო ემირებთან, ზოგი-
ერთ ბრძენ და გამოცდილ წარჩინებულთან ერთად თათბირი
გამართა და უავგუსტოესი ლაშქრობის საკითხებზე თათბირის
[გაძლოლის პატივი] ქვეყნიერების მფარველმა ფადიშაჰმა მას
მიანდო. მთავარსარდალი გახდა და მას შემდეგ, რაც აღმოსავ-
ლეთის ქვეყნებისაკენ დაიძრა, მონიჭებული და ბოძებული ჩინით

ძლიერ კმაყოფილი ვარო - განაცხადა. დავალების სრულად მიღების შემდეგ მუსტაფა ფაშა 986 წლის მუჰარემის თვეში თავადაც უსქუდარში გადავიდა და ლაშქარი ნელ-ნელა დადგენილ უბანში შეიკრიბა და მოემზადა. სასახლის მცველი რაზმიდან მთელი სიფაჰიები,¹³ მარცხენა ულუფეჯიები,¹⁴ სამი ათასი იანიჩარი¹⁵ და ოთხასი ზარბაზანი მის განკარგულებაში შევიდა. რუმელიელთაგან¹⁶ და სტამბოლელთაგან შემდგარი ჯარი უსქუდარში გადავიდა და რამდენიმე დღე იქ, მალთეფეში¹⁷ გაჩერდა. შემდეგ მთავარსარდალ მუსტაფა ფაშას აღმატებულება ისლამის ლაშქართან ერთად უსქუდარიდან აიყარა და ირანისკენ გაემართა. სტამბოლის მთელი მოსახლეობა, ფაშები, ალები და ისინიც, ვინც უზენაეს ლაშქრობაში არ მონაწილეობდნენ, ფაშის და ისლამის მხედრიონის გასაცვილებლად გამოვიდა. იმ დღეს ისეთი აღკაზმულობა, გმირობა და სანახაობა აჩვენეს, რომ მნახველებს გონება დაებინდათ.

შემდეგ მუსტაფა ფაშას აღმატებულება გზას გაუდგა, მაგრამ არც თხრილები გადაიარა და არც ვანიერი შარაგზებით არ წავიდა. იზმითი,¹⁸ დაბა იზნიქი,¹⁹ იენიშეჰირი,²⁰ სომხითის გადასასვლელი,²¹ ბოზიუქის გზა,²² სანჯაყი სულთან ონუ,²³ ფოლადინი²⁴ გაიარა და აქშეჰირში²⁵ გაჩერდა. აქშეჰირიდან აიყარა და დაბა ილგინს²⁶ მიაღწია. ილგინში ჩიფთლიქები,²⁷ წმინდა მეჩეთი და ქერუბინის სასახლე²⁸ იყო. მათი ნახვა სურდათ და ამიტომ წავიდნენ ამ გზით. აღნიშნულ დაბაში სამი დღე გაჩერდა, შემდეგ იქიდან აიყარა და სამი-ოთხი სადგომის მერე ქალაქ კონიას²⁹ მიაღწია. ორი დღე კონიაში შეჩერდა. მევლანა ხუდავენდიგარის უწმინდესობა³⁰ მოინახულა, იქიდანაც აიყარა და რამდენიმე სადგომის შემდეგ კაისერად³¹ ნოდებულ დაბას მიაღწია. ამ დროს კაისერი ცეცხლით იყო გადამწვარი. იქ არ შეჩერდა და წავიდა. რამდენიმე დღეში სივასად³² ნოდებულ ქალაქში ჩავიდა. სამი დღე აღნიშნულ ქალაქში გაჩერდა. იქიდანაც აიყარა და გაემგზავრა. რამდენიმე სადგომის შემდეგ არზრუმს³³ მიაღწია და არზრუმის წინ ილიჯეს³⁴ მახლობლად მდებარე მდელოზე მთელი ლაშქარი დაბანაკდა, მაგრამ როცა ჩვენ არზრუმში ჩავედით, მეომართა უმეტესობა [ჯერ კიდევ] არ ჩანდა. მხ-

ოლოდ კაფიკულუები³⁵ და იანიჩრები იყვნენ. რადგანაც საჭირო იყო, რომ გამარჯვების შარავანდედით მოსილი ლაშქრობისათვის განკუთვნილი ასქერები³⁶ მთლიანად იქ შეკრებილიყვნენ, ამიტომ მოლაშქრენი ყოველი კუთხიდან და ყოველი ვილაიეთიდან³⁷ ნელ-ნელა დაიძრნენ და მოგროვება დაიწყეს, ისე, რომ განწესებული ბეგლარბეგები,³⁸ სანჯაყბეგები,³⁹ ზაიმები⁴⁰ და ალაიბეგები⁴¹ რაზმებად, ჯგუფ-ჯგუფად მოვიდნენ და შეიკრიბნენ. არზრუმის ველი სხვადასხვაგვარი კარვებით, ნაირფრად მოხატული საჩრდილობლებით და მონანავე მსუბუქი ჩარდახებით ისე მოირთო, თითქოს გაზაფხულზე მდელი და ველი ნაირფერი ყვავილებით მოკაზმულაო. იმოდენა ლაშქარი შეიკრიბა და იმდენი კარავი გაიშალა, რომ არზრუმის ველზე ნემსს ვერ ჩააგდებდით. სამხრობის ჟამს ცხენებზე ამხედრებული ვაჟკაცები ყოველდღე მამაცურად ჯირითობდნენ და თოფს ისროდნენ. სხვაც ბევრი მოვიდა. მამაცი გმირი ვაჟკაცები სამოსს იცვლიდნენ, მოედანზე გადიოდნენ და ჭიდაობდნენ, ზოგიც ისარს ისროდა. ერთი სიტყვით, საბრძოლო წესით [დანყობილი] სხვადასხვა თამაშს მართავდნენ, სეირნობდნენ და უხილავ მტერს ყიჟინას სცემდნენ. ასეთი ყოფით დაახლოებით ოცი დღე იმ ველზე გაატარეს. უავგუსტოეს ლაშქრობაში მონაწილე ლაშქარი მთლიანად შეიკრიბა.

შემდეგ, 986 წლის ჯუმად აღ-ეველის⁴² თვეში იმ ველიდან აიყარნენ და არზრუმის ციხის უკან დევე ბოინუდ (აქლემის ყელი) ნოდებულ ცნობილ ადგილზე, გმირთა საფლავების მახლობლად, მთავარსარდლის, მუსტაფა ფაშას აღმატებულების კარავი დასცეს. იმ დღეს ლაშქარიც ამხედრდა ცხენებზე. ბეგლარბეგებმა და სანჯაყბეგებმა, ალაიბეგებმა, ზაიმებმა, ბოლუქის აღებმა⁴³ და მთელმა ლაშქარმა რაზმთა წყობისა და მამაცობის საჩვენებლად შესაფერისი ტანსაცმელი ჩაიცვა და ცხენებს ძვირფასი თვლებით მორთული ჩული გადააფარეს და შეკაზმეს. იმ დღეს განსაკუთრებით გამოირჩეოდა ოზდემირ-ოღლუ ოსმან ფაშას აღმატებულება, რომელიც, საბრძოლო იარაღით აღჭურვილი, დაუდგრომელ შავ ულაყზე ალივით⁴⁴ ამხედრებულიყო. თავისი რაზმიც ძვირფასი ქვებით შემკული საბრძოლო ნივთებითა და

ტანსაცმლით მოერთო. მის წინ ექვს მსახურს მოოქროვილი ქუდი [ეხურა], მოოქროვილი ქამარი [ეკეთა] და ხელში ოქროთი მოჭედული ცული ეკავა. სხვა ბეგლარბეგებიც ასევე შესაფერისად მოიკაზმნენ და რაზმელებიც ძვირფასთვლიანი ნივთებით მორთეს. რაზმებად და მწკრივებად დაწყობილნი დადგნენ. თავის გამოსაჩენად იანიჩრებიც მოირთვნენ. თავებზე ძვირფასი თვლებით მორთული და ოქრონაქარგი წინწკლებიანი ბეწვის ქუდები, ჯიღები და არწივისფრთიანი თავსაბურავები დაიხურეს და თოფები მხრებზე გადაიკიდეს. მთელი მხედრონი საბრძოლო იარაღით მოირთო და მწკრივებად და რაზმებად დაეწყო. ბოლუქებად და რიგებად ისე იდგნენ, რომ მნახველი გონებას დაკარგავდა. ეს ის ადგილი გახლდათ, სადაც მორთულობის, მამაცობის და გამირობის ნახვა შეიძლებოდა. თუ იქ პირშავი ყიზილბაშების ჯაშუში აღმოჩნდებოდა და რუმის სიძლიერეს და სიმამაცეს ნახავდა, როცა წყეულ ურჯულოებთან მივიდოდა და შეატყობინებდა, მათაც შიში დაეუფლებოდათ. ერთი სიტყვით, იმ დღეს არზრუმს ზღვასავით მოაწყდა ხალხი. როცა ილიჯეს ველიდან არზრუმის ციხეს მიაღწიეს, ნახეს, რომ ლაშქარი მეტად დიდი იყო, იმხელა, რომ ამის გადმოცემა და აღწერა შეუძლებელია. ამ წყობით მივიდნენ და დევე ბოინუდ ნოდებულ ადგილზე დაბანაკდნენ. ის დღე იქ გაატარეს. მეორე დღეს პარასკევი იყო. ფაშას აღმატებულებამ პარასკევის ღოცვა აღასრულა და ის იყო უნდა წასულიყო, რომ უბედური ყიზილბაში ხანებიდან წყეული თოქმაქ-ხანის⁴⁵ მიჰმანდარი,⁴⁶ სახელოვანი ყიზილბაში მურადი თავის კაცებთან ერთად ელჩად მოვიდა. მისი სიტყვა ასეთი იყო: ირანის ფადიშაჰმა, მეჰმედ ხუდაბენდედ⁴⁷ ნოდებულმა, უბედურ თოქმაქ-ხანს შეატყობინა: შენ რომ თოქმაქ-ხანი ხარ, გეცნობოს, რომ რუმის ფადიშაჰის ვეზირმა მუსტაფა ფაშამ 150 ათასიანი რუმის ლაშქრითურთ ჩვენი საზღვრები დაარღვია და არზრუმის ვილაიეთში მივიდა. ახლა, შენ რომ თოქმაქ-ხანი ხარ, მუსტაფა ფაშასთან ელჩი გააგზავნე [და გაიგე], ამოდენა ლაშქარი რომ შეჰყარეს და მოვიდნენ, რა უნდათ, თუ ჩვენთან ბრძოლა სწაღიათ, ჩვენც შესაფერისად მოვემზადებით, და თუ სხვა რამ აზრი აქვთ, ღმერთმა ხელი მოუშართოთო. ამის შემტყობმა თოქმაქ-

ხანმაც თავისი კაცი მიჰმანდარი მურადი გააგზავნა და პასუხი მოითხოვა. ფაშას აღმატებულებამ ურჯულო წყეულს [შემდეგი] უპასუხა: ქვეყნიერების მფარველი ფადიშაჰის უდიდებულესობის უავგუსტოესი ბრძანება ასეთია: ამ კურთხეულ წელს დანგრეულ ყარსს⁴⁸ აღვადგენ და თუ უზენაესი ღმერთი მოწყალებას მოიღებს და გაგვამარჯვებინებს, ქართულ ვილაიეთებს დავიმორჩილებ, მე მათზე გალაშქრების ბრძანება მივიღეო. გზაა ცდენილი წყეულისთვის ფაშას აღმატებულების პასუხი სრულად ცხადი და ნათელი გახდა და კვლავ ირანისკენ გაემართა.

შემდეგ, 986 წ. ჯუმად აღ-ვეელის შუა რიცხვებში, არზრუმის ციხიდან აიყარა და გეზი საქართველოსკენ აიღო. მეორე დღეს ჰასანკალეში⁴⁹ მივიდა. სამი დღე იქ შეჩერდა. იქიდანაც აიყარა და რამდენიმე სადგომის შემდეგ არტაანის ციხეს მიაღწია და აღნიშნული ციხის წინ მიმდინარე წყლის⁵⁰ პირას გაშალა ბანაკი. სამი დღე იქაც შეისვენა და მთელ ლაშქარს მიმართა: წინ მტრის ადგილია, სამი თვის [სამყოფი] სურსათ-სანოვაგე მოიმზადეთო. მოლაშქრებამაც სამყოფი ხორაგი მოიმარაგეს. შემდეგ, 986 წლის ჯუმად აღ-ახირის დასაწყისში⁵¹, არტაანის ციხიდან აიყარა და ქართველებისკენ გაეშურა. ხსენებული ციხის სიახლოვეს მდებარე ქართული ვილაიეთები და ოქროსციხედ ნოდებული სიმაგრე ერთმა ხათუნმა⁵² დაიპყრო და დაიმორჩილა. მამაცი ვაჟკაცები ჰყავდათ. იმ ვილაიეთების ურჯულოები ამათ (ოსმალებმა – მ. ი.) შეიპყრეს. მანამდე, სანამ არტაანის ციხიდან აიყრებოდა, სარდლის, მუსტაფა ფაშას აღმატებულებამ მდაბალი ურჯულოების ბეგთან კაცი გაგზავნა და შეუთვალა: შენ რომ ოქროსციხის პატრონი მანუჩარი⁵³ ხარ, გეცნობოს, რომ მე, რუმის ფადიშაჰის მდაბალმა ვეზირმა, ისლამის 150 ათასიანი ლაშქრით შენზე გამოვილაშქრე. თუ მოხვალ და ისლამის სარწმუნოების ფადიშაჰის ჯარს შეეგებები და დაემორჩილები, ჩვენც შენი მდგომარეობის შესაფერ პატივს მოგაგებთ, თუ სიჯიუტეს გამოიჩენ და არ დაგვენებდები, შურს [ვიძიებ], შენს წინააღმდეგ გამოვილაშქრებ და შენს ქვეყანას და ვილაიეთს ავაოხრებ, გადავწვავ და გავანადგურებ. როცა ისლამის ლაშქარი თქვენ დაგლაშქრავთ, გაჭირვებაში ჩაცვივდებით და დაუძღურების ყამს შიში შეგიპყრობთ

[მაშინ], თუ დაგვემორჩილებით, თქვენი ბოდიშით კმაყოფილი აღარ ვიქნები. თუ ახლავე გახდები სუნიტი [მაშინ], სასწრაფოდ მოდი, ისლამის სარწმუნოება მიიღე და შენი ხალხი და ვილაიეთი ჩვენ ჩაგვაბარეო. ამ ცნობამ მანუჩარი სულით ხორცამდე შეძრა. [მან] ემირები და გამოცდილი აზნაურები შეკრიბა და [ეს ამბავი] აუწყა. მისი გადანყვეტილება ასეთი იყო: თუ ჩვენ ახლარუმის ლაშქარს შევეწინააღმდეგებით და არ დავემორჩილებით, ბრძოლისათვის ძალ-ღონე არ შეგვენევს. თუ გავიხიზნებით, ჩვენს ვილაიეთს გადასწავს, ვისაც ხელთ იგდებს, ყველას დახოცავს და ჩვენს ცოლ-შვილს დაატყვევებს. ციხე-ბურჯი, რომელშიც ეხლა ვიმყოფებით, მყარი და შემოსაზღვრული სიმაგრეა, მაგრამ რუმის ლაშქარს არც მისი ალება გაუჭირდება, მან ხომ კვიპროსისა⁶⁴ და ხალკ ულ-ვადის⁶⁵ დიდი ციხეებიც კი დაიმორჩილა. მოდით, ეხლავე შევხედეთ და დავემორჩილოთ. იმედია, რომ ისინიც ჩვენი მდგომარეობის შესაფერ პატივს მოგვაგებენ. ჩვენს მინა-წყალს არ ააოხრებენ და სარჩო-საბადებელს არ მიიტაცებენ. ჭკვიანურად წინდახედულება გამოიჩინეს და შესახვედრად სურსათ-სანოვაგე მოამზადეს.

შევჩერდეთ აქ, როცა სარდლის აღმატებულებასთან მოვიდნენ, და სხვა ამბავს მივუბრუნდეთ, რომელშიც ისლამის ლაშქარი არტაანის ციხიდან აიყარა და მეორედ ღღეს ჩილდირად⁶⁶ სახელდებულ ცნობილ ადგილას მივიდა.

თურმე, იქ ერთი პატარა ქართული ციხე ყოფილა. სახელად იბლისის ციხეს⁶⁷ უწოდებდნენ. ერთ ხეობაში მეტად ქვიან და მაგარ ადგილზე [მდებარეობს]. თურმე, იმ დღეს იქ არზრუმის ბეგლარბეგი ბაჰრამ ფაშა⁶⁸ მენინავე რაზმით იმყოფებოდა. ის ციხე დაულაშქრავს. შიგნით რამდენიმე ურჯულო ყოფილა. ციხე ამათთვის არ მიუციათ, დიდი სიჯიუტე გამოუჩენიათ, წინააღმდეგობა გაუწევიათ და ბრძოლა დაუწყიათ. ნყეულმა ურჯულო-

ბმა ამათთან ძალიან ბევრი იომეს. ციხის შიგნიდან ისრითა და ქვეთ დიდი ბრძოლა გაუმართეს. ბოლოს, იმ ადგილას, ჯარის დარჩენილი ნაწილიც მოვიდა, ციხე შუაში მოიქცეის და ძლიერ შეუტეის. წყეული ურჯულოების ისრებს, ხმლებს და სხვა საბრძოლო იარაღს არ უყურებდნენ, ყოველი მხრიდან თავს ესხმოდნენ და როცა ისლამის ფადიშაჰის ქვეყანაში შუადღის ნამაზის დრო დადგა, ის ციხე აიღეს. იმ დღეს, როცა ამ ციხისათვის გამართულ ბრძოლასა და გართობაში იყვნენ, დიარბექირის⁵⁹ ბეგლარბეგმა დერვიშ ფაშამ⁶⁰ მენინავე რაზმიტურთ სანახების შემოვლისას შენიშნა, რომ ერთ ფერდობზე რამდენიმე მეომარი გამოჩნდა. ჩვენ რომ გვიყურებს აქ მდგომი ჯარი, რა ჯარიო მოქვეს და რუმის მხედრებიდან რამდენიმე ცხენოსანმა მამაცმა ვაჟაკმა ცხენს დეზი ჰკრა. რომ მიუახლოვდნენ, ნახეს, რომ გზააღდენილი ყიზილბაშის ლაშქარი ყოფილა. თურმე, ის წყეულები თოქმაქ-ხანთან, ყარა-ხანთან, იმამყული-ხანთან,⁶¹ ქიზიქ დოღუზ-ხანთან და სხვა ცნობილ ხანებთან ერთად, [სულ] ორმოცი ათასამდე მამაცი ყიზილბაში მეომარი საბრძოლველად მოსულა. მაშინვე თავი იჩინეს, ერთბაშად ეკვეთნენ დერვიშ ფაშას და ბრძოლა გაუმართეს, დერვიშ ფაშას კი მცირე რაზმი ახლდა. აღარც გაქცევა შეიძლებოდა. დიარბექირის გულადმა ქურთმა ბეგებმა – სხვა გზა არა გვაქვსო – თქვეს, სიმცირეს აღარ შეხედეს და ისლამის სარწმუნოების კეთილდღეობისა და ქვეყნიერების მფარველი ფადიშაჰისათვის წყეულებს ეკვეთნენ. ისეთი ომი ატყდა, რომ უამრავი თავი გაგორდა მიწაზე, მკერდები გაიფლითა და ადამის ძენი მიწაში სეტყვასავით ჩაეფლნენ. ისეთი დიდი ბრძოლა გაიმართა, რომ ამის აღწერა შეუძლებელია. რადგანაც წყეული ყიზილბაშები ბევრნი იყვნენ, დერვიშ ფაშას კი მცირე რაზმი ახლდა, ამიტომ ყიზილბაშთა ერთმა ნაწილმა რუმის რაზმზე იმძლავრა. იმ ადგილას შვიდი მამაცი ქურთი ბეგი მონამებრივი სიკვდილით აღესრულა, მათგან ერთი კი – სარუხან ბეგი⁶² – მთელი ქურთების ნამუსი და დიდება იყო. ბანაკში მყოფმა მეომრებმა ამ ბრძოლის შესახებ არა იცოდნენ რა, მაგრამ გაიგეს თუ არა, მაშინვე ცხენებს ზურგზე მოექცნენ. ერთი მხრიდან არზრუმის ბეგლარბეგი ბაჰრამ ფაშა და მეორე მხრიდან

ოზდემირ ფაშას ვაჟი ოსმან ფაშა გამონაპირდა. ბოლოს, ბრძოლის ამბავი ყველამ შეიტყო. ყველანი ცხენებზე ამხედრდნენ და ელვასავით გაიჭრნენ. გზააცდენილი წყეულები შუაში მოიქციეს და ყოველი მხრიდან ხმლით ისე ჩეხდნენ, რომ გვამს გვამზე აწყობდნენ. წყეულებმა ნახეს, რომ რუმის ჯარმა შეუტია. ყოველი მათგანი შიშმა [კიდევ უფრო] გააგულადა. ლომებრ მამაცურად იბრძოლეს [მაგრამ], როცა ძლიერ შეუტოეს, წყეულთა გულებს შიში დაეუფლა, სხეულმა კანკალი დაუნყო, დაიბნენ, მაშინვე პირი იბრუნეს და გაიქცნენ. გზააცდენილ ურჯულოებს უკანდახევის შემდეგ რუმელიელი ლაზიები ხმლით მუსრს ავლებდნენ. ასეთი მრავალრიცხოვანი ლაშქარი ერთ საათში გაფანტეს. ლაზიების შუბებისგან სისხლდანთხეულები შიშველი ხელებით იბრძოდნენ და ყოველი მათგანი წითელ სისხლში ჩაიხრჩო, ასე რომ, უამრავი თავი გაგორდა მიწაზე და მკერდები გაიფლითა. ბოლოს, ადამიანთა სისხლისგან მიწა შავი ტიტის ფრად შეიღება. ორი ლაშქარი ერთმანეთს შეეჭიდა და ერთმანეთში აირია. გამხმარი მიწა ცხენთა ფლოქვებისგან ბამბასავით დარბილდა. მტვრისა და სისხლის ოხშივარისგან, თოფების სროლისგან, ადამიანთა ყვირილისა და ცხენთა ჭიხვინისგან ბრძოლის ველი განკითხვის ადგილად გადაიქცა. იმ დღეს საღამომდე გასტანა ფიცხელმა ბრძოლამ. დაღამებისას ხმაღს გადარჩენილი პირშავი ყიზილბაშებიდან ზოგი მდინარის პირას ბალახში ჩაიმალა და ზოგი კიდევ ქვას ამოეფარა. ამგვარად, იმ დღეს ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა. საღამო ჟამს ლაზიებმა მოჭრილი თავები შუბებზე და სარებზე წამოაცვეს. დატყვევებული ურჯულოები ძაღლებით დააგდეს იქ. რამდენიმე დოლი აქლემებს აჰკიდეს და ცუდი აზრით შეპყრობილ ყიზილბაშებს კვლავ აახმაურებინეს. ფაშები, ბეგები და ლაზიები ბანაკში ძილისწინა წამაზისათვის ხმაურითა და ყიჟინით დაბრუნდნენ. დიდვეზირის აღმატებულება კარვის წინ გამოვიდა. წყალობა მოიღო, თავების მომტან ლაზიებსა და ბეგებს შეეგება და თითოეული მათგანი შეაქო: ყოჩაღ ჩემო ლაზიებო, თქვენს ხელებს ძალა შეემატოს, თეთრად დაბერდით და ფადიშაჰის პური თქვენზე ალალი იყოსო. იმ ღამეს მთელმა ლაშქარმა მოისვენა. გათენდა და სარდლის აღმატებულებამ

დივანი შეკრიბა, ლაშქარმა დივანთან მოიყარა თავი. თავების მომჭრელი და თანამოსაქმე ლაზიები დამსახურებისდამიხედვით დაანინაურა და პატივი მიაგო. შემდეგ დატყვევებულ წყეულებს მიუბრუნდა, თავები ნააგდებინეს და კარვის წინ გვამი გვამზე დაანყეს. თავებისა და გვამების გამო ადამიანი მინაზე ფეხს ვე-
ლარ ადგამდა. სისხლის ოხშივარისა და გვამების სუნისგან ხალხს გუნება-განწყობა გაუფუჭდა. მოჭრილი თავებისგან ისეთი დიდე-
ბული ზვინი დადგეს, რომ მნახველს გონება ებინდებოდა.

ყითა

გვამების სუნისგან თვალთ დაგვიბნელდა,
ვინ უთავოდ [დარჩა] და ვინ ას ნაჭრად [დაიფლითა],
მოჭრილი თავებისგან კოშკი ააგეს
და ციხისთავობა პატივცემულ ძალებს უბოძეს.

იმ დღეს, ასეთი კარგი განწყობის უამს, სარდლის აღმატე-
ბულებას მოხსენდა: ოქროსციხის პატრონი მანუჩარი ურჯულო
ჯარისკაცებთან ერთად შესახვედრად და დასამორჩილებლად
მოდისო. ფაშას აღმატებულებამაც ლაშქარს მიმართა და ყველანი
ცხენებზე შესხდნენ. იანიჩრებიც მოირთვნენ, თოფები მხარზე
გადაიდეს და ზემოხსენებულ მანუჩარს ცოტათი წინ შეეგებნენ.
[ეს] შესახვედრად კი არა, უფრო თავიანთი დიდებისა და მამა-
ცობის საჩვენებლად იყო გამიზნული. მდაბალი ურჯულოებიც
მოვიდნენ და ორად მდგარი ჯარისა და იანიჩრების შუაში გაი-
არეს. ფაშას აღმატებულების კარავს რომ მიუახლოვდნენ და ეს
დაყრილი გვამები და თავებისგან აგებული ზვინები დაინახეს,
შემოდგომის ფოთოლივით ათრთოლდნენ, გადაფითდნენ და
გრძნობა და გონება დაკარგეს. მივიდნენ, ფაშას აღმატებულებას
ხელზე ემთხვივნენ და ისლამის სარწმუნოებას და ქვეყნიერების
მფარველ ფადიშაჰს დამორჩილდნენ. როდესაც ზემოაღნიშნულმა
მანუჩარმა ისლამის სარწმუნოების სინმინდე და სიძლიერე იგრძ-
ნო - დიდება უწმინდეს და უზენაეს ღმერთს - მთელი გულით
მიენდო ამ რწმენას, [მაჰმადის რჯულს] ეზიარა, სახელად მუს-
ტაფა უწოდეს და ოლთისის ლივა⁶⁵ სანჯაყად უბოძეს.

ჩილდირად სახელდებული ადგილიდან ავიყარეთ და რამდენიმე სადგომის [შემდეგ] აღჯაყალად⁶⁴ წოდებულ ცნობილ ციხეში მივედით და წყლის პირას დავბანაკდით. სანამ სარდლის აღმატებულება მოვიდოდა, მანამდე არტაანის ბეგმა აბდურახმან ბეგმა⁶⁵ ზემოაღნიშნულ ციხეზე გაილაშქრა. შიგნით რამდენიმე ურჯულო ყოფილა, ციხე არ დაუთმეს, გაჯიუტდნენ, რის გამოც აბდურახმან ბეგმა ბრძოლა გაუმართა. ციხე ძალით, ვაჟკაცურად აიღო. ურჯულოთა ნაწილი გაულიტა, ნაწილი კი ტყვედ იგდო და რამდენიმე ურჯულოს [მოჭრილი] თავით ფაშას აღმატებულებას იმ სადგომში შეეგება. ფაშას აღმატებულებამ ციხეს მცველები ჩაუყენა და რამდენიმე ზარბაზანიც გამოუყო. [მერე] იქიდანაც აიყარა და გზას გაუდგა.

მეათე დღეს თბილისად წოდებულ ცნობილ ციხეში მივედით. ვილაიეთის მცხოვრებლები ყველანი ქართველები არიან, მაგრამ დაუთ-ხანად⁶⁶ წოდებულ წყეულ ყიზილბაშ ხანს დაუმორჩილებია. სანამ ისლამის ლაშქარი მოვიდოდა, მანამდე ზემოაღნიშნული ციხის ბინადარნი გახიზნულან. ციხე ცარიელი დაეტოვებინათ. მივედით და [ციხის] ახლოს დავბანაკდით. ხუთი-ექვსი დღე იქ გავჩერდით. თბილისის ციხე ერთი ხეობის შიგნით მდებარეობს. წყლითა და ჰავით ზომიერი ვილაიეთია. შვიდი-რვა დიდებული ილიჯე აქვს, გარშემო ბალ-ვენახებიც აკრავს. ქალაქის შუაში დიდი მდინარე ჩამოდის, სახელად მტკვარს უწოდებენ. ქალაქში იმ მდინარეზე ხიდია გადებული. როცა ხსენებული ციხე ყიზილბაშების ხელში იყო, შირვანიდან და ზაგემიდან მომავალი აბრე-შუმით დატვირთული ვაჭრები ამ ხიდზე გადადიოდნენ და ბაჟს იხდიდნენ. წელიწადში ერთი იუქი⁶⁷ ახჩით⁶⁸ ვაჭრობდა. აი, ასეთი ვილაიეთია. სარდლის აღმატებულებამ თბილისის ციხეს დასაცავად სანჯაყბეგი დაუნიშნა, საკმარისი რაოდენობის მეომარი და იანიჩარი ჩააყენა და რამდენიმე ცალი ზარბაზანიც გამოუყო. ერთი სიტყვით, ზემოაღნიშნული ციხე მეომრებითა და იარაღით გაავსო და გადაწყვიტა, რომ თავად უზრუნველად გადგომოდა გზას.

თურმე, იმ ვილაიეთების ურჯულოები და ზაგემად⁶⁹ წოდებული ქალაქი ცნობილ, მაგრამ ბილწსახელიან ლევან შაჰსა⁷⁰

და ალექსანდრედ⁷¹ წოდებულ ურჯულო ბეგს დაუპყრია. სანამ თბილისიდან აიყრებოდა, მანამდე სარდლის აღმატებულებამ წყეულ ურჯულოსთან სარუხანის სანჯაყბეგი კაიტას ბეგი⁷² ელჩად გააგზავნა და შეუთვალა: გურჯისტანის და ზაგემის ვილაიეთების მბრძანებლო და ბეგო ლევან შაჰო, გეცნობოს, რომ მე, რუმის ფადიშაჰის მდაბალმა ვეზირმა, 150 ათასიანი რუმის ლაშქრით შენს წინააღმდეგ გამოვილაშქრე. თუ მოხვალ და ისლამის სარწმუნოების ფადიშაჰის ჯარს დაემორჩილები, ხომ კარგია, ჩვენც შესაფერ პატივს მოგაგებთ და შენსავე ვილაიეთში სანჯაყს გიბოძებთ. შენც ისლამის ფადიშაჰს დაემორჩილე. თუ სიჯიუტეს გამოიჩინ და არ დაგვენებდები, დროულად მოვემზადები, შენს ქვეყანას და ვილაიეთს ავაოხრებ, გადავწვავ და დავაქცევ. შენს აზნაურებს, რომლებსაც ხელთ ვიგდებ, ერთიანად ხმლით ავკუნავ, მათ ცოლ-შვილს [კი] დავატყვევებ. ხელს თუ გამოიღებ, იცოდე, სიკვდილამდე არ მოგეშვებიო. ამის გაგებისთანავე წყეულმა ურჯულომ ყველა აზნაური და რჩეული, გამოცდილი ემირი შეკრიბა, მომავალზე ეთათბირა და უთხრა: რუმის ლაშქრისთვის წინააღმდეგობის გასანევად და შესაბრძოლებლად ძალ-ლონე არ შეგვწევს, ხოლო თუ მთებში წავალთ და გავიხიზნებით [მაშინ], რუმის ლაშქარი ჩვენს ქვეყანას და ვილაიეთს გაძარცვავს და ცეცხლს მისცემს. ასეთ ძლიერ ლაშქარს პასუხს ვერ გავცემთ, მით უფრო, რომ ოქროსციხის პატრონი მანუჩარიც მათ დაემორჩილა, თბილისიც აიღეს და მეომრებით აავსეს. ამის შემდეგ ამ ვილაიეთზე ხელს არ აიღებენ. რუმის ლაშქარი თუ რომელიმე მხარეს გაემართება და [მის დაპყრობას] შეეცდება, [მთელი] ქვეყანაც კი ვერ გაუნწევს წინააღმდეგობას, მით უფრო, რომ კვიპროსისა და ხალკ ულ-ვადის დიდი ციხე და კუნძული აიღეს. მოდით, ახლა ვიეშმაკოთ, შევხვდეთ, თითქოს ვემორჩილებით, თუ მათი დასასრული საფლავი იქნება [ხომ კარგი], სანანებელიც არ გვექნება, თუ მათი დასასრული მყარი არ იქნება, აი, ეს ჩვენს ხელთაა და თანაც ახლა ამოდენა ლაშქარს უკუვავადებთო, ბევრნაირად იეშმაკეს და გადაწყვიტეს, რომ მთავარსარდლის აღმატებულებასთან მოსულიყვნენ. ისლამის ლაშქარიც თბილისის ციხიდან აიყარა და მეორე დღეს ერთი სოფლის მახლობლად მეტად კარგ

ადგილზე დაბანაკდა. აქ ფაშას აღმატებულებას მოხსენდა, რომ რამდენიმე ათასი ურჯულო მეომრით ლევან შაჰი მოემართებოდა. სარდლის აღმატებულებამ ლაშქარს მიმართა და მეომრები ცხენებზე ამხედრდნენ. საბრძოლო იარაღით ყველა საკმარისად აღიჭურვა, იანიჩრებიც მოირთვნენ, თოფები მოიმარჯვეს, ფითილებს შეუნთეს და სამასი ზარბაზანი მოამზადეს. მეომრები რაზმებად და მნკრივებად დაენწყნენ. წყეული ლევან შაჰი დაახლოებით ხუთ-ექვს ათას ურჯულო მეომართან და მამაც ქართველ აზნაურთან ერთად მოვიდა. თავისი მხედრიონი ერთ კუთხეში დააყენა, თავად კი ხუთას-ექვსას მამაც ურჯულოსთან ერთად დოლისა და ნალარის თანხლებით ორად გაყოფილი ლაშქრის შუაში ჩაიარა. როცა ფაშას აღმატებულების კარავთან ცხენიდან ჩამოხტა, იანიჩრებმა თოფები დაცალეს და სამასი ცალი ზარბაზანი გაისროლეს. ისეთი ხმაური, სანახაობა და მხიარულება გაიმართა, რომ [მნახველს] გონება ებინდებოდა, წყეულ ურჯულო მეომრებს [კი] სახეზე ფერი არ ედოთ, გრძნობა დაეკარგათ და იმედი გადაენწყვიტათ. რუმის ლაშქარმაც იაზრა, რომ ლევან შაჰი კარავში შესვლისთანავე ამათი მოკვლისა და ნივთების დატაცების ბრძანებას გასცემდა. ყველა მზად იყო, მაგრამ სარდლის აღმატებულებამ წყეული არ მოაკვლევინა, თავად მას ძვირფასი პერანგი გადააცვა და თავისსავე ვილაიეთში კვლავ სანჯაყი უბოძა, წყეული ურჯულოც ქვეყნიერების მფარველ ფადიშაჰს დაემორჩილა და შეთანხმდნენ, რომ წლიდან წლამდე ხარაჯას გადაუხდინა და ფადიშაჰის ბრძანებას არ გადავიდოდა. ერთი-ორი სადგომი ისლამის ლაშქართან ერთად გაიარა. შემდეგ ფაშასგან ნებართვა აიღო და კვლავ თავისი ვილაიეთისკენ გაემართა.

ლევან შაჰის წასვლის შემდეგ მეშვიდე სადგომზე ალაზნად ნოდებული ცნობილი დიდი მდინარის ნაპირს მიადგა (ლალა-ფაშა - მ. ი.). იმ უბანში შეჩერდა და რამდენიმე დღე შეისვენა, მაგრამ ლაშქარში შიმშილობა იყო, სურსათი არ იშოვებოდა. სტამბოლური ქილა⁷³ ქერი სამასი ახჩა გახდა, ქილა ფქვილი ხუთას, ექვსასზე და ერთი ოყა⁷⁴ მარილი ორასზე ავიდა, რაც შეეხება ხორცსა და პურს [სრულებით] არ იშოვებოდა. ლაშქარში ისეთი

შიმშილობა იყო, რომ ამის გადმოცემა და აღწერა შეუძლებელია. ამ უბანში რამდენიმე დღე შეჩერდა. მეომრები გარშემო სოფლებში დაიფანტნენ და როცა რამდენიმე საბრძოლო აქტემების ქარავანი მინდორზე იყო და ბალახობდა, თურმე, წყეული ყიზილბაში ხანებიდან ამირ-ხან⁷⁵ წყეული 30 ათას ურჯულო ყიზილბაშთან ერთად მოსულიყო და ერთ მინდორში ჩასაფრებული საბრძოლველად დამდგარიყო. როგორც კი გარშემო სურსათ-სანოვაგისთვის ნასული ხალხი და რამდენიმე საბრძოლო აქტემების ქარავანი წყეულ ურჯულოებს თავს წაადგა, მაშინვე თვალით ხილულნი გახდნენ და ამათ გარს შემოეხვივნენ. იმ უბანში რამდენიმე მსახური მონამებრივი სიკვდილით აღესრულა. [ყიზილბაშმა] საომარი აქტემების ქარავანი წინ გაიგდო და კვლავ იმ მხარეს გაემართა, საიდანაც მოვიდა. ამასობაში ბანაკში ამბის მომტანი გამოჩნდა და ლაშქარი საომრად გაემზადა. ყველანი ცხენებზე ამხედრდნენ. ერთი მხრიდან ბაჰრამ ფაშა და ოსმან ფაშა და მეორე მხრიდან დერვიშ ფაშა გამონაპირდა. ერთი სიტყვით, ლაზიები ყოველი მხრიდან ელვასავით გაიჭრნენ და იმ ადგილას ბრძოლა დაიწყეს. ერთი ხანობა ისეთი დიდი ხოცვა-ჟლეტა გაიმართა, რომ უამრავი თავი გაგორდა მიწაზე, მკერდები გაიფლითა და ადამის ძენი მიწაში სეტყვასავით ჩაეფლნენ, მაგრამ რუმის ლაშქარმა პირი არ იბრუნა, ყოველი მათგანი შიშმა გააგულისა და ლომებრ მამაცურად იბრძოლა. წყეულმა რაფიზიებმა⁷⁶ ნახეს რა, რომ რუმის ლაშქარი იმარჯვებს, მათ გულებს შიში დაეუფლა და სხეულმა კანკალი დაუნყო, ხელ-ფეხი გაუშემდათ, პირი იბრუნეს და სათითაოდ გაიქცნენ. რუმის ლაშქარი წყეულებს ზურგიდან ხმლით ჩეხავდა. ასეთი მრავალრიცხოვანი ლაშქარი ერთ საათში გაფანტეს. ვინ მოკლეს, და ვინ კიდევ ხმლის შიშით იმ დიდ წყალში ჩავარდა და ჩაიხრჩო. ერთი სიტყვით, იმ დღეს საღამომდე დიდი ბრძოლა მიმდინარეობდა. ლაზიებმა წყეული ყიზილბაშები გასრისეს და დაფანტეს. შემდეგ მოჭრილი თავები სარებზე წამოაცვეს. ხელთგდებულ ურჯულოებს როგორც ძაღლებს, ისე მოექცნენ. დოლები კვლავ აქტემებს აჰკიდეს და ცუდი აზრით შეპყრობილ ყიზილბაშებს აახმაურებინეს. ბეგები, ფაშები და მეომრები ყიჟინით მოვიდნენ ბანაკში და ამ ბრძოლის ამბავი მთელ მხარეს მოედო.

სარდლის აღმატებულების იქ დიდხანს დაყოვნების მიზეზი გახდა ის, რომ მდინარე ალაზანი ადიდებული იყო. იმედი ჰქონდა, რომ ცოტა დაწყნარდებოდა, ამ დიდ წყალს გადალახავდნენ და შირვანში წავიდოდნენ. მოლაშქრეებმა რომ გაიგეს, რომ ეს მდინარე უნდა გაევიდნენ და შირვანში წასულიყვნენ, შეგროვდნენ, პირი შეკრეს, ფაშას აღმატებულებასთან მივიდნენ და უთხრეს: სვებედნიერი ფაშა, სად მიდიხარ, ლაშქარში შიმშილობაა, ზამთარიც მოახლოებულია და ლაშქარს საბოლოოდ გატეხავ, ჩვენ აქედან წინ ერთ ნაბიჯსაც კი არ გადავდგამთ. ფაშას აღმატებულებამ ნახა რა, რომ ლაშქარს თავისი გაჰქონდა, შუამავლის საშუალებით ჯარს შეუთვალა: დაისვენეთ და უკან დაბრუნდით. მოლაშქრეებმაც ეს ამბავი რომ შეიტყვეს, მოტრიალდნენ და დაწყნარდნენ. მეორე დღეს ფაშას აღმატებულებამ დივანი შეკრიბა და ყველა წარჩინებული ბეგლარბეგი, სანჯაყბეგი, ბოლუქის ალა, იანიჩართა ქეთხუდა და ზოგიერთი რჩეული და გამოცდილი ემირი მიიწვია და უთხრა: ქვეყნიერების მფარველი ფადიშაჰის უდიდებულესობის უავგუსტოესი ბრძანება ასეთია: ამ კურთხეულ წელს უწმინდესი და უზენაესი ღმერთი ხელს თუ მოგვიმართავს, ქართულ ვილაიეთებს დავიპყრობ და შირვანის ვილაიეთსაც დავიმორჩილებ. ახლა, დიდება ალაჰს, უზენაესმა გამარჯვება გვიწყალობა, ქართული ვილაიეთები და ბეგები ფადიშაჰის ქვეყანაში ისლამის სარწმუნოების ლაშქარს დაემონა, ყველა ჩვენს ბრძანებას დაემორჩილა. იქამდე მოვედით, როცა შირვანამდე ოთხი-ხუთი სადგომილა დარჩა. ასეთი ტანჯვანვალეობა გამოვიარეთ და ახლა ამას არად აგდებთ და წასვლა გადაგინყვეტით, სწორი არაა, თანაც, ჩვენი ფადიშაჰის წმინდა სახელს არ ეკადრება. დიდება ალაჰს, ზამთარიც მოახლოვდა და ფადიშაჰის წმინდა ბრძანებისადმი ურჩობის განწევის დრო არ არისო, ეს უთხრა და კაფიკულუებს-ყველას თითო-თითო ახჩა მოუმატა, იანიჩრებიც დაასაჩუქრა და იმ დიდ მდინარეზე გადასვლა და შირვანში წასვლა გადაწყდა. მეომრები ცხენებზე ამხედრდნენ. მდინარეში ერთ ადგილზე ფონი იპოვეს და ფაშას აღმატებულების გადასვლის შემდეგ ყველანი აქა-იქ მოგროვდნენ და უკან მიყვნენ, მაგრამ ის დიდი წყალი ისეთი ადიდებული

მოედინებოდა, რომ მნახველს გონება ეკარგებოდა. ძალზე დიდი წყალი იყო. საბედისწეროდ მოედინებოდა. ისეთი საშინელი წყალი იყო, რომ ვინმესთვის რომ ეთქვათ – ამ წყალში თუ შეხვალ, მთელ საფადიშაჰოს მოგცემთო – უარს იტყოდა, მაგრამ ადამის ძენი ცხვრებივით არიან. როგორც კი ერთი გადავიდა, ყველა მიყვა და გადასვლა დაიწყო. ზოგი ფონსაც არ უყურებდა და სხვა ადგილზე გადადიოდა, მაგრამ იმ უმონყალო, საშინელმა წყალმა იმდენი ცხენი, აქლემი, ნივთი და ადამიანი წაიღო და დაახრჩო, რომ კალმით ვერ აღინერება და ენით ვერ ითქმის. იმ მდინარის ორივე ნაპირი განკითხვის დღეს დაემსგავსა. ზოგი ყვიროდა, ჩემო ცხენო და ავლადიდებო, ზოგი – ჩემო შვილო და ძმაო, ზოგიც – ჩემო მეგობარო. ერთი სიტყვით, იმ სისხლიანმა წყალმა იმდენი სიცოცხლე შეინირა, რომ მხოლოდ ალაჰმა უწყის. არავინ დაინდო და მოსვლის მიზეზისა და მიზნის განუკითხავად მოექცა. დანარჩენმა ლაშქარმა ის დიდი მდინარე გადალახა და გეზი შირვანისკენ აიღო.

986 წლის რეჯებ ულ-მურეჯების დასაწყისში,⁷⁷ მეხუთე სადგომზე შირვანის ვილაიეთში შევიდა და არემად⁷⁸ წოდებულ დაბაში მივიდა. იმ დღეს შირვანის ვილაიეთისა და არემის სუნიტები⁷⁹ ჯგუფ-ჯგუფად, რაზმებად, ზოგი ფეხშიშველი და ზოგი ცრემლ-მორეული მთავარსარდლის, მუსტაფა ფაშას, აღმატებულების შესახვედრად გამოვიდა. ისლამის ლაშქარს ყველა ხელს ართმევდა და სიხარულისა და კმაყოფილებისგან ყვიროდა: ისლამის სარწმუნოების ფადიშაჰის ლაშქარს გაუმარჯოს, დღეგრძელი იყავითო. ისლამის ლაშქრის წინ მუხლი მოიყარეს და ყასაბა არემის მახლობლად გიოქ მეიდნად წოდებულ ცნობილ ადგილზე დააბანაკეს. შემდეგ შირვანის დიდებულები საჩუქრებით ჯგუფებად მოვიდნან, ფაშას აღმატებულებას შეხვდნენ და შირვანის ვილაიეთის დაცვის თაობაზე ისაუბრეს. თავად ყასაბა არემი ბალ-ვენახებშია ჩაფლული, ქალაქის შუაში წყალი ჩამოდის, კარგი და გაშლილი ყასაბაა, მდინარის ორსავე ნაპირზეა გაშლილი, ხილი სამყოფია, იმდენია, რომ ასეთმა ურიცხვმა ლაშქარმა ოცი დღე დაჰყო [იქ], ხილი [კი] არ ილეოდა. ბალები ისე გამოიყურებოდა, თითქოს ხელი არავის უხლიაო და ბოლოს,

შირვანის აბრეშუმში აღნიშნულ ქალაქთანაა დაკავშირებული. ხალხიც მეტად გულუხვია. ზემონახსენები ქალაქის წინ შაჰის ბაღად სახელდებული ცნობილი დიდი ბაღი იყო. ის ბაღი სარდლის აღმატებულებამ მთლიანად გააჩეხინა და არეშის სიახლოვეს ერთი სიმაგრე ააგებინა. დიდ-დიდი ხეები მოაჭრევინა და კედელივით დაასმევენა, შუაში ხის მესერი გაავლებინა და შიგ მინა ჩააყრევინა. ზოგ ადგილას კოშკები და კედლები ააგებინა. ოთხივე მხარეს თხრილები და ორმოები ამოათხრევინა, შიგ წყალი ჩაასხმევინა და ერთ ადგილზე კარი შეაბმევინა. ისეთი კეთილმონყობილი ციხე გამოვიდა, რომ ამის გადმოცემა შეუძლებელია. ამ სიმაგრის აგების მიზეზი შემდეგია: ყასაბა არეშს ციხე არ ჰქონდა. გამორიცხული არ იყო, რომ [ლალა ფაშას] რუმში გამგზავრების შემდეგ მტერი დარჩენილ ლაშქარზე იერიშს მიიტანდა. [ასეთ შემთხვევაში] ლაშქარი იმ სიმაგრეში შევიდოდა, კოშკებსა და კედლებში ქვემეხსა და თოფს ჩადგამდა და ბრძოლის დროს თავშესაფრად გამოიყენებდა. ყასაბა არეშის წინ სარდლის აღმატებულება ოცი დღე გაჩერდა, მაგრამ შემოდგომის სიცივეები დადგა თუ არა, მაშინვე თადარიგი დაიჭირა, რომ თვითონ რუმში წასულიყო, ხოლო შირვანის ვილაიეთის დასაცავად კი ძლიერი ლაშქარი დაეტოვებინა. აღნიშნულ ვილაიეთში თავადაც [შეძლებდა] გამოზამთრებას [რადგანაც], მდიდარი ვილაიეთი იყო. სურსათ-სანოვაგე სამყოფი ჰქონდათ. არზრუმის დასაცავად სივანის ბეგლარბეგი დატოვა. [თანმხლები] ლაშქარი მცირერიცხოვანი იყო, იფიქრა და თქვა: აქ ყველას გამოზამთრება შესაძლებელია, [მაგრამ] მთების თოვლით დაფარვის შემდეგ უნმინდური ყიზილბაში ლაშქარს შეჰყრის და არზრუმზე გაილაშქრებს, ბასიანისა და არზრუმის ველს თავისუფალს რომ ნახავს, გაძარცვავს და სამარცხვინო ამბავს შეგვამთხვევსო, სასწრაფოდ რუმში დაბრუნება გადანყვიტა. შემდეგ შირვანის დასაცავად ვეზირის რანგით ალეპოს ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა გაანწესა და ლაშქარი ჩააბარა. მეჰმედ ფაშამაც დარჩენა გადანყვიტა. [მან] შირვანის ვილაიეთის ზოგიერთი ნარჩინებული და გამოცდილი ემირი შეკრიბა, გაესაუბრა და ამ ვილაიეთის მდგომარეობა გამოიკითხა. იმათაც უპასუხეს: უნმინდური ყიზილბაშები დაუდგრომე-

ლები არიან, მუსტაფა ფაშას რუმის მხარეში ბედნიერად წასვლის შემდეგ ერთხელაც იქნება მოვლენ და ბრძოლას გაგვიმართავენ, მაგრამ იმედია, რომ უნმინდესი და უზუნაესი ღმერთი ისლამის სარწმუნოების ლაშქარს ძალას შემატებს და იღბალი და გამარჯვება თქვენი იქნებაო. მეჰმედ ფაშა ყიზილბაშთა უეჭველი მოსვლის [თაობაზე] დაფიქრდა, შეშინდა, შირვანში დარჩენა აღარ ისურვა და ვეზირობასა და დარჩენაზე უარი თქვა. დიარბექირის ბეგლარბეგ დერვიშ ფაშას შესთავაზა. არც ის დათანხმდა. არზრუმის ბეგლარბეგ ბაჰრამ ფაშას უთხრა და ისიც არ დარჩა, საბეგლარბეგოზეც უარი თქვა. ერთი სიტყვით, ყველა ბეგლარბეგს შესთავაზა, მაგრამ დარჩენაზე ყველამ იუარა. ბოლოს, სარდალ მუსტაფა ფაშას აღმატებულებამ ოზდემირ ფაშას ვაჟი ოსმან ფაშა მიიწვია და შირვანის დასაცავად დარჩენა შესთავაზა. ისიც სარდლის აღმატებულების სიტყვებს არ გაექცა და ვეზირის რანგით ისლამის სარწმუნოების საკეთილდღეოდ და ქვეყნიერების მფარველი ფადიშაჰის საბედნიეროდ შირვანში დარჩენა გადაწყვიტა. სარუხანის სანჯაყბეგ კაიტას ბეგს არზრუმის საბეგლარბეგო მიეცა და არზრუმის ლაშქართან ერთად დარჩენა ებრძანა. კაფიკულუებიდან მარცხენა ულუფეჯიებს ყველას ორ-ორი ახჩა მოუმატა და დასაცავად გაანწესა. 1500 იანიჩარი, ნანილი მამაცი თანამზრახველებისა ჩანერა და თიმარის მფლობელების ნანილიც გაანწესა. ერთი სიტყვით, ოცათასიანი ლაშქარი ჩააბარა. ოსმან ფაშას აღმატებულებამ თავისი კარავი ლაშქრიდან გაატანინა, ერთ მდელოზე დაადგმევინა და შირვანისათვის განწესებულ კაფიკულუებს, იანიჩრებს, თიმარის მფლობელებს და ყველა სხვას მიმართა. [მათაც] ოსმან ფაშას გვერდით მოიყარეს თავი, შემდეგ, 986 წლის დიდი შაბანის დასაწყისში,⁸⁰ სარდალი მუსტაფა ფაშა დაბა არეშიდან აიყარა და რუმისკენ წავიდა. შირვანში დარჩენილები მეგობრებს დამწუხრებულნი და დალონებულნი დაშორდნენ. ოჯახებსა და ნათესავებს წერილები და საჩუქრები გაუგზავნეს. რუმისკენ წასულ ლაშქარს სიხარულისა და ბედნიერების შეძახილი აღმოხდა და გზას გაუდგა. ამ მხარეში დარჩენილები მათ [ისეთი] დამწუხრებულნი და დალონებულნი შეჰყურებდნენ, თითქოს [მათი] სული ძვირფასი

გალიიდან, სხეულიდან გამოფრინდა და პირველსაწყისამდე ამა-
ლლდაო. ერთი სიტყვით, წამსვლელი ნავიდა და დარჩენილები,
ყველანი, მუსტაფა ფაშას გამგზავრების შემდეგ ოსმან ფაშას აღ-
მატებულების გარშემო მოგროვდნენ. არეშის მახლობლად მიმდინ-
არე მდ. მტკვარი კი გურჯისტანის ვილაიეთიდან მოედინება და
თბილისის წინ მიმავალი დიდი წყალიც ამ უბანში ერთ ადგილზე
ერთდება. მეტად დიდი მდინარე ხდება, არეშის მახლობლად მიე-
დინება და შირვანის აღმოსავლეთამდე აღწევს. შვიდი-რვა დღის
სავალ გზაზე [მდებარე] ჯავადად⁸¹ წოდებული ვილაიეთიც შირ-
ვანს ეკუთვნის და იმ მიდამოში ზღვაში ჩაედინება. ხსენებული
დიდი წყლის აღმოსავლეთი მხარე შირვანია და დასავლეთი [კი]
ყიზილბაშთა ვილაიეთია. მუსტაფა ფაშას რუმში გამგზავრების
შემდეგ ოსმან ფაშამ მდინარეზე ტივებისგან შეკრული ხიდი
გაადებინა. ხიდის დასრულების შემდეგ თვითონ ხიდის ერთ თავ-
ში დადგა და ლაშქარი ყიზილბაშთა ვილაიეთებს შეესია. განჯისა
და ყარაბაღის ვილაიეთი დაარბიეს, ხელთგდებული ყიზილბაშები
გაყლიტეს და უთვალავი სურსათ-სანოვავე მოიტანეს. დამშეული
ხალხი რამდენადმე დანაყრდა. შემდეგ ოსმან ფაშას აღმატებ-
ულებამ ქალაქ შემახაზე [გალაშქრება] განიზრახა და არეშში კაი-
ტას ფაშა არზრუმის ლაშქრით, [ასევე] გულადები და რამდენიმე
ცალი ზარბაზანი, მთლიანად ხუთი ათასი კაცი დატოვა, თავად
[კი] ქალაქ შემახისკენ გაეშურა. მტკვრის ნაპირ-ნაპირ რამდენ-
იმე სადგომი გაიარა, მაგრამ როგორც კი გაიგო, რომ სალიანისა⁸²
და ჯავადის ვილაიეთებში ყიზილბაშები მოგროვილიყვნენ და იმ
ვილაიეთების რეაიები ისე შეევიწროებინათ, რომ მეტი ანიოკება
აღარ შეიძლებოდა, მაშინვე ლაშქარი იმ მხარეს მიაბრუნა და
ნავიდა. რამდენიმე დღე იარა. გზებზე შემხვედრი სოფლების მო-
სახლეობა ყიზილბაშთა შიშით ერთიანად გაქცეულიყო, ქვეყანა
ცარიელი დაეტოვებინათ, რის გამოც ლაშქარმა სურსათის მხრივ
დიდი ნაკლებობა განიცადა. ბოლოს, იმ ვილაიეთის წარჩინებ-
ულებმა და გამოცდილმა ემირებმა ფაშას აღმატებულებას
უთხრეს: ძლევამოსილო ფაშა, ამ მხარეში გამავალ გზებზე მდე-
ბარე სოფლების მოსახლეობა ყიზილბაშთა შიშით ერთიანად გახ-
იზნულა, ქვეყანა ცარიელი დაუტოვებია, რის გამოც მეომრებს

სურსათის მხრივ გასაჭირი ადგას. თავადაც და ცხენებიც დაუძღურდნენ და დიდი წვალეზა გამოიარეს. ბრძოლამ რომ მოუწიოთ, მეომართა ცხენები ველარ გამოდგებიან. მოდი, ჯერ ქალაქ შემახას მივადგეთ. მდიდარი ვილაიეთია. ცხენები და მეომრები რამდენიმე დღე დაისვენებენ, თან ეს ტვირთი, ბარგი და აქლემები იქ დავტოვოთ, მტერზე მსუბუქად გავილაშქროთ და [ისე] ვიბრძოლოთ. ოსმან ფაშას აღმატებულებამ ეს რჩევა ყურად ილო და თავისი რაზმი მაშინვე ქალაქ შემახისკენ შეატრიალა. იმ დღეს შაბურანად⁸³ სახელდებული ყასაბის მახლობლად შეჩერდა, მეორე დღეს [კვლავ] დაიძრა. რამდენიმე სადგომის შემდეგ ქალაქ შემახაში შევიდა. იმ დღეს ხსენებული ქალაქის სუნიტები და სხვა ხალხი, ყველანი, მთავარსარდლის, ოსმან ფაშას, აღმატებულების შესახვედრად ჯგუფ-ჯგუფად გამოვიდნენ. ხელოსნებმა დროები გაშალეს და მის აღმატებულებას, ფაშას, ცხენის ფეხქვეშ ქსოვილი და ნარმა დაუგეს. თავის მხრივ რუმის ლაშქარმაც შესაფერისად ჩაიცვა და დაიხურა. იმ დღეს განსაკუთრებით ოსმან ფაშა გამოირჩეოდა. იგი საბრძოლო იარაღით აღიჭურვა, ძვირფასი თვლებით მორთული ტანსაცმლით შეიმოსა, შავ ცხენზე ამხედრდა და მეომრებს ისე მამაცურად და ლომებრ გულადად ჩამოუარა, თითქოს რუსტემ-ზალია⁸⁴ ან [კიდევ] მკვლელი გმირიყო. მოლაშქრეები მარჯვენა და მარცხენა რიგებად და მწკრივებად დაენწყენ. ორმოცდაათი ზარბაზანი ჩაამწკრივეს და ათას ხუთასი იანიჩარი გამოვიდა. წინ მოოქროვილ ქუდიან და ქამრიან ექვს მსახურს ძვირფასი თვლებით მოჭედილი ცული ეჭირა ხელში. ამ მორთულობით მამაცად შევიდნენ ქალაქ შემახაში და ქალაქის შუაგულში მდგარ არას-ხანად⁸⁵ ნოდებული წყეულის სახლში დაბინავდნენ და მოისვენეს. მებრძოლებმა ქალაქში შესვლისას გასართობად ის ზარბაზნები გაისროლეს და იანიჩრებმა თოფები დაცალეს. ისეთი ხმაური და სანახაობა გაიმართა, რომ [მნახველს] გონება ეკარგებოდა. ქალაქის მცხოვრებლებს ქვემეხისა და თოფის ხმისგან ყურთასმენა წაერთვათ, გრძნობა და გონება დაეკარგათ და გაცეებულები იდგნენ. ერთი სიტყვით, მეომრები ქალაქში შევიდნენ და ყველამ სათითაოდ დაიკავა სახლი და დაბინავდა. როცა აღნიშნულ ქა-

ლაქში შევედით, 986 წლის დიდი შაბანის დასასრული⁸⁶ იყო. რამდენიმე დღის შემდეგ წმინდა რამაზანი შემოდიოდა. ქალაქი შემახა მდიდარი ვილაიეთია. ხორცი, პური და სხვა წყალობა უთვალავია. ნაშიმშილევი და ლაშქრობაგამოვლილი ხალხი რამდენიმე დღე დასვენებას მიეცა. [ისინი] სამარხვო ლოცვითა და განდგომით იყვნენ დაკავებულნი.

თვითონ ქალაქი შირვანის ვილაიეთის შუაგულში გაშლილ ადგილზე მდებარეობს. წყალი და ჰავა ძალზე კარგი აქვს. იალალეზიანი ვილაიეთია. ზედა მხრიდან გულისტანად წოდებული ციხე აკრავს. წარსულში კეთილნაშენი ციხე ყოფილა, მაგრამ ყიზილბაშს აუოხრებია და ახლა დანგრევის პირზეა. ერთი სიტყვით, ამგვარი ყოფით [ლაშქარმა] რამდენიმე დღე დაისვენა. ერთ დღეს ოსმან ფაშას აღმატებულებასთან მსტოვარი გამოცხადდა – თხუთმეტი ათასი ყიზილბაში მეომრით არას-ხანი, ერდოლდუხანი და მისი ვაჟი ალი ბეგი შენთან საბრძოლველად მოდიანო – შეატყობინა. ოსმან ფაშამაც რაზმს მიმართა: მზად იყავით, ჩვენთან საბრძოლველად ყიზილბაში მოდისო. მოლაშქრებმაც ცხენები [შეკაზმეს], იარაღი გააკრიალეს, მოემზადნენ და დადგნენ. შემდეგ, 986 წლის კურთხეული რამაზანის დასაწყისში,⁸⁷ ერთ დილას დავინახეთ, რომ არას-ხან წყეულმა თხუთმეტი ათასი ჯან-ლონით სავსე ყოჩალი, [მაგრამ] უნესრიგო და გზააცდენილი ყიზილბაში შემახის დასავლეთით რაზმებად და მწკრივებად დააწყო, ცუდი აზრით შეკეცილობილებმა ნალარა, დოლი და საყვირი აახმაურეს და დაიძვრნენ. რუმის ლაშქრიდან ზოგიერთი მამაცი დანინაურდა. მათ და ყიზილბაშმა ჩარკაჯიებმა⁸⁸ ალაპი ადიდეს. შემახის მოპირდაპირე მხარეს ყინულით [დაფარულ] ბორცვებზე გზააცდენილ ყიზილბაშთა ლაშქარი მთლიანად დაეწყო. ზედმეტი ტვირთი დაჰყარეს. ცხენოსნები და მებრძოლები რაზმებად დამწკრივდნენ. აქა-იქ ალმები გაშალეს და მოედანზე გავიდნენ. მეორე მხრიდან ოსმან ფაშას აღმატებულება და ისლამის ლაშქარიც საბრძოლო იარაღით სრულად აღიჭურვა და მარჯვენა და მარცხენა ფრთებად დაეწყო, იანიჩრებიც მოემზადნენ, თოფები მხარზე გადაიდეს, ფითილებს შეუთესეს; ფაშას აღმატებულების წინ გაჩერდნენ, ქალაქ შემახის მახლობლად

რაზმებად და მსკრივებად დაენწყნენ და გზააცდენილი ყიზილბაშების პირისპირ დადგნენ. ორივე მხრიდან გულადი და მამაცი ჩარკაჯიები გამოვიდნენ და მოედანზე ლომისებრი უშიშროება და მამაცობა აჩვენეს. [რამდენიმე ხანი] ასე იბრძოლეს, მაგრამ გზააცდენილი ყიზილბაში ხანებიდან ურჯულო ერდოლდუ-ხანის ვაჟმა ალი-ყულად წოდებულმა მამაცმა ყიზილბაშმა ვაჟკაცობა გამოავლინა და თქვა: ათასი მამაცი და რჩეული მებრძოლი მომეცით. შემახის ზედა მხარეს ერთ მინდორში ჩავსაფრდები. როცა ორი ლაშქარი ერთმანეთს შეხვდება და შეებრძოლება [აი, მაშინ], ქალაქის ერთი მხრიდან ათასი ჯარისკაცით თავს დავესხმები. როგორც კი რუმის ლაშქარი მობრუნდება და ქალაქს ამბის მომტანი მოაღწევს, თქვენც წინიდან შეუყეფეთ და გაილაშქრეთ. იმედია, რომ ამ გზით რუმის ლაშქარს გავფანტავთო – [ასეთი] გეგმა დაანყო. სინამდვილეში, როცა მებრძოლები ორ საწინააღმდეგო მსკრივად ეწყობოდნენ, ორთა ბრძოლა მიმდინარეობდა და ის წყეული ათასი მამაცი ცხენოსანი ყიზილბაშით ქალაქზე [თავდასხმას] აპირებდა, თურმე, იმ უბანში ოსმან ფაშას აღმატებულების ქეთხუდამ, ხოსრომ,⁸⁹ რამდენიმე ცხენოსანთან ერთად ის პოზიცია შეინარჩუნა. მაშინვე იმ წყეულებს წინ აღუდგა და დიდი ბრძოლა გაუმართა. როგორც ჩვენგან, ისე მათგან ბევრი დაეცა მიწაზე და თან იმ ბრძოლაში ხოსრო ქეთხუდა მონამებრივი სიკვდილით აღესრულა. ის იყო, ურჯულო წყეულები ქალაქს თავს უნდა დასხმოდნენ, რომ ქალაქის ქუჩებიდან თოფებმა იჭექეს. იმ ადგილზე ერთი-ორი ცალი ზარბაზანი დადგეს, გაისროლეს და უზენაესი ღმერთის წყალობით იმ დროს ალი-ყულად წოდებულ წყეულს ქვემეხი მოხვდა, სული ჯოჯოხეთს მიაბარა და მისი იარაღაკაზმული ტაიჭი გამოიქცა და რუმის ლაშქართან მოვიდა. როგორც კი ურჯულო წყეული ალი-ყული დაეცა, სხვა ყიზილბაშებმაც პირი იბრუნეს და გაიქცნენ. ეს რომ ნახეს, რუმელიელი ღაზიები წყეულებს ზურგიდან დაედევნენ და როცა დაენიენ, ამგვარი ორთა ბრძოლა შუადღის ნამაზამდე გაგრძელდა, მაგრამ წყეულმა ყიზილბაშმა ცოტათი დაიხია, უკან წავიდა და თავი ისე აჩვენა, რომ მარცხდებოდა, თურმე, რუმის ლაშქარი მოატყუა, ქალაქიდან გარეთ გაიტყუა და ქვემეხებს მოაცილა.

თანაც სურდათ, რომ ერთბაშად დასხმოდნენ თავს. ისინი უკან იხევდნენ და რუმის ლაშქარიც მისდევდა. თანაც იმ უბანში პატარა წყალი ჩამოდიოდა, მასზე მომცრო ხიდი იყო გადებული. ეს წყალი ორ ლაშქარს ყოფდა. იმათი ჩარკაჯიები აყეფდნენ და იმ უბანში დადგნენ, რუმის ლაშქრის ჩარკაჯიებმაც ყიჟინა დასცეს და ისინიც იქ გაჩერდნენ. იმ წყალზე გადავიდნენ და ყიზილბაშს ისე შეუტიეს, რომ იმ ადგილის მახლობლად აღმოჩნდნენ, სადაც მანამდე მათი დანყობილი რაზმები იდგა. ამგვარი ბრძოლის დროს ურჯულო წყეულები გაერთიანდნენ, რუმის ლაშქარს შესძახეს და ერთხმად გარშემოხვივნენ. რუმის ლაშქარიც შეებრძოლა. იმ უბანში ორი ლაშქარი ერთმანეთს შეეჭიდა. ისეთი დიდი ბრძოლა გაიმართა, რომ უამრავი თავი გაგორდა მიწაზე, მკერდები გაიფლითა და ადამის ძენი მიწაში სეტყვასავით ჩაეფლნენ. ორი ლაშქარი ერთმანეთში აირია. გამხმარი მიწა ცხენთა ფლოქვებისგან ბამბასავით დარბილდა, სისხლის ოხშივარმა ჰაერი დაფარა და ადამიანთა სისხლისგან მიწა შავი ტიტის ფრად შეიღება. ქვემეხისა და თოფის სროლისგან, ადამიანთა ყვირილისა და ცხენთა ჭიხვინისგან ბრძოლის ველი განკითხვის ადგილად გადაიქცა. იმ ბრძოლაში რუმის ლაშქრიდან ბევრი იანიჩარი მონამებრივი სიკვდილით აღესრულა. იმათგანაც მრავალი წყეული დაეცა მიწაზე. ერთი სიტყვით, დიდი ხოცვა-ჟლეტა და ომი გაიმართა. ორი ლაშქარი კვლავ ერთმანეთს მოსცილდა და თავთავის ადგილზე გაჩერდა. მტვერი ჰაერში ავარდა და მოედანი გამოჩნდა. მოედანს რომ გახედავდი [ნახავდი, რომ] ის თეთრი გვამები მოედანზე თეთრ რიგებად იყვნენ განოლილნი. ერთი სიტყვით, იმ დღეს სალამომდე მიმდინარეობდა ბრძოლა. სალამო ჟამს დასასვენებლად დაფი აახმაურეს. ორი ლაშქარი ერთმანეთს მოსცილდა და თავ-თავის ადგილზე გაჩერდა. ის ღამე გავიდა. გათენებისას ორი ლაშქარი კვლავ ცხენებზე ამხედრდა. ერთი მხრიდან რუმისა და მეორე მხრიდან ირანის ლაშქარი გამოვიდა და მოედანზე შევიდა. წინ გაიხედეს, მწკრივებად და რაზმებად დაეწყვნენ და გაჩერდნენ. მოედანი გამოჩნდა და როცა მათი მზერა მასზე შეჩერდა, ნახეს, რომ სიკვდილის მაკრატელს ზოგისთვის თავი წაეჭრა.

ყითა

წინ გავიხედეთ, მწკრივები განოლილიყო,
სიმაგრის კედლები აიგო, ოსტატები
ჩვენ ვიყავით. ორი მხრიდან მოედანზე ლაშქარი შევიდა.
ვნახეთ, რომ სიკვდილის მაკრატელს ზოგისთვის თავი
ნაექრა.

პატიოსანმა ადამიანებმა ლომებივით ორთა ბრძოლა
გამართეს,
ერთმანეთს შეუტიეს, დაეტაკნენ და სისხლი დაანთხევენეს.
ბოლოს, ადამიანთა სისხლისგან მინა ტიტის ფრად შეილება,
მკერდები გაიფლითა, გვამები ისე ეყარა, თითქოს ხალიჩა
[გაუფენიათ],
ლოცვა: მუდამჟამს გამარჯვებული იყოს [ოსმალო],
ომის ღმერთები თვალყურს გვადევნებენ. მათთვის
მცდელობა არ [დავიშუროთ].

შემდეგ ორივე მხრიდან გულადი და მამაცი ჩარკაჯიები კვ-
ლავ შევიდნენ მოედანზე და ბრძოლა დაიწყეს. ერთხანს ორთა
შერკინება მიმდინარეობდა. რუმელიელი მეომრებიდან რამდენ-
იმე ცნობილი და მამაცი პიროვნება იყო. მათგან ერთი, ალაი-
ბეგი დელი მუმი და გულადების ალა დელი კაიკუ და ოსმან
ფაშას ალებიდან ბალი ალა,⁹⁰ ბაჰრამ ალა და ჩაუშთა მეთაური
მარჯვედ იბრძოდნენ. ურჯულო ყიზილბაშთა ლაშქრიდანაც რამ-
დენიმე ცნობილი გულადი იყო. უმეტესობა შავ ცხენებზე იყო
ამხედრებული და თავზე წითელი ბაირალი და დოლბანდი ჰქონდა
მოხვეული. ვინც ერთხელ იომებდა, მეორედ საბრძოლველად ვე-
ლარ გამოვიდოდა. ერთი სიტყვით, იმ დღესაც სალამომდე დიდი
ბრძოლა მიმდინარეობდა. ჩვენგან და მათგან უამრავი ადამიანი
დაეცა მინაზე. სალამო ჟამს დასვენების დოლი აახმაურეს. ორი
ლაშქარი ერთმანეთს მოსცილდა და თავ-თავის ადგილზე გაჩ-
ერდა. ის ღამე გავიდა. გათენებისას მეომრები კვლავ ზურგზე
მოექცნენ ცხენებს, ირანისა და რუმის ლაშქარი ერთმანეთის
პირისპირ დადგა. მოედანი გამოჩნდა, მამაცი და გულადი ჩარკა-
ჯიები კვლავ შუაგულში შევიდნენ და ორთა შერკინება გამართეს.
ლომებივით იბრძოდნენ.

თხრობა აქ შევწყვიტოთ და სხვა ამბავს მივუბრუნდეთ, რომელიც თათართა ხან ადილ გირეი სულთანს⁹¹ ეხება.

თურმე, როცა ქვეყნიერების მფარველი ფადიშაჰისა და დიდებული შაჰინშაჰის უდიდებულესობამ აღმოსავლეთის მხარეში უზენაესი ლაშქრობის [შესახებ] ბრძანება გასცა, თათართა ხანსაც უბრძანა: შენც ლაშქრითურთ აზოვის,⁹² ჩერქეზეთის, ყივჩაღთა ველის,⁹³ ყაბარდოს, ყუმუხის, საშამხლოს⁹⁴ და დემურკაფუს გავლით შირვანის ვილაიეთში ჩემს ვეზირსა და სარდალს, მუსტაფა ფაშას შეხვდიო. ხანის აღმატებულებამაც ფირმანის მიღებისთანავე თავისი ძმა ადილ გირეი-ხანი მთავარსარდალად დანიშნა და მამაცი მოისარი თათრის ჯარი, რამდენიმე ცალი ზარბაზანი და ხუთასი იანიჩარი გამოაყოლა. [ისიც] კაფადან⁹⁵ აიყარა და გეზი შირვანისკენ აიღო. აზოვი, ყივჩაღთა ველი, რომელიც ორმოცი დღის სავალი გზაა და [ისეთი] უდაბნოა, რომ ძე-ხორციელს ვერ [წაანყდებოდი], ჩერქეზეთი, საშამხლო, ყაითალი⁹⁶ და დემურკაფუ გამოიარეს და შირვანის ვილაიეთში შემოვიდნენ. შაბურანად სახელდებულ ყასაბაში მივიდნენ და [იქ] შეიტყვეს, რომ ოსმან ფაშასა და არას-ხანს შორის ხელჩართული ბრძოლა გამართულა. ოსმან ფაშამაც, ადილ გირეი-ხანის მოსვლა გაიგო თუ არა, რუმის ლაშქარს შეატყობინა. მათაც ისეთი ძალა და გული მიეცათ, რომ მტერს აღარ გაურბოდნენ და ლომებრ გულადად და მამაცურად ებრძოდნენ. ოსმან ფაშას აღმატებულებამ ადილ გირეი-ხანთან კაცი გააგზავნა და შეუთვალა: სასწრაფოდ მოდი და მომისწარი, წყეულები შენს მოსვლას რომ გაიგებენ, გაიქცევიან. ახლა ნუ იზარმაცებ, იჩქარეო. ადილ გირეი-ხანიც მაშინვე დაიძრა. სამი დღე იყო უკვე, რაც [ოსმან ფაშა] ყიზილბაშს ეომებოდა. მესამე დღეს, ნაშუადღევს, ადილ გირეი-ხანი, ბურჰანის ძე აბუბექრ მირზა და ხანის ძე ისლამ გირეი მირზა ათი ათასი მამაცით, ისრის მსროლელითა და თათარი სისხლისმსმელით, ელვასავით გამოიჭრნენ და მოვიდნენ. ოსმან ფაშას აღმატებულება ადილ გირეი-ხანს შეხვდა, ხელი ჩამოართვა და თათრის ჯარი მაშინვე ორ ბოლუქად გაყო. ერთი ბოლუქი ქალაქის ზედა და მეორე ქვედა მხრისკენ დაიძრა,

ისე რომ, თათრისა და რუმის ლაშქარი გაერთიანდა. ორივე ფრთიდან თათართა და ცენტრიდან რუმის ლაშქარი ყველა ერთად შემოეხვია ყიზილბაშთა ლაშქარს. წყეულმა ყიზილბაშებმა ნახეს, რომ ლაშქარი მოულოდნელად გამოჩნდა, ისიც ნახეს, რომ ეს ლაშქარი მოჩვენება არ იყო. ისფერი კალიასავით ისე დაესხნენ თავს, რომ გზააცდენილი ურჯულოები შეძრწუნდნენ. მათ გულებს შიში დაეუფლა და სხეულმა კანკალი დაუნყო, ხელ-ფეხი გაუშეშდათ და მაშინვე პირი იბრუნეს, ბრძოლა ჩვენი საქმე არ არისო, და საარწმუნოების მეთაურმა დროშიანმა ყორჩიებმა პირი იბრუნეს, ერთიმეორეს მიყენენ და გაიქცნენ. დიდება ალაჰს, გაქცეულ ლაშქარს ზურგიდან რუმისა და თათრის ლაშქარი ხმლით კუნავდა, ისე აჩეხეს, რომ გვამი გვამზე დაანყვეს. ასეთი დიდი ლაშქარი ერთ საათში ადგილიდან აშალეს და გაფანტეს. ზოგი მოკლეს, ზოგი კიდევ დაატყვევეს და გაათრიეს. თათრის ლაშქარმა თავი არ დაზოგა, წყეულები ისრებით ცხენებიდან გადმოყარეს. ვისაც კარგი ტანსაცმელი [ჰქონდა], ჩამოსვამდნენ და ხდიდნენ და, თუ არ მოენონებოდათ, საიქიოს აგზავნიდნენ. ღარიბ ყიზილბაშს ზედაც არ უყურებდნენ. სადაც [ლამაზ] ტანსაცმლიან და მოოჭვილთავსაბურავიან გაიძვერა ყიზილბაშს ნახავდნენ, კლავდნენ და ტანსაცმელს ხდიდნენ. რუმის ლაშქარიც ასევე [იქცეოდა]. წყეულებმა ბანაკი, ნივთები, სურსათი, ძვირფასი აბრეშუმისძაფიანი კარვები, შესანიშნავად მოხატული საჩრდილობლები, ცხენები და საჯინიბო, ჯორები და აქლემები მიატოვეს. ზოგი დაჭრილი და ზოგი დასახიჩრებული გაიქცა, ზოგი კიდევ ხმლის შიშით ადგილზევე ბალახში ჩაიმალა და ქვას ამოეფარა. იმ დღეს ღაზიებმა ურჯულოები საღამომდე ხოცეს, ნაწილი კი ხელთ იგდეს და მათი ქონება დაიტაცეს. ყველა გამდიდრდა. ყიზილბაშთა ლაშქარი უფრო მეტად ქალაქ შემახის მოსახლეობამ გაძარცვა, ისე რომ, ყველა ნადავლით აივსო. რამდენიმე მამაცმა თათარმა მირზამ წყეული არას-ხანი ძალით ჩამოაგდო ცხენიდან და როცა გაიგეს, რომ იგი ხანი იყო, არ მოკლეს, შეიპყრეს, ყელზე დოღბანდი ჩამოაცვეს და წაათრიეს. ერთი სიტყვით, იმ დღეს ისეთი თოფის სროლა, სანახაობა გაიმართა და ნადავლის შოვნის დრო დადგა, რომ ვერ აღინერება და ვერ

გადმოიცემა, ასე რომ, უამრავი თავი გაგორდა მინაზე, მკერდები გაიფლითა და ადამის ძენი მინაში სეტყვასავით ჩაეფლნენ. ადამის მოდგმის სისხლი მინაზე [ღვარად] მიედინებოდა. მტკრისა და თოფთა სროლისგან, ადამიანთა ყვირილისა და ცხენთა ჭიხინისგან ხალხი ერთმანეთს ველარ ხედავდა, თეთრ და შავ წვერს და თეთრ და შავ ცხენს ერთი ფერი დასდებოდა. ბრძოლის ადგილი განკითხვის ალაგად გადაიქცა. ასეთი ბრძოლა წარსულში ჰამზას⁹⁷ უმაღლესობასაც კი შეშურდებოდა. უწმინდესმა, უზენაესმა ღმერთმა ჩვენი ფადიშაჰის მტერი დამარცხებისაგან არ დაიხსნა. ამგვარად, იმ დღეს, საღამო ჟამს, ღაზიებმა მოჭრილი თავები შუბებზე და ჯოხებზე წამოაცვეს და ხელთგდებული ურჯულოები ძალღებვიით იქვე დაწარეს. ის ღამე ქალაქ შემახაში გაატარეს. დილას ოსმან ფაშას აღმატებულებამ დივანი მოიწვია. მოლაშქრეებმაც დივანთან მოიყარეს თავი. მტრის თავების მომტანი და თანამოსაქმე თითოეული ღაზი შესაფერისად დაანინაურეს, პატივი მიაცეს და თითოეული თათარი მირზა თავიდან ბოლომდე სამაჰო ატლასის პერანგით შემოსეს. დიდი პატივისცემის მიგებით შენდევ ხელთგდებული ყიზილბაშებიდან არც ერთი არ შეიწყნარეს და ბრძანება გასცეს, რომ ყველა დაეხოცათ. უზენაესი დივანის წინ ყიზილბაშებს კისრები ისე დაუბეგვეს, რომ ხელები ეტკინათ. იმ დღეს მოკვეთილი და ბრძოლაში მოჭრილი თავები ერთ ადგილზე მოაგროვეს. უთვალავი თავი აღმოჩნდა. ქალაქ შემახის წინ, მზიდნად სახელდებულ ადგილზე, [ამ] თავებისგან მიმარჯეთის წსგავსი ორი დიდი ზვინი დადგეს. ისეთი უცნაური და საკვირველი რამ გამოვიდა, რომ მნახველს გოძუბა ეყარგებოდა. შემახის ველზე გვამების სუნისგან ადამიანს გუბუბა-ვანწყობა უფუჭდებოდა. ახლ გავიდა რამდენიმე დღე. იმ ვილაიეთის ხალხი რუშისა და თათრის ღამქარს ისე შეეთვისა და მიეძღო, რომ ყიზილბაშს დამბარა კლავდა. თითოეული ჩვენგანს ვპირად იქცა:

ხსენებულ ვილაეთში ააფ ვაჟაჭარეთ რამდენიმე დღე, მავრამ თათრის ღამქარის ვილაეთს მოსაძლუობა შეატარებია. ოსმაც იმ-ოუბიდებ; იათრისუბიდებ; და დაუთრისაგან ჩეჯაყდებო ქალად აღ-ლბისი. ამდემს ადლადოსის. ნოღაშა ვეღარ ჩეკლეს და ზოფა-

ერთმა ქალაქელმა ოსმან ფაშასთან იჩივლა. თანაც, აღნიშნული ქალაქი მთიანი ვილაიეთი იყო, რამაც თათრის ცხენები დიდ გასაჭირში ჩააგდო. ითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ თათრის ლაშქარი ოსმან ფაშას დასცილდებოდა. შირვანი ბალახიანი და წყლიანი ვილაიეთია და მაჰმუდაბადისა⁹⁸ და სალიანისკენ წასვლა გადაწყდა. ადილ გირეი სულთანი ლაშქრითურთ სალიანისკენ გაუდგა გზას. რამდენიმე სადგომის შემდეგ ხსენებულ ადგილს მიაღწიეს. თურმე, შეპყრობილი არას-ხანის სახლ-კარი და ოჯახი იქ იმყოფებოდა. არას-ხანის შეპყრობა და თათრის ჯარის მათკენ წამოსვლა რომ შეეცყოთ, მაშინვე გაქცეულიყვნენ და ყიზილბაშთა ვილაიეთებისკენ წასულიყვნენ. თათართა ლაშქარმაც ამათი გაქცევა რომ შეიტყო, უკან დაედევნა და იმ დროს დაენია, როცა მდ. მტკვარზე გადადიოდნენ. არას-ხანის ქონება დაარბიეს, მაგრამ არას-ხანისა და სხვა ხანების სიკვდილი არ გვინახავს. მომხიბლავი სპარსი ქალები და უბადლო ლამაზმანები დაატყვევეს. თითოეული თათარი მეომარი ნადავლით აივსო. ბალახიან და წყლიან ვილაიეთებში [ყველამ] დაისვენა და დროს ტარებას შეუდგა. რუმის ლაშქარიც ქალაქ შემახაში ყიზილბაშთა ქონებით აივსო. ზოგი გართობას მიეძალა, ზოგი მარხულობდა, ზოგი კი განდგომილი ლოცულობდა. ეს ჩვენს ქვეყანაში.

თხრობა აქ შევწყვიტოთ და მივუბრუნდეთ სხვა ამბავს, რომელიც გზააბნეულ ყიზილბაშს ეხება.

ურჯულ ოსმან-ხანის დამარცხებული [ლაშქრიდან] გადარჩენილები შაჰის ვაჟს⁹⁹ ეახლნენ. თურმე, ირანის ფადიშაჰმა მეჰმედ ხუდაბენდედ ნოდებულმა ბოროტმა რუმის ლაშქრის მიერ ქართულ ვილაიეთებზე გავლა, შირვანის ვილაიეთის დაპყრობა და დამორჩილება და მის დასაცავად ლაშქართან ერთად ოსმან ფაშას დარჩენა რომ შეეცყოთ, მაშინვე თავისი მბრძანებლობის ქვეშ მყოფ ვილაიეთებში მსახურები დაგზავნა, უმოკლეს ვადაში დიდი ლაშქარი შეჰყარა და თავისი ძე ჰამზა მირზა უსარდლა,

რომელიც მამაცი და რჩეული ხანებიდან ამირ-ხანთან, მირ-ზა სალმანთან,¹⁰⁰ ფირე-ხანთან,¹⁰¹ თურქმან მუჰამედ-ხანთან,¹⁰² შახრუხ-ხანთან,¹⁰³ იმამყული-ხანთან, ხალიფა ანსართან¹⁰⁴ და კიდევ რამდენიმე სახელოვან ხანთან, [სულ] ოთხმოცი ათას ყიზილბაშ მეომართან ერთად შირვანის მახლობლად მდებარე განჯისა და ყარაბაღის ვილაიეთებში მოვიდა. მათ შორის მტკვრის წყალია. როცა ამ საკრებულოთი რუმის ლაშქარზე გალაშქრება განიზრახა [იმ დროს], არას-ხანის დამარცხებული [ლაშქრიდან] შიკრიკმა ამბავი მოუტანა: ძღვევამოსილო უფლისწულო, არას-ხანთან ერთად ოცი ათასი მეომარი ვიყავით. შემახაში ოსმან ფაშას წინააღმდეგ გავილაშქრეთ, სამი დღე მედგრად ვიბრძოლეთ, ოსმან ფაშა შევასუსტეთ, ის იყო, ხელთ უნდა გვეგდო, რომ კაფას მხრიდან ორმოცათასიანი თათრის ლაშქარი მოვიდა და რუმის ლაშქარს შეუერთდა. ჩვენ შუაში მოგვიქციეს, ოთხი მხრიდან ხმლით გვჩეხდნენ და ასე გაგვეყლიტეს, არას-ხანი შეიპყრეს და მისი ქონება დაარბიეს. მდგომარეობა ასეთია, რომ ჩვენ გამოვიქეცით და სული და ხორცი შევინარჩუნეთ [ახლა], ამის შესაბამისი თადარიგი დაიჭირეთო, უთხრეს. შაჰის ვაჟი შეშფოთდა, ყველა გამოცდილი ემირი და ხანი შეჰყარა, გაესაუბრა და გადაწყვიტა, რომ შირვანში მსტოვარს გააგზავნიდნენ, ოსმან ფაშასა და თათარს მიუჩინდნენ და ლაშქრის სიდიდეს შეიტყობდნენ. შემდეგ რამდენიმე მსტოვარი გაგზავნეს. შემახაში ოსმან ფაშა და სალიანში თათარი დაზვერეს, მოლაშქრეთა რაოდენობა დაადგინეს. [ისიც ნახეს, რომ] უზრუნველად იყვნენ. [შემდეგ] სწრაფადვე დაბრუნდნენ და ვითარება აცნობეს. წყეული მწვალელები ლაშქრითურთ აიყარნენ და არემის მახლობლად მიმდინარე მდ. მტკვარზე ქოიუნ გეჩიდად¹⁰⁵ სახელდებული ფონი გაიარეს. ჯერ არეშში [მყოფ] კაიტას ფაშაზე გაილაშქრეს, მაგრამ ურჯულო ყიზილბაშმა ლაშქრის ერთი ნაწილი ადრევე გაგზავნა არეშში, ნაწილი [კი] იქვე დაიმალა. კაიტას ფაშამ ყიზილბაშთა მოსვლა რომ შეიტყო, მაშინვე თანმხლები მზადმყოფი ლაშქრითურთ წყეული მწვალელების წინააღმდეგ გამოვიდა და გიოქ მეიდნად სახელდებულ ადგილზე ერთმანეთს შეხვდნენ. დიდი ბრძოლა გაიმართა და უამრავი თავი მოიკვეთა.

რუმის ლაშქრიდან და ყიზილბაშებიდან ბევრი ადამიანი დაეცა მინაზე. ამის შემდეგ წყეულმა ყიზილბაშმა უმეტესად უკანდახევით იბრძოლა, რადგანაც სურდა, რომ რუმის მთელი ლაშქარი გაეტყუებინა ქალაქგარეთ – მოედანზე, რათა ერთბაშად შეეგია. იმ ადგილზე ზოგიერთმა გამოცდილმა ბეგმა და ალამ კაიტას ფაშას რჩევა მისცა: ძლევამოსილო ფაშა, მოდი, ქალაქიდან ნუ გავალთ, ბრძოლა აქვე გავმართოთ ან მუსტაფა ფაშას მიერ აგებული სიმაგრეში შევიდეთ და [იქიდან] ვეომოთ, რადგანაც ყიზილბაში მრავალრიცხოვანია და შესაძლებელია ჩასაფრებულებიც არიან. მტერი რომ ღირსეულია, ამის არ დანახვა არ შეიძლებაო, მაგრამ ამათი სიტყვები ყურად არ ილო. მტრის [ძალა] არ შეაფასა და ჩვეულებისამებრ გმირობა გამოიჩინა, ასეთ მრავალრიცხოვან ლაშქარს წინ აღუდგა. ერთხანს მოედანზე შეებრძოლა. დიდი ბრძოლა მაშინ გაიმართა, როცა უბედურ ყიზილბაშთა ჩასაფრებული რაზმი ოთხივე მხრიდან გარს შემოეხვია და რუმის ლაშქარი შუაში აღმოჩნდა. საბოლოოდ უამრავი თავი გაგორდა მინაზე, მკერდები გაიფლითა და ადამის ძენი მინაში სეტყვასავით ჩაეფლნენ, მაგრამ, რადგანაც წყეული ყიზილბაში უთვალავი იყო, ამიტომ მან დაასუსტა რუმის ლაშქარი, ოთხივე მხრიდან შეუტია და შეებრძოლა. ბოლოს, როცა კაიტას ფაშამ ნახა, რომ გზაა ცდენილი წყეული იმარჯვებდა და მძლავრობდა და აღარც გადარჩენა შეიძლებოდა, მონამებრივი სიკვდილი ამჯობინა, სიამოვნებით ჰკრა ცხენს დეზი და მოედნის შუაგულში შეიჭრა. ხან შუბით და ხან ხმლით მედგრად იბრძოლა და რამდენიმე წყეულის მინაზე დანარცხების შემდეგ თავადაც იმ ბრძოლაში მონამებრივი სიკვდილით აღესრულა. არტაანის ბეგი აბდურახმან ბეგი ტყვედ ჩავარდა. დარჩენილი ლაშქრიდან ზოგი გმირულად დაეცა, ზოგი გაიქცა და ქაბალას ციხეს¹⁰⁶ შეაფარა თავი და ზოგი კი ქალაქ შემახაში ოსმან ფაშასთან დაბრუნდა. ურჯულო წყეულმა, კაიტას ფაშას სიკვდილის შემდეგ, ქალაქი არეში დაარბია, სუნიტები გაჟლიტა, მათი ქონება დაიტაცა, ხსენებული ყასაბა მთლიანად ცეცხლს მისცა და გეზი ოსმან ფაშასკენ აილო.

ოსმან ფაშასთან ქალაქ შემახაში მოულოდნელად მსტოვარი გამოცხადდა და ოთხმოცათასიანი ყიზილბაშთა ლაშქრით შაჰის

ვაჟი შენსკენ მოისწრაფისო – შეატყობინა. შემდეგ ოსმან ფაშამაც ლაშქარს მიმართა – მზად იყავითო. ისინიც შეძლებისდაგვარად აღიჭურვნენ საბრძოლო იარაღით და მომზადებულნი დადგნენ. ქალაქ შემახის ოთხივე მხარეს თხრილები ამოიღეს, სანგრები გააკეთეს და ყოველი ქუჩის დასაწყისში კედლები აღმართეს. ამ სამზადისსა და თადარიგში ვიყავით, რომ 986 წლის კურთხეული რამაზანის დასასრულს,¹⁰⁷ ერთ დილას ვნახეთ, რომ შაჰის ვაჟმა ოთხმოცათასიანი ყიზილბაშთა ლაშქარი შემახის წინ რაზმებად და მწკრივებად განალაგა და ავი აზრით შეპყრობილებმა დოლი, ნალარა და საყვირი აახმაურეს და ბოლუქებად, რაზმებად და მწკრივებად [დანყობილნი] ისე მოვიდნენ, რომ [მნახველს] გონება დაებინდებოდა. გზააცდენილი წყეულები მეტად ბევრნი იყვნენ, რის გამოც ქალაქიდან გარეთ გასვლა არ შეიძლებოდა. ბრძოლა ქალაქში მიმდინარეობდა. ქალაქის ზოგიერთ საშიშ ადგილზე თითო-თითო სანჯაყბეგი, საკმარისი რაოდენობის ზარბაზანი და მეთოფე ჩააყენეს. წყეული ურჯულოები ქალაქს გარშემო-ერტყნენ, ოთხივე მხრიდან თავს დაესხნენ და ბრძოლა დაიწყეს. წყეულები მეტად ბევრნი იყვნენ. ისინი ყოველი კუთხიდან უტე-ვდნენ. თოფებისა და ქვემეხებისთვის არც შეუხედავთ. ისეთი შეუპოვრობა და თავდაუზოგავობა გამოავლინეს, რომ ამის აღ-წერა და გადმოცემა შეუძლებელია. იმ დღეს საღამომდე მიმდინარეობდა დიდი ბრძოლები. როგორც ჩვენგან, ისე მათგან ბევრი ადამიანი დაეცა მიწაზე. ქალაქის ზედა მხარეს მდებარე ციხე ბა-ზრის უბანია. ის უბანი ხელიდან გამოგვაცალეს, რადგანაც წყეულებმა ცულ-წერაქვებით შეიარაღებული ოთხი ათასი მამაცი თარაქამა გაიმძღვარეს. ჩვენს მიერ აგებული კუთხის კედლები მოშალეს და თხრილები და სანგრები ამოავსეს. გზააცდენილმა წყეულმა შემთხვევით შემოგვიტია ყოველი მხრიდან. აგებული კუთხის კედლები მოშალეს და თხრილები გაავსეს. ქალაქის ოთხივე მხარეს თითო ან ორ-ორი უბანი აიღეს. როცა დაღამდა, მათ თავიანთ ადებულ უბანში მოისვენეს და რუმის ლაშქარი მეორე მხარეს მიყუჩდა. ერთურთისაგან კედელიდა გვყოფდა და ერთ-მანეთის ლაპარაკი გვესმოდა. ის ღამე გავიდა. გათენებისას ორი ლაშქარი კვლავ ზურგზე მოექცა ცხენებს, წინ გაიხედეს და ერთ-

მანეთის პირისპირ დადგნენ. ორი მხრიდან კვლავ გამოვიდნენ გულადი და მამაცი ჩარკაჯიები და ერთმანეთს ეძგერნენ. დიდი ბრძოლა გაიმართა, მაგრამ ურჯულო ყიზილბაშები მეტად ბევრნი იყვნენ და ღვთის შენევნით რუმის ლაშქარზე თანდათან იმძლავრეს. ერთი სიტყვით, ჩვენი ღაზიები – ღმერთმა ისინი დააბეროს – სარწმუნოების განდიდებისა და ქვეყნიერების მფარველი ფადიშაჰის ბედნიერებისათვის შიშს გაეყარნენ და მთელი გულითა და სულით იბრძოლეს, მაგრამ ყიზილბაშმა რუმის ლაშქარი ისე დაჯაბნა, რომ ქალაქის ოთხივე კუთხე აიღო, მხოლოდ ოსმან ფაშას მოსასვენებელი სახლის შემოგარენილა რჩებოდა [აუღებელი]. მოლაშქრეთა უმეტესობას გადარჩენის იმედი დაეკარგა. მისმა აღმატებულებამ, ოსმან ფაშამ, ნახა, რომ წყეული მწვალებელი იმარჯვებდა და მისი ლაშქარი [კი] მარცხდებოდა. ბოლოს, მან ყოველ მხარეს მდგარ ღაზიებს სიამოვნებით ჩამოუარა, მათი გულები დაიპყრო – ჩემო ღაზიებო, თქვენს ხელებს ძალა შეემატოს და თეთრად დამიბერდით, ისლამის სარწმუნოების განდიდებისა და ქვეყნიერების მფარველი ფადიშაჰის ბედნიერებისთვის გარჯაა საჭირო. დიდება უზენაეს ღმერთს, ბოლო კეთილიაო – მოლაშქრეები გაამხნევა და დაამშვიდა. ერთი სიტყვით, იმ დღესაც საღამომდე ისეთი დიდი ბრძოლა და ხოცვა-ჟლეტა მიმდინარეობდა, რომ ორივე მხრიდან უამრავი კაცი დაეცა მიწაზე. საღამოს, როცა ბინდი ჩამონვა, მთელი ლაშქარი, როგორც ცხენოსანი, ისე ქვეითი, ერთ ადგილზე მოგროვდა. წყეულმა ურჯულოებმა წყალიც შეგვიწყვიტეს, მაგრამ ზამთარი იდგა და ამიტომ წყალზე დიდი გაჭირვება არ გვიგრძენია. ის ღამე კურთხეული არიფის ღამე¹⁰⁸ იყო. მუსლიმებმა ყველგან ხელები აღაპყრეს, იტირეს და უწმინდეს და უზენაეს ღმერთს ლოცვა და დიდება აღუვლინეს. დიღამდე უზენაესისათვის ილოცეს. მთელმა ლაშქარმა იმედი გადაინურა – ამოდენა ჯარისგან გადარჩენა აღარ იქნებოდა და გადანყვიტეს, რომ დილით გმირულად მომკვდარიყვნენ. თურმე, მანამდე, სანამ ეს წყეულები ჩვენზე გამოილაშქრებდნენ, ადილ გირეი-ხანთან კაცი გაიგზავნა – შაჰის ვაჟი. ჩვენთან საომრად მოდისო. ადილ გირეი-ხანიც თანმხლები მზადმყოფი თათრის ლაშქრითურთ მაშინვე დაიძრა

და შემახისკენ წამოვიდა, მანამდე [კი] ოსმან ფაშას აღმატებულულებასთან კაცი გამოგზავნა და წერილი გამოატანა, რომელშიც შემდეგი ეწერა: თქვენო აღმატებულებავ, ძმაო ოსმან ფაშა, შევიტყვე, რომ შაჰის ვაჟმა ოთხმოცი ათას ყიზილბაშთან ერთად თქვენს წინააღმდეგ გამოილაშქრა და შეგებრძოლათ. თქვენ ნუ იღელვებთ. დიდება ღმერთს, მალე მეც ორმოცი ათასი გულადი და რჩეული თათარი ჯარისკაცითა და ისრის მსროლელით მოგწვევი და მოგისწრებ. დიდება ალაჰს, გადაწყვეტილია, რომ მათაც არას-ხანის ბედი ეწევათო. მის მიერ გამოგზავნილი კაცი წყეულმა ყიზილბაშებმა შეიპყრეს, შაჰის ვაჟთან მიიყვანეს და ადილ გირეი-ხანის მიერ ოსმან ფაშასთან მიწერილი წერილი გახსნეს. შინაარსი რომ შეიტყვეს და შეპყრობილ კაცს თათრის მდგომარეობა გამოკითხეს, წყეული მწვალებლები შემფოთდნენ, რადგანაც იმ გულადმა უთხრა: თათარი ბევრია და არც ერთი მათგანი თქვენგან პირს არ იბრუნებსო. გამოცდილი ხანები ერთ ადგილზე მოგროვდნენ, ითათბირეს და გადაწყვიტეს: თუ ხვალაც აქ გავეჩრდებით და კვლავ ოსმან ფაშას შევხვდებით და შევებრძოლებით [მაშინ], ერთი მხრიდან თათრის ჯარი წამოგვეწევა და ზურგიდან დაგვარტყამს, რუმის ჯარიც მათ რომ დაინახავს, შიგნიდან გამოვა და თუ თათრისა და რუმის ლაშქარი გაერთიანდება [მაშინ კი], გვძლევენ და შევრცხვებით, ჩვენც არას-ხანის მსგავსად დაგვფანტავენ. მოდით, ახლა, ოსმან ფაშა შემახაში მივატოვოთ და თათრის ლაშქრისკენ წავიდეთ. იქნებ, ისინი იმ უბანში გავსრისოთ და ყველანი გავეყაროთ. იცოდეთ, რა დროც არ უნდა იყოს, რუმის ლაშქარი ჩვენთან [საომრად ყოველთვის] მზად არისო.

უკეთურმა ყიზილბაშმა იმ დილით მთელი ბანაკი აშალა და ტვირთი გაამზადა. ყიზილბაშები ცხენებს ზურგზე მოექცნენ და რაზმებად და მწკრივებად [დანყობილნი], მორთულ-მოკაზმულები გამოვიდნენ და გეზი მცირერიცხოვანი თათრის ლაშქრისკენ აიღეს. შემახაში ერთი ყიზილბაშიც კი არ დარჩა. თითქოს მიძიმე რამ ტვირთი მოგვეხსნაო. დიდება უწმინდეს და უზენაეს ღმერთს, წყეულებმა ჩვენზე უარი თქვეს. ყიზილბაშის წასვლის შემდეგ რუმის ლაშქარი ქალაქ შემახაში ერთ ადგილზე მოგროვ-

და. გონების ძალით ყველამ იცოდა, რომ წყეულები თათრის ლაშქრის წინააღმდეგ გაეშურნენ. ადილ გირეი-ხანიც სალიანად სახელდებული ვილაიეთიდან აიყარა და შემახისკენ გზადმოშვალა ერთ მინდორზე უზრუნველად მყოფ უბედურ ყიზილბაშს თავს წაადგა. ყიზილბაშმა და თათარმა ბრძოლა დაიწყო. დიდი ომი გაიმართა. გულადმა და მამაცმა თათრებმა იმ უბანში ბევრი ყიზილბაში ჩამოაგდეს [ცხენიდან]. უბედურმა ყიზილბაშმა ნახარა, რომ თათრის ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა [ფანდი იხმარა], ვითომ გაიქცნენ, სინამდვილეში კი მობრუნდნენ, ისრით ხოცავდნენ და ცხენებიდან ძირს ყრიდნენ. ბოლოს, წყეულებმა ნახეს, რომ თათარზე თითო-თითოდ თავდასხმა შეუძლებელი იყო, ამიტომ ამოდენა ლაშქარმა ერთხმად დასცა ყიჟინა, თათრის ჯარი მთლიანად შუაში მოიქცია და ოთხივე მხრიდან ეკვეთა. იმ უბანში ორი ლაშქარი ერთმანეთში აირია. გამხმარი მინა ცხენთა ფლოქვებისგან ბამბასავით დარბილდა. ისეთი დიდი ბრძოლა გაიმართა, რომ უამრავი თავი გაგორდა მინაზე და მკერდები გაიფლითა. სისხლის ოხშივარმა ჰაერი დაფარა და ადამიანთა სისხლი ღვარად მიედინებოდა. მტკრის, ცხენთა ჭიხვინისა და ადამიანთა ყვირილისგან ბრძოლის ველი განკითხვის დღეს დაემსგავსა, მაგრამ წყეული ყიზილბაში მეტად მრავალრიცხოვანი იყო, რის გამოც თათრის ლაშქარი შუაში მოიქცია. ერთ თათარზე ათი ყიზილბაში მოდიოდა. [აბა,] ამოდენა ლაშქარს ერთი მუჭა თათრის ჯარი პასუხს რანაირად გასცემდა. თითოეული მათგანი ეშმაკისეულ ფენიქსად გადაიქცა. ბოლოს, ადილ გირეი-ხანი დარწმუნდა, რომ ყიზილბაში იმარჯვებდა. ოთხივე მხრიდან ალყა შემოარტყეს. [მიხვდა], რომ უკვე ველარ გადარჩებოდა და მონამებრივი სიკვდილი ირჩია. ყველა გაამხნევა, თავადაც ისარი და ულმობელი ხმალი სიამოვნებით აიღო ხელში და ყიზილბაშთა ლაშქრის შუაგულში ლომებრ მამაცურად შეიჭრა და ოთხივე მხარეს ხან ისრითა და ხან ხმლით იმ გულადმა ისე იბრძოლა, რომ წითელ სისხლში ჩაახრჩო ყიზილბაშები. ძლიერ მედგრად იბრძოლა. ყიზილბაშებმა ამისი ბრძოლა და შემართება ათასჯერ შეაქეს და ადილ გირეი-ხანის უცილობელი სიკვდილისგან დახსნა მოისურვეს. ყველა გარს შემოეხვია, შუბი აძგერეს, ცხენიდან

გადმოიღეს და დაატყვევეს. დარჩენილი თათრის ლაშქარი, ნახარა, რომ მათი სარდალი ტყვედ ჩავარდა [მიხვდა], რომ დამარცხდა და საკუთარი თავის გადარჩენას ცდილობდა. იმ უბანში თათრის ლაშქრიდან ზოგი მონამებრივი სიკვდილით აღესრულა, ზოგი [კი] გაიქცა და სული და ხორცი შეინარჩუნა.

თხრობა აქ შევწყვიტოთ და სხვა ამბავს მივუბრუნდეთ. იგი ოსმან ფაშას ეხება.

მას შემდეგ, რაც ყიზილბაშს გაეცალა, რუმის ლაშქარი ერთ ადგილზე მოგროვდა, უზენაეს ღმერთს ღამის ლოცვა აღუვლინა და თათრის ლაშქრის მდგომარეობის [გარკვევას] მოუთმენლად დაელოდა. ნმინდა რამაზანის თვის დასასრულს, კურთხეული არიფის დღეს, საღამოს ნამაზისათვის, დამარცხებული თათრის [ჯარიდან] რამდენიმე გადარჩენილი თათარი მირზა შემახაში ოსმან ფაშასთან მოვიდა და როცა მომხდარი ამბავი შეატყობინა, ოსმან ფაშამაც – ეს საშინელი ამბავი ლაშქარმა არ გაიგოსო – თადარიგი დაიჭირა, გასართობად ქვემეხები გაასროლინა და მხიარულება გამართა, ვითომდა, ყიზილბაშის ლაშქარი თათარმა გასრისა და გაფანტაო. ამ ამბავმა ლაშქარში რომ შეაღწია, ზოგმა ირწმუნა და ზოგმა არა. ეს საშინელი ამბავი მუბარეჯის დღესასწაულის¹⁰⁹ ღამეს, შუალამისას მთელი ლაშქრისთვის გახდა ცნობილი. ყველა შეშინდა – ყიზილბაში, რა თქმა უნდა, მოვა და გარს შემოგვერტყმის [ამიტომ], თადარიგის დაჭერა აუცილებელიაო. იმ ღამეს გამოცდილი და პატივცემული ემირები, ბეგები, ალები და ლაშქრის რჩეულები მის აღმატებულება ფაშასთან მივიდნენ და უთხრეს: ძღვევამოსილო ფაშა, აქ გაჩერება არ შეიძლება, დროულად გაქცევაც ვაუკაცობაა, რადგანაც ქალაქი, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, გაშლილ ადგილზეა, ციხეც არა აქვს, რომ შევიმალოთ და ვიბრძოლოთ. რომ გავიდეთ და ვეომოთ [არც ეს არ შეიძლება], რადგანაც მტერი მრავალრიცხოვანია. თათრის ჯარიც ხომ ასე დაიღუპა. ახლა ხელსაყრელი შემ-

თხვევა მოგვეცა. სანამ მტერი ჩვენზე გამოილაშქრებს, მანამდე დემურკაფუს ციხეში მივიდეთ, ღმერთმანი, მტკიცე ციხეა. მტერი თუ მოგვადგება, შიგნიდან ქვემეხითა და თოფით შევებრძოლოთ. თადარიგი დაიჭირეს და გადანყვიტეს, რომ დილით, მუზარეკის დღესასწაულის დღეს, დემურკაფუს ციხეში წასულიყვნენ. ახლა მოდი და ვნახოთ: მხედართა უმრავლესობას ცხენი არ ჰყავდა, ქვეითი იყო და ზოგის ცხენიც ბრძოლაში დაეცა. დილით მთელი ლაშქარი ცხენებზე ამხედრდა და ერთმანეთს ისე მიჰყვნენ, რომ ცხენს თავლისთვის და ძმას ძმისთვის არ შეუხედავს. ღვთის ნებით იმ დღეებში ისეთმა სიცივემ დაიჭირა და ისეთი ქარბუქი ატყდა, რომ ადამიანს სუნთქვისას წვერ-ულვაშზე ყინული ედებოდა. ოსმან ფაშას აღმატებულებამ ბარგი-ბარხანა, ჯაბა-ხანა, საჯინიბო, სამზარეულო, საკუჭნაო და ზოგიერთი ისეთი ნივთი, რომლის წაღება არ შეიძლებოდა, მიატოვა. მოლაშქრებმაც ასევე ბარგი-ბარხანა, ქვეითად მყოფი მსახურები და ახლობლები მიატოვეს, დადარდიანებულები ქალაქ შემახიდან გავიდნენ და დემურკაფუსკენ მიმავალ გზას დაადგნენ, მაგრამ, რადგან გაშლილ ადგილზე გავლისა შეეშინდათ, ამიტომ მთის ბილიკით იარეს, კავკასიონისკენ აიღეს გეზი და წავიდნენ. ცხენოსნებმა და ქვეითებმა – ყველამ დატოვა ქალაქი. ერთი ხანი ნება-ნება იარეს, მაგრამ შირვანის ვილაიეთიდან და დემურკაფუს ციხიდან რამდენიმე წარჩინებული კაცი იყო, შამხალიც¹⁰ კი იყო. ფაშას აღმატებულებას მეგზურობას უწევდნენ. მათ უთხრეს: ძღვევამოსილო ფაშა, ასე ნელა სიარული არ შეიძლება. ჯარს მთლიანად გატეხავ, რადგანაც იმ ადგილებში, რომლებზედაც ჩვენ გავდივართ, მეამბოხე ხალხი ბევრია. ერთი მათგანი დემურკაფუს მახლობლად [მცხოვრები] თაბასარანად¹¹ და ქურედ¹² ნოდებული დაუმორჩილებელი, ბოროტი ტომია. რუმის ლაშქრის დამარცხების ამბავს რომ შეიტყობენ, ყველანი გზაზე დაგვხვდებიან და ლაშქარს ხიფათს შეყრიან. ზოგს გაძარცვავენ და ზოგს მოკლავენ ან კიდევ ქვედა გზიდან ჩვენზე ადრე დაესხმიან თავს ციხეს (დემურკაფუს – მ. ი.) და თუ იგი ხელიდან წავივიდა, მაშინ კი საერთოდ დავიღუპებით, უეჭველად ასე იქნებაო. ფაშას აღმატებულებამ ყურად ილო ეს რჩევა. ქვეითები-

სა და ცხენების დაუძღურებას აღარ შეხედა, მის წინ გამწკრივე-
ბული მსახურებიც მიატოვა და სწრაფი სვლით წავიდა. მოდი,
ეხლა ვნახოთ: როცა ფაშას აღმატებულება ჩქარი სვლით გაე-
მართა, ახლომყოფი ცხენოსნები ფაშას არ მოსცილდნენ, [ისინიც]
წინ გაიჭრნენ, ზოგი უჭკუო და ამ რჩევის უცოდინარი კი ფაშას
გაექცა და იფიქრა: [ალბათ] ზურგიდან მტერი მოგვადგა და
მოგვენიაო. ქვეითები და ქანცგამოლეული ცხენოსნები შიშისგან
ერთმანეთს მიეხალნენ. მამა შვილს და ძმა ძმას აღარ უყურებდა.
ყველა წინ გაჭრას ცდილობდა. სუსხიანი ზამთარი იდგა. იმ
დღეს, საღამო ჟამს, კავკასიონს მივალნიეთ. ხსენებული მთა ის-
ეთი ციცაბო იყო, რომ ენით ვერ გადმოიცემა. ბილიკები ყინუ-
ლით იყო დაფარული. როცა ჩამობნელდა, ლაშქარი იმ მთაზე
დაიფანტა, ერთმანეთს მოსცილდნენ, მხარი ეცვალათ და საით
მიდიოდნენ არ იცოდნენ. ზოგიც მიბრუნდა და იქითკენ წავიდა,
საიდანაც მოვიდა. მტრის შიშით ჩირალდანსაც ვერ ანთებდნენ.
ის ღამე იმ ავბედით მთაში ისეთი ვაი-ვაგლახით გავატარეთ,
რომ მხოლოდ მაღალმა ღმერთმა უწყის. როცა გათენდა, ხსენებ-
ული მთა გადავიარეთ და მეორე დღეს ყასაბა შაბურანში მი-
ვედით, მაგრამ აღნიშნულ ყასაბაში მისვლისას ისეთი წყალ-
დიდობა და ზამთარი დაგვხვდა, რომ თავის დღეში არ გვენახა.
ბევრი ცხენზე გაიყინა და ასე დაიხოცა და ბევრს [კიდევ] იმ
სიცივის შემდეგ ხელ-ფეხის თითები ნაძვრა. ერთი სიტყვით, ამ-
ბავს აღარ გავაგრძელებ. ქალაქ შემახადან დემურკაფუმდე
შვიდი, რვა სადგომი სავალი გზაა. ოსმან ფაშას აღმატებულებამ
სწრაფი სვლით ორნახევარ დღეში გალია [ეს გზა] და შევედით,
მაგრამ, სანამ დემურკაფუს ციხეში მივიდოდით, მანამდე დამარ-
ცხებული თათრის [ლაშქრიდან] გაქცეულებს დემურკაფუმში შეევ-
ლოთ და იქ მყოფი რუმის ლაშქრისთვის ეთქვათ: ოთხმოცი ათა-
სი ყიზილბაში მოვიდა, შემახაში ოსმან ფაშა გასრისა, რუმის
ლაშქარი მთლიანად გაუღიჭა, გაფანტა და შემდეგ ჩვენ მოგვად-
გა, ჩვენც გვძლია და გავგვფანტა, ჩვენი სარდალი ადილ გირეი-
ხანი ხელთ იგდო. მდგომარეობა ასეთია, რომ ჩვენ გადავრჩით.
[ახლა] რას უდგვხართ, თადარიგი დაიჭირეთო – მიმართეს.
ხსენებულ ციხეში მცველად ქვეითთა მეთაური, რამდენიმე კაცი

და რამდენიმე იანიჩარი იდგა. როცა მათ ეს ამბავი შეიტყვეს; ყველამ ერთ ადგილზე მოიყარა თავი. დემურკაფუს ციხე მიატო-
ვეს და ყაითალის გავლით კაფასკენ წავიდნენ. ის იყო, დილით
ციხიდან გავიდნენ, რომ შუადღისას ოსმან ფაშას აღმატებულება
დემურკაფუში შევიდა, მაგრამ მოსახლეობას ციხის კარები მტ-
კიცედ ჩაეკეტა. საბრძოლო იარაღით ყველა საკმარისად იყო აღ-
ჭურვილი, [ციხის] კედლებსა და კოშკებზე გასულიყო და მომზა-
დებული დამდგარიყო. რუმის ლაშქარი რაზმებად დაეწყო და ის
იყო, რიგ-რიგად მივიდნენ, რომ ყიზილბაშმა შენიშნა და სა-
ბრძოლველად გაჩერდა. როცა მეომრები ციხესთან ახლოს მი-
ვიდნენ, რუმის ლაშქარმა [ყიზილბაშის] მოსვლა [უკვე] იცოდა,
მაგრამ ციხის კარი ახლაც არ გაუღეს, დიდი სიჯიუტე [გამოი-
ჩინეს] და წინააღმდეგობა გაუნიეს. ჩვენთან ერთად ხსენებული
ციხის [მკვიდრი] ერთი ბეგზადე იყო, ალაბეგს ეძახდნენ. მეტად
მამაცი და გულადი ვინმე იყო. ის ძლიერ შეეცადა და აღნიშნული
ციხის ქეთხუდას, მუტჰარად წოდებულს, მიმართა: უთუოდ გავა-
ღებ, ოსმან ფაშას თქვენთვის ბევრი სიკეთე უქნია, რამდენჯერ
დაუჯილდოებიხართო, ეს რომ უთხრა, ციხიდან წმინდა ყურანი
ჩამოუშვეს და მიმართეს: ახლა ალაპის სახელით დაიფიცეთ, რომ
არას გვავნებთო. ოსმან-ფაშას აღმატებულებამაც ალაპი დაიფი-
ცა, ციხის მობინადრენი კი ოქროთი დაასაჩუქრა. ამის შემდეგ
ციხე გააღეს, მეომრები შიგ შევიდნენ და განლაგდნენ. ხსენებულ
ციხეს მტკიცე კოშკები და კედლები ჰქონდა, მაგრამ შიგნით
მდებარე სახლების უმეტესობა ინგრეოდა. წარსულში კეთილნამ-
ენი ქალაქი ყოფილა, ახლა კი დანგრევის პირასაა. ადრე მო-
სულებმა სახლები იშოვეს, დაგვიანებულებმა კი ველარ მოიძიეს
და ღია ცის ქვეშ დარჩნენ. დიდი თოვლიც მოვიდა და ძლიერ
ციოდა. ფეხშიშველა ლაშქარმა ცივ ვილაიეთში ისეთი დიდი უბე-
დურება გადაიტანა, რომ ამის აღწერა შეუძლებელია. ჩამორჩე-
ნილები სამი, ოთხი დღის შემდეგ მოვიდნენ, მაგრამ ზოგიერთებს
გზებზე იმ ვილაიეთის არამზადები დახვდნენ, ზოგი გაძარცვეს
და ზოგიც მოკლეს. [ბოლოს,] ყველანი, დაჭრილ-დასახიჩრებულ-
ნიც მოვიდნენ და დემურკაფუ გაავსეს, მაგრამ დამარცხებულებს
სურსათ-სანოვაგე საერთოდ არ გააჩნდათ. დემურკაფუში შიმში-

ლობა იყო. საჭმელ-სასმელი არ იშოვებოდა და ლაშქარი დიდ გასაჭირში ჩავარდა [მაგრამ], კაცი ყველაფერს იტანს. ამას გარდა, ცხენებისთვის ბალახს, ჩალას და ქერსაც ვერ ვშოულობდით. უჭმელობისგან დაძაბუნდნენ, თვალები გადმოყრაზე ჰქონდათ და პატრონებს მონყენილნი და დაღვრემილნი შემოგვყურებდნენ. ბოლოს, ბევრი – ჩვენმა თვალებმა ღმერთი აღარ იხილოსო – ადგა და უდაბნოს მისცა თავი. დემურკაფუს ქუჩებში ცხენის ლემის სიმრავლით კაცი ფეხის დასადგამ ადგილს ველარ პოულობდა. იმ საშინელი სუნისგან ადამიანებს გუნება-განწყობა წაუხდათ. ასეთ საშინელებაში რამდენიმე დღე გავატარეთ. შემდეგ თაბასარანისა და ყაითალის ვილაიეთებიდან ვილაც-ვილაცეები მოვიდნენ და სურსათი მოიტანეს. რუმის ლაშქარმა მათ მიერ მოტანილ სანოვაგეში უამრავი ახჩა გადაიხადა და იყიდა. იმ ვილაიეთების ხალხი ალთუნისა¹³ და ახჩის უნახავი იყო. [იფიქრეს], რუმელიელებს დანგა ანუ ახჩა ბევრი აქვთო და დემურკაფუში [დიდძალი] ხორავი მოზიდეს. დიდება ალაჰს! იმდენი სურსათ-სანოვაგე მოიტანეს, რომ არასდროს გვენახა. თურმე, ის ვილაიეთები მდიდარი ვილაიეთები ყოფილა. რადგანაც უცხოები ვიყავით, ამიტომ არ ვიცოდით ეს. შემდეგ ვილაიეთის მოსახლეობას შევეგუეთ. ისინი ჩვენთან და ჩვენ მათთან მივდიოდით. მეომრების ნაწილმა თაბასარანში, ნაწილმა ყაითალის ვილაიეთში და ნაწილმა [კიდევ] მესქურესა¹⁴ და შაბურანში გამოიზამთრა. იმ წელიწადს ქვეყნიერების მფარველი ფადიშაჰის ქვეყანაში ზაფხული დადგა თუ არა, ოსმან ფაშას აღმატებულებამ [კვლავ] მოუნოდა მეომრებს. სადაც კი ვინმე იყო, ყველანი გამოცხადდნენ და დემურკაფუში მოგროვდნენ. მეომრებიდან ზოგიერთები ციხის შიგნით და ზოგიერთები მინდორში კარავში მოენყვნენ. ხსენებული ციხის სანახები მოირთო. ისეთი დიდებული გაზაფხული დადგა, რომ ამის გადმოცემა და აღწერა შეუძლებელია.

თავად დემურკაფუს ციხე ერთი მთის ძირას მდებარეობს. მას აღმოსავლეთით კასპიის ზღვა და დასავლეთით მთა [ესაზღვრება]. მთიდან ზღვამდე ორი კედელია გაჭიმული, რომლის სიგრძე სამი მილია. ორი კედელია. ერთი კედელი ალექსანდრე მაკედონელს აუგია, მეორე კი ანუშირვანს. იმ ვილაიეთის ხალხი ხსენებულ

ციხეს დემურკაფუს კი არა, არამედ დერბენდს უნოდებს. თუ რატომ ეწოდება დერბენდი, გადმოცემა ასეთია: წარსულში შირვანის ვილაიეთი მუსლიმების, ყაითალის ვილაიეთი კი ურჯულელების ყოფილა. იმ ვილაიეთების ურჯულოები შეგროვილან, მისულან და შირვანის მუსლიმებს თავს დასხმიან, ზოგი მოუკლავთ და ზოგი დაუტყვევებიათ. [შემდეგ] კვლავ გაბრუნებულან და თავის ვილაიეთებში წასულან. ბოლოს, იმ ვილაიეთების მუსლიმებს თავი მოუყრიათ და ალექსანდრე მაკედონელის უდიდებულესობასთან უჩივლიათ. ალექსანდრესაც იმ გასასვლელში კედელი აუგია და ჩაუკეცია. მთიდან კასპიის ზღვამდე მტკიცე კედლები გაუჭიმია, შიგ მემორები ჩაუყენებია და შვიდ-რვა ადგილზე კარი დაუტანებია. გაქცეული ურჯულოები თუ მოგროვდებოდნენ და მოვიდოდნენ, ამ კედელს ვერ გადალახავდნენ და კვლავ უკან გაბრუნდებოდნენ. ალექსანდრე მაკედონელის უდიდებულესობას ის ვილაიეთები წყეული ურჯულოებისგან ამგვარად დაუცავს. აი, ასეთია გადმოცემა დერბენდის სახელწოდების შესახებ. ხსენებული ციხის ოთხივე მხარეს უამრავი საფლავია და საფლავის ქვებზე წარწერებია ამოკვეთილი. თითოეულს თარიღი უზის და ისიც წერია, თუ ვის ეკუთვნის. წარსულში, თურმე, ხსენებულ ციხეში ღაზიები ცხოვრობდნენ. ყოველდღე გამოდიოდნენ და ურჯულოებს ეომებოდნენ. ვინ ღაზი ხდებოდა და ვინ მონამებრივი სიკვდილით აღესრულებოდა. ყოველ ღაზს საკუთარი თავისთვის ქვა მოჰქონდა და სიცოცხლეშივე აკვეთინებდა, აწერიანებდა და იმზადებდა. თუ მონამებრივი სიკვდილით აღესრულებოდა [მაშინ], ნათესავები მარხავდნენ და თავის მხარეს ქვას ადებდნენ. ამ ვილაიეთში იმდენი წმინდა საფლავია, რომ ამის აღწერა და გადმოცემა შეუძლებელია. ამასთანავე ჯემშიდხანი იქ განისვენებს. იქ არის მისი საფლავი. იგი საპილიგრიმო ადგილია. ოცდაათი, ორმოცი წმინდანის საფლავიცაა. დიდი სალოცავი ადგილია. აბუ ჰანიფის¹¹⁶ უწმინდესობის აკლდამაც [იქ] არის. ალის უწმინდესობის მჭედელიც იქ განისვენებს. ფერმულან და ფერდედე სულთანად წოდებული ორი ნამდვილი წმინდანი იქ არის. მათი აკლდამები საპილიგრიმო ადგილია. ჩილმაჰრად წოდებული ორმოცი ქალწული ყოფილა. ალექსანდრე მაკედონელის

დროს მოსულან და დემურკაფუს მახლობლად დასახლებულან. რამდენიმე ხანს ურჯულოებთან უბრძოლიათ, შემდეგ ერთი მათგანი მონამებრივი სიკვდილით მომკვდარა, დანარჩენები [კი] გამქრალან. ამჟამად მისი აკლდამა თაყვანისცემის ადგილია. დიდი საღრცავია. პატარა ქააბა აქ არის. დემურკაფუს ციხე ურჯულოთა მხარეს აუგიათ. იმ ვილაიეთების მცხოვრებლებს მისი ისე სჯერათ, რომ დიდი ქააბას ძალას მიაწერენ. იგი სალოცავად აქციეს და მას ქააბას ძალას აწერენ.

ხსენებული ციხის ურჯულოთა მხარეს მდებარე კედელში უბედურების კარად ნოდებული ერთი კარია დატანებული. თუ რატომ უწოდებენ უბედურების კარს [ამის შესახებ], გადმოცემა ასეთია: ალექსანდრე მაკედონელის დროს ხსენებული ციხის კარებებიდან ლაზიები თურმე ჯგუფებად გადიოდნენ და იბრძოდნენ, საღამოს კი კვლავ ციხეში ბრუნდებოდნენ და ისვენებდნენ, მაგრამ იმ კარიდან გასული უკან აღარავინ ბრუნდებოდა, [ყველა] გმირულად კვდებოდა. რამდენჯერმე გამეორდა ასე. ეს ამბავი ალექსანდრეს უდიდებულესობას რომ მოახსენეს, იმასაც უთქვამს, ღმერთის სურვილით ის კარი ჩაინგრესო. რადგანაც ის წყევლა მაშინვე აღსრულდა [ამიტომ], ახლა ჩამოქცევამდე ერთი ანდაზალაა¹⁶ დარჩენილი. ალექსანდრე მაკედონელის დროს დიდი კარი ყოფილა. მხედრები და მოქარავენნი თავისუფლად გადიოდნენ. იმ ადგილას რამდენიმე წარჩინებულმა პირმა თქვა: ჩვენ ვიცით, რომ ამ კარში ცხენოსნები შედიოდნენ და გამოდიოდნენ. ახლა ჩამოქცევის პირზეა. ვილაიეთის მცხოვრებლებს სჯერათ, რომ როგორც კი [კარი] მთლიანად ჩამოიქცევა, მეორედ მოსვლის დღე დადგება. ხსენებული კარი [მე], მწირმა ავტორმა ვნახე. მის ჩამოქცევამდე ოთხი მტკაველილაა დარჩენილი და იმ კარის გარშემო იმდენი სარია ჩარჭობილი, რომ ნემსი ვერ ჩავარდება. ვინმეს კბილი თუ ატკივდებოდა, მივიდოდა, ერთ სარს ჩაარჭობდა და ალაპის ნებით იმავე საათში დაუწყნარდებოდა. დემურკაფუს ციხეში ერთი დიდი წმინდა მეჩეთი არის. წარსულში კეთილნაშენი მეჩეთი ყოფილა, მაგრამ [ახლა] დანგრევის პირზეა. რადგანაც ქალაქ შემახიდან მოსულმა მეომრებმა სახლები ველარ იპოვნეს, ამიტომ იმ გავერანებულ მეჩეთში შევიდნენ და ცოტა დაისვენეს,

ზოგმა თავისი ცხენიც კი [იქ] დააბა, მაგრამ მაღალი ღმერთის ნებით ხსენებულ მეჩეთში შესულ ადამიანთა უმეტესობა დაიხოცა და ზოგმა ტკივილის სიმწარე გამოსცადა. ბოლოს, ოსმან ფაშას აღმატებულებამ ხსენებულ მეჩეთში მყოფი ყველა ადამიანი გამოიყვანა და იქაურობა გაასუფთავებინა, ზოგი ადგილი კი, რომელიც შეკეთებას მოითხოვდა, შეარემონტებინა. მინბარი¹⁷ და მიჰრაბი¹⁸ ხელახლა ააგებინა და შიგ ხალიჩა და ლერწმისგან ნაქსოვი ჭილოფი დააგებინა, იმამი და მუეძინი დაუნიშნა, მუსლიმები ხუმსს¹⁹ აქ იღებდნენ და პარასკევის [ლოცვას] აქ ასრულებდნენ. ისეთი დიდებული მეჩეთია, რომ ამის გადმოცემა შეუძლებელია. ძლიერ დიდია, ორმოცი ქამრის სიგრძისაა. იგი ფადიშაჰ ბურჰანის შთამომავალს შაჰინშაჰ ფადიშაჰს აუგია. მისი ისტორია სამას ნელზე მეტს ითვლის. ხსენებული ციხე აი, ასეთი წმინდანთა და საკვირველებათა ვილაიეთია.

დემურკაფუს ციხის გარშემო რამდენიმე სხვადასხვა ტომი ცხოვრობს. მათგან ერთ-ერთს თაბასარანს უწოდებენ. თუ რატომ ჰქვია თაბასარანი, გადმოცემა ასეთია: აბუ მუსლიმის²⁰ უწმინდესობა წარმოშობით იქიდან ყოფილა. ახლა მისი საფლავი აღნიშნულ ვილაიეთშია. იმ მიდამოების მცხოვრებლები მოსანახულებლად მიდიან. ყველანი მუსლიმები, შაფის²¹ სექტის მიმდევრები არიან, მაგრამ ენა არ უვარგათ. მასუმად წოდებული ბეგი ჰყავთ, მაგრამ ხსენებული ტომი თავის ბეგს ხარაჯას არ უხდის. მეამბოხე ტომია. [მათი] შარიათი დასუსტების პირზეა. ძლიერი სუსტს სურსათს და ქონებას სტაცებს, ისე ძარცვავს, რომ მეტის ატანა შეუძლებელია, ვისაც ბევრი ნათესავი ჰყავს და მეტი ძალა აქვს, სიტყვა მისია და ბეგობასაც ის ეწევა. ზოგიერთი სოფლების არამზადები იკრიბებიან, მეზობელი სოფლების ხარებსა და ცხვრებს ძალით მიერეკებიან და მიირთმევენ. ყველანი აბჯარჯავშნითა და იარაღსხმულნი დადიან. ბალახისთვის, წყლისთვის და მინის დასამუშავებლადაც სახლიდან შეიარაღებულნი გადიან, რადგანაც ბეგის სამფლობელოში თავდასხმა ხშირია და თან მათი შარიათი სუსტდება და რადგანაც წესრიგის მცველი არა ჰყავთ, ამიტომ ძალით წართმეულ სურსათს თავისთვის იტოვებენ, რის გამოც ყოველი მათგანი წარჩინებულებით აბჯარჯავშნითა და

იარაღასხმული დადის. მათი ვილაიეთი მეტად მთიანი, ტყიანი და კლდოვანია, მაგრამ ხილი სამყოფია. ბევრია მოჩუხჩუხე წყალი. მას დალესტანსაც უწოდებენ. თაბასარანის ვილაიეთი აი, ასეთი ვილაიეთია.

დემურკაფუს ციხის ურჯულოთა მხარეში ერთი ტომიც სახლობს. მათ ყაითაღელებს უწოდებენ. უცმად წოდებული ბეგი ჰყავთ. ისეთი დიდები და მსუქნები არიან, რომ ცხენზე შეჯდომაც კი უჭირთ. ადგილიდან ადგილზე გადასაადგილებლად ურემს იყენებენ, მაგრამ მამაცი, ვაჟკაცი ყმანვილები ჰყავთ. ერთ მათგანს მუჰამედ-ხანი ჰქვია. ბრძოლა არაფრად მიაჩნია. მეტად გულადი ვინმეა. მათაც დიდი ჯარი ჰყავთ. საჭიროების დროს ოცი ათასი მეომარი გამოჰყავთ. ყველანი მუსლიმები არიან, მაგრამ ენა არ უფარგათ. თათრის ბუნებისა არიან. უმეტესობა ლუდს ეტანება. მათ დემურკაფუს ციხე ლუდით გაჟღინთეს. ხსენებული ტომი ჰამზას უმაღლესობის შთამომავალია. ყურეიშის ციხე იქ არის. ჰამზას შთამომავლები რომ არიან, ამის შესახებ გადმოცემა ასეთია: წარსულში ის ვილაიეთები ურჯულოების, შირვანი კი მუსლიმების ყოფილა. ჰამზას უმაღლესობა ზოგიერთ მეგობართან ერთად იქ მისულა და რამდენიმე ხანს უბრძოლია. ბოლოს, ჰამზა წყეულ ურჯულოებს ეშმაკობით დაუჭერიათ, დაუტყვევებიათ და იმ ყურეიშის ციხეში გამოუკეტავთ. ერთხანს ჰამზა იქ ყოფილა პატიმრად. ერთხელაც მისთვის მსახური ქალი მიუჩენიათ. მათ პირი შეუკრავთ, შემდეგ ჰამზას უმაღლესობა ბაბა ომერის გზით ციხიდან გაუშვიათ, ის მსახური [კი] მისგან ფეხმძიმედ დარჩენილა და შემდეგ ბავშვი შესძენია. რამდენიმე ხნის შემდეგ ის ბიჭი გაზრდილა და მასაც ჰყოლია შვილები. ასე გამრავლებულა მისი შთამომავლობა. ის ვილაიეთები ძალით აუღიათ და დაუპყრიათ. [აი], ასეთია გადმოცემა ჰამზას შთამომავლების შესახებ. ყურეიშის ციხის სახელის ძირი [შემდეგიდან მოდის]. ჰამზა ყურეიში იყო და რადგანაც იგი იმ ციხეში იყო პატიმრად, ამიტომ უწოდებენ ყურეიშის ციხესა და ბინას. ხსენებული ციხე ყაითაღის ვილაიეთში ერთ მთაზე მდებარეობს. მეტად ციცაბო ადგილზეა. ამჟამად აღნიშნული ტომის ბეგი უცმი იქ ცხოვრობს. მათ სიახლოვეს შამხალია. ისინიც მუსლიმები არიან და მათაც

საკმარისი ჯარი ჰყავთ. როცა მუსტაფა ფაშას აღმატებულება შირვანის ვილაიეთში ბედნიერად მივიდა, ხსენებული შამხალიც ფაშას აღმატებულებას ეახლა და დაემორჩილა. ფაშამაც ოსმან ფაშასთვის ქალიშვილი სთხოვა. იმანაც მისცა. ნიშნობა იქვე გადაიხადეს, შემდეგ, როცა ოსმან ფაშა დემურკაფუს ციხეში მივიდა, [იქ] მოიყვანეს, მაგრამ შამხალის საკუთარი ქალიშვილი კი არა, მისი ძმისშვილი. იგი ახლა ოსმან ფაშას კანონიერი მეუღლეა. იმ არემარეში მრავალი ტომია: თუმანის,¹²² ყუმუხის, ჰუკუკის,¹²³ ყაბარდოს და მათ შემდეგ ურჯულო ჩერქეზების. ეს ხსენებული ტომები ურჯულოები არიან. ზოგი აბაზას¹²⁴ შთამომავალია და ზოგი ჩერქეზია. ესენიც მრავალრიცხოვანი ტომებია. ხსენებული ტომები ყველანი მთიან დაღესტანში სახლობენ. მათი ვილაიეთები მეტად ციცაბო და ქვიან ადგილზე მდებარეობს. ამ ვილაიეთების შესახებ რაც ვიცოდით, შეძლებისდაგვარად გამოგვიცით.

ახლა ოსმან ფაშას აღმატებულების ამბავს მივუბრუნდეთ. ისლამის ლაშქარი დემურკაფუს ციხეში დაბინავდა, ვინ ციხის შიგნით და ვინ ციხის გარეთ მოეწყო. გაზაფხულის დღეები დადგა და დემურკაფუს ციხის ირგვლივ ყველა თავის ცხენს აბალახებდა. დაღამებისას ზოგი ციხეში და ზოგი ციხის გარეთ ეწყობოდა. ამ ყოფაში რამდენიმე დღე გავიდა, მაგრამ ლამ-ლამობით ცხენების მოპარვა დაიწყო. ბოლოს, ციხის გარეთ ღამე აღარავინ რჩებოდა, შიგ შედიოდნენ. შემდეგ ყაითალის ვილაიეთის არამზადებმა თავი მოიყარეს და ციხიდან ცხენების საბალახოდ გამოსულ ბიჭებსა და მსახურებს ცხენებსა და ნივთებს ხელიდან სტაცებდნენ. ბოლოს, ოსმან ფაშას აღმატებულება ციხის გაღების შემდეგ მხედრებს უსაფრებდა და [მხოლოდ ამის] შემდეგ გაჰყავდათ ცხენები. ასე გავიდა რამდენიმე დღე. ერთხელ ყაითალელი არამზადები კვლავ შეიკრიბნენ და კასპიის ზღვის სანაპიროზე დაიმაღლნენ. ის იყო, ცხენები უნდა მოეპარათ, რომ ოსმან ფაშას მიერ გაგზავნილ სანახების დამცველებს გადააწყდნენ და იმ უბანში მათთან ბრძოლა გაიმართა. ნაწილი გაიქცა [მაგრამ], ნაწილი გაქცეულებისა დაიჭირეს და ფაშას აღმატებულებას მოჰგვარეს. მათ კისრები მოსწყვიტეს, თავები კი ჯოხე-

ბზე წამოაცვეს და კოშკსა და კედელზე ჩამოჰკიდეს. თურმე, ეს მოკლულეები ყაითალის ბეგის უცმის საკუთარი კაცები ყოფილან. ეს ამბავი რომ შეიტყო, რუმის ლაშქრის მიმართ მტრულად განენწყო და თავისი მმართველობის ქვეშ მყოფ ტომს მიმართა, ნება დართო – რუმელიელი მეომარი, ვინც არ უნდა იყოს, [ყველა] მოკალით და რაც რამ აბადიათ ყველაფერი წაართვითო. ისინიც რუმელიელებს ციხიდან გარეთ საერთოდ აღარ უშვებდნენ. ისე გაუხადეს [საქმე], რომ ციხის სიახლოვეს ბალახისა და წყლისთვისაც ვეღარ გადიოდნენ. ციხის გალების შემდეგ ერთი სანჯაყბეგი და რამდენიმე კაცი ყარაულად თუ არ დადგებოდა, ისე ცხენები [ვერც] საბალახოდ და [ვერც] წყალზე ვერ გავიდოდნენ. რუმის ლაშქრის დიდი სიფრთხილით გასვლა რომ გაიგეს, ხუთას-ექვსასმა მამაცმა ყაითალელმა თავი მოიყარა და მინდორში მყოფ ცხენებს რამდენჯერმე თავს დაესხა. ბევრი ცხენი და ჯორი წინ გაირეკა და მრავალი ჩვენიანი მოკლა. ამ ამბავმა ოსმან ფაშას აღმატებულება აამოქმედა. ბოლოს, ერთ დღეს, მან თავისი რაზმი, ნაწილი იანიჩრებისა და რამდენიმე ცალი ზარბაზანი წესრიგში მოიყვანა და სალამო ხანს ჩქარი სვლით ყაითალის ვილაიეთისკენ დაიძრა. დილამდე იარეს და მეორე დღეს, ნაშუადღევს, ყაითალის ვილაიეთში შევიდნენ. ლაზიებს ყოველი მხრიდან მოჰქონდათ ყაითალელი არამზადების თავები, ზოგსაც ატყვევებდნენ. ყაითალის შუაგულში ბაშქოიდ წოდებულ ცნობილ მთაზე, ციცაბო და მაღალ ადგილზე ერთი დასახლებული სოფელია, დაახლოებით ხუთასი კომლია. [როცა] ისლამის ლაშქარმა მასზე გაილაშქრა, ხსენებული სოფლის მოსახლეობა და გარშემო სოფლებიდან უამრავი ადამიანი შეიკრიბა. ყველა აბჯარ-ჯავშნითა და იარაღით [აღიჭურვა], სოფელს ალყა შემოარტყეს და გაჩერდნენ. სოფელი მეტად ციცაბო და შეუვალ ადგილზე მდებარეობდა, რის გამოც ყაითალელი მეომრები იქვე გამავალ გზაზე შეიკრიბნენ და ისლამის ლაშქარს მალლიდან დიდ-დიდი ქვები და ისრები დაუშინეს. ისეთი ომი გაიმართა, რომ ამის აღწერა შეუძლებელია. ატირებულები აქეთ-იქით გარბოდნენ. ყაითალელი მეომრები რაზმებად და ჯგუფებად [დანყობილნი] ყოველი მხრიდან მოვიდნენ და გაერთიანდნენ. ხსენებულ

სოფელში ძალზე დიდი ბრძოლა მოხდა. როგორც რუმის ლაშქრიდან, ისე მათგან ბევრი ადამიანი დაეცა მიწაზე, მაგრამ რუმის ლაშქარმა ძლიერ შეუტია, ყოველი მხრიდან თავს დაესხა, ქვემეხი და თოფი ისროლა და წყეულები სოფლიდან განდევნა. რუმის ლაშქარი აღნიშნულ სოფელს ეკვეთა. მათი ქონება და სურსათი დაიტაცეს, ხელთგდებული ადამიანები ყველანი დახოცეს და მათი სახლები ცეცხლს მისცეს. უთვალავი ცხვარი და ხარი გაირეკეს წინ და ამ ნადავლით [დატვირთულნი] უკან გაბრუნდნენ, გეზი დემურკაფუსკენ აიღეს, მაგრამ ხსენებული ვილაიეთის ყაითაღელები [კვლავ] შეგროვდნენ და რაზმებად და ჯგუფებად [დანყობილნი] ყოველი მხრიდან ისე მოვიდნენ, რომ ამის აღწერა შეუძლებელია. აბჯარ-ჯავშნითა და იარაღით ყველა კარგად აღჭურვილიყო. ისეთი ისრის მსროლელები [ჰყავდათ], რომ ამის აღწერა ძნელია. მათი ისრები ხიშტებივით იყო, ერთი დარტყმით ადამიანს ცხენიდან ძირს აგდებდნენ. იმ დღეს წყეულები ზურგში ჩაგვიდგნენ და დიდი ბრძოლა გაგვიმართეს. ურჯულოები თანდათან მრავლდებოდნენ. ერთი სიტყვით, ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა. საღამოთი ერთ ჭაობიან ადგილას მივედით და იქ გავეჩრდით. მოლაშქრეები შეგროვდნენ, გარშემო ზარბაზნები შემოიწყვეს და მეთოფეებიც დააყენეს. დილამდე ვერ დაწვნენ, სიფრთხილეს იჩენდნენ. გათენდა თუ არა მთელი ლაშქარი აიყარა და კასპიის ზღვის სანაპიროს მიადგა. ზღვის სანაპიროზე გამწკრივდა და ნელი სვლით დემურკაფუს ციხისკენ გაემურა. ჩვენს წინ თურმე დიდი წყალი ყოფილა. ზღვის სიახლოვეს ერთ ადგილზე ფონი იყო, მაგრამ არ გადაისვლებოდა. ყაითაღელთა ლაშქარს ერთიანად იქ მოეყარა თავი, გადასასვლელის თავში თხრილები გაეკეთებინათ და საბრძოლველად გამზადებულნი დამდგარიყვნენ. რუმის ლაშქარი იმ უბანში მივიდა, მაგრამ ფონი ვერ გადალახა და ბრძოლა დაიწყეს. დიდი ომი გაიმართა. ბოლოს, ზარბაზნები წინ გადმოვიტანეთ, თხრილები, რომლებიც ჩანდა, მოვშალეთ და ყაითაღელებს უკან დავახევინეთ. ის გადასასვლელიც გადავლახეთ და გეზი დემურკაფუსკენ ავიღეთ, მაგრამ ყაითაღელთა რაზმმა ძლიერ შემოგვიტია, ზურგიდან დაგვესხა თავს და დიდი ბრძოლა გაგვიმართა. თავს მაშინ დაგვეცნენ,

როცა დემურკაფუმდე ცოტალა რჩებოდა. დემურკაფუმში მყოფმა რუმის ლაშქარმა დაგვინახა და წინ შემოგვეგება, რის გამოც ყაითაღლეები უკან გაბრუნდნენ, თავისი ვილაიეთისკენ წავიდნენ. იმ ვილაიეთის ხალხმა [ეს ამბავი] ასი ათასჯერ შეაქო და ოსმან ფაშას მსგავსად ვაჟკაცობა გამოიჩინა. რუმის ლაშქართან დამარცხებული ყაითაღლეების მსგავსი მეომარი და მამაცი ტომების ხალხი და ვილაიეთები დაარბიეს, სოფლები ცეცხლს მისცეს. ყველა მხარის ბეგები და მმართველები ფრთხილობდნენ და ათასჯერ აქებდნენ.

გარდა ამისა, თაბასარანის მახლობლად, კავკასიონის მთის ძირას, ქურედ წოდებული ტომი ცხოვრობს. ხსენებული ტომი ყიზილბაშის მეგობარია და რაფიზიები არიან. წყეულმა მწვალე-ბლებმა პირი შეკრეს და რუმელიელ მეომრებს იმ გზებზე დახვდნენ, რომლითაც ესენი მესქურესა და შაბურანში სურსათ-სანოვავისთვის მიდიოდნენ. ზოგი მოკლეს და ზოგი გაძარცვეს. ამ და სხვა ძალადობის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. ოსმან ფაშას აღმატებულებამ ეს რომ გაიგო, მათ წინააღმდეგ ნაწილი მეომრებისა გაგზავნა, რუმის ლაშქარიც გზააბნეულ ტომს თავს დაესხა და ბრძოლა გაუმართა. ბოლოს, ისლამის ლაშქარს უწმინდესმა და უზენაესმა ღმერთმა ძალა და გამარჯვება უწყალობა და ისლამის ფადიშაჰის ქვეყანაში ხსენებული ტომი დაიმორჩილეს და უმეტესობა ხმლით აკუნეს. ზოგმა მთას მიაშურა და სული და ხორცი შეინარჩუნა. წყეული რაფიზიების სახლები და ნათესები ცეცხლს მისცეს. მათი ქონება დაიტაცეს, უამრავი ცხვარი და ხარი გამოირეკეს და დემურკაფუს ციხეში მოიყვანეს. ასე რომ, რუმელიელი მეომრები ყველანი გამდიდრდნენ და წყალობით აივსნენ.

თხრობა აქ შევწყვიტოთ და მივუბრუნდეთ სხვა ამბავს, რომელიც უბედურ ყიზილბაშს ეხება.

როცა გაქცეულმა ოსმან ფაშას აღმატებულებამ ქალაქი შემახა მიატოვა და დემურკაფუს ციხეში მივიდა, წყეული ყიზილბაში ხსენებულ ქალაქში შევიდა და ნახა, რომ ქალაქში რუმის ლაშქრიდან ერთი კაციც კი არ დარჩენილა, ყველა დემურკაფუში წასულა. ქალაქში შევიდნენ და რუმის ლაშქარს რაც რამე დარჩა, [ყველაფერი] დაიტაცეს. სუნიტები ვინც იპოვნეს, ყველანი დახოცეს, სურსათი მიისაკუთრეს და როცა შეცდომით შირვანში ისხდნენ, თურმე, [იმ დროს] ვანის ბეგლარბეგმა ხოსრო ფაშამ¹²⁵ როგორც კი შეიტყო, რომ ყიზილბაშთა ლაშქარი შეიკრიბა და შირვანში [მყოფი] ოსმან ფაშას აღმატებულების წინააღმდეგ გაილაშქრა, ვანის ლაშქრითურთ იმავე წამს თავრიზისკენ გაემართა, ვანსა და თავრიზს შორის მდებარე რამდენიმე პატარა ციხე აიღო და იმ გასასვლელში მცხოვრები წყეული მწვანელები გასრისა, ზოგი მოკლა, ზოგი დაჭრა და მათი მხარე და ვილაიეთი ცეცხლს მისცა. შაჰის [ყურამდე] შემდეგმა ამბავმა მიაღწია: აი, ვანის ლაშქარმა თავრიზის სიახლოვეს საზღვრები დაარბია და თავრიზისკენ მოემართებო. შაჰი შეძრწუნდა, სასწრაფოდ ბრძანება შეადგინა, მსახურს ხელში მისცა და შირვანში მყოფ ლაშქარს აწვია. რამდენიმე დღის შემდეგ წერილმა და მსახურმა შირვანში მყოფ ლაშქარს მიაღწია. [მსახურმა] შაჰის წერილი გადასცა. წერილი გახსნეს და ნახეს, რომ შემდეგი ეწერა: შენ, რომელიც ჩემი გულის ჩიტი მირზა ჰამზა ხარ, და შენ, რომელიც ჩემი ვეზირი მირზა სალმანი ხარ, ამირ-ხანო, შახრუხ-ხანო, ფირე-ხანო, თურქმან მეჰმედ-ხანო, ხალილ-ხანო,¹²⁶ ხალიფა ანსარო და სხვა ჩემო ყორჩიებო, გეცნობოთ, რომ რუმის ლაშქრიდან ვანის ბეგლარბეგმა ხოსრო ფაშამ ვანის ლაშქრითურთ ჩვენი საზღვრები მოარბია, მრავალი ჩვენი ღაზი მოკლა და რამდენიმე ჩვენი ციხე აიღო. ახლა თავრიზისკენ წამოსვლა უსურვებია. ამ უსიამო ბრძანებით მსახური თქვენთან რომ მოვა, აჩქარდით, თუ იზარმაცებთ და გვიან მოხვალთ, იმედი აღარ გვექნება, რომ შთამომავლობა გვეყოლებო. წყეულმა მწვანელებმა ეს

რომ შეიტყვეს, შეძრწუნდნენ, ყველა მღელვარებამ შეიპყრო, მაშინვე ადგნენ და წავიდნენ. ოსმან ფაშას აღმატებულებამ ამათი შირვანიდან წასვლა გაიგო თუ არა – ხელსაყრელი შემთხვევა მოგვეცა, შირვანი ცარიელიაო – იმავე წამს გულადების მეთაური დელი კაიკუ სერასქერად დანიშნა და მეომრებთან ერთად შირვანში გაგზავნა იმ ზარბაზნების მოსატანად, რომლებიც დემურკაფუში წასვლისას შემახაში დარჩათ. კაიკუ ალაც რაზმითურთ მაშინვე სწრაფი სვლით გაემურა. შემახაში მისვლისას ქალაქი ცარიელი დახვდათ. ზარბაზნები აიღეს. ქისებით თოფისწამალი დარჩენოდათ, ისიც წამოიღეს და რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ დემურკაფუს ციხეში მოვიდნენ. ხსენებული ციხე იარაღით მოამარაგეს. თოფისწამალი ხალხს თავზეხსაყრელი ჰქონდა. უწმინდესმა და უზენაესმა ღმერთმა წყალობა მოიღო და ისლამის ფადიშაჰის ქვეყანაში იარაღი არ დაიკარგა. ამგვარი ყოფით რამდენიმე დღე გავიდა.

ერთ დღეს ოსმან ფაშას აღმატებულებას მოხსენდა, რომ უკუღმართი ყიზილბაში ხანებიდან თექელი მეჰმედ-ხანად წოდებული ცნობილი ხანი რამდენიმე ათას ყიზილბაშთან ერთად ქალაქ შემახაში მისულა და მოკალათებულა. ამგვარად, შირვანის ვილაიეთის ნახევარი მათ, ნახევარი კი ოსმან ფაშამ დაიპყრო. თანაც ზაფხულის სიცხეში წყეული ურჯულო მეჰმედ-ხანი ყასაბა შაბურანთან მდებარე ქუთაჰად წოდებულ იალალზე მივიდა და დაბანაკდა. ხსენებული იალალი მესქურესა და შაბურანთან ისე ახლოა, რომ ისინი ოსმან ფაშას აღმატებულებამ დაიპყრო. იმ ზაფხულს წყეულებს შემოდგომის დადგომამდე ყოველდღე ვებრძოდით და ვეომებოდით, ხან რუმის ლაშქარი ამარცხებდა მათ, ხალხს უხოცავდა და ატყვევებდა, ხან კი ისინი სჯობნიდნენ რუმის ლაშქარს. მრავალი ჩვენიანი აღესრულა მონამებრივი სიკვდილით და რამდენი [კიდე] ტყვედ ჩავარდა. ერთი სიტყვით, თხრობას აღარ გავაგრძელებ. შემოდგომის სიცივეებმა დაიჭირა თუ არა, ის წყეულები იალალიდან ჩამოვიდნენ, ქალაქ შემახაში წავიდნენ და იქ ყოველდღე ომი იყო.

ამ ამბავზე აქ შევჩერდეთ და მივუბრუნდეთ სხვა ამბავს, რომელიც დიდვეზირ მუსტაფა ფაშას ეხება.

მან შირვანის ვილაიეთში ოსმან ფაშა დატოვა, თავად კი რუმისკენ გაემგზავრა. ყასაბა არეშიდან აიყარა და მეორე დღეს შექიდ სახელდებულ და ზაგემად ნოდებულ ქალაქზე, რომელიც ლევან შაჰის ვილაიეთია, გაიარა. რამდენიმე სადგომის შემდეგ თბილისში მივიდა. მეომრები მის გარშემო დაბანაკდნენ. ერთი-ორი დღე იქ გაჩერდნენ. [ლალა ფაშამ] ხსენებულ ციხეში ცოტა სურსათ-სანოვავე და საკმარისი რაოდენობის მეომრები დატოვა, თავად [კი] არზრუმისკენ გაემართა, მაგრამ ისლამის ლაშქარს გზებზე და ქართული ვილაიეთების ციცაბო მთებში სიცივემ, თოვლმა და წყალდიდობამ მოუსწრო. დიდი ტანჯვა-წვალება გამოიარეს. იმ ვილაიეთის ურჯულოებმა უმეტესად ლაშქარს ჩამორჩენილები დახოცეს, ზოგი დაჭრეს და მათი ცხენები და ქონება მიიტაცეს. იმის გამო, რომ ხსენებული ვილაიეთი მეტად ციცაბო ადგილზე მდებარეობს, ბევრი გაჭირვება გადაიტანეს. მიუხედავად ამისა, მთავარსარდლის აღმატებულება 986 წლის კურთხეული რამაზანის თვეში¹²⁷ არზრუმის ციხეში შევიდა. ისლამის ლაშქრიდან ზოგმა ხსენებულ ციხეში გამოიზამთრა, ზოგს [კი] ნება დაერთო და თავის მამულში დაბინავდა.

[ახლა] მივუბრუნდეთ სხვა ამბავს, რომელიც შირვანსა და თბილისში დარჩენილ ისლამის ლაშქარს ეხება.

ოსმან ფაშას აღმატებულების შირვანიდან დემურკაფუს ციხეში წასვლის შემდეგ წყეული ყიზილბაში ხანებიდან განჯის ხანი იმამყული-ხანი, ხალიფა ანსარი, ყაზახთა ბეგი დოღმაზ ბეგი და სიმონად¹²⁸ ნოდებული წყეული რამდენიმე ათას გზააბნეულ მეომართან ერთად თბილისში მივიდნენ, ციხეს გარს შემოერტყნენ და დიდი ბრძოლა გამართეს, მაგრამ რუმელიელი მეომრებიც ღირსეულნი იყვნენ და [მათაც] შიგნიდან დიდი წინააღმდეგობა

გაუწიეს. ქვემეხი და თოფი [ისროლეს] და ურჯულო ციხესთან არ მიუშვეს, ბევრი მოკლეს. ბოლოს, ურჯულოებმა ნახეს, რომ დღისით ციხეს ვერ გაეკარებოდნენ. [მტკვრის] სანაპიროზე ხეებისგან კიბეები გააკეთეს. ღამის დადგომისთანავე გროვდებოდნენ, ყოველი მხრიდან გარს ეხვეოდნენ და თავს ესხმოდნენ. გამზადებულ კიბეებს ციხის [კედელს] აყრდნობდნენ, [მაგრამ] ასვლისას ისლამის ლაშქარი შიგნიდან ქვეებს უშენდა, ქვემეხსა და თოფს ესროდა, კიბეებს თავს ანებებინებდნენ, ციხიდან ყრიდნენ და ქსაქსავდნენ. წყეულებმა ნახეს, რომ ამ ხერხით [ციხის] აღება შეუძლებელი იყო. ბოლოს, ციხეს გარს შემოერტყნენ და ზუსტად ოთხი თვე იცადეს, შიმშილისგან დასუსტდნენ [ოსმალები]. ციხე ამ გზით უნდა აეღოთ. მართლაც, ციხეში შიმშილობა დაიწყო. საჭმელ-სასმელი გამოეღიათ. ისე გახდა, რომ ადამიანი ადამიანს საჭმელად თავს ესხმოდა. უფრო ღონიერნი [შედარებით სუსტებს] ყელს ღადრავდნენ და ჭამდნენ. შემდეგ ისინიც დაუძლურდნენ და ბალახისა და ძვლის ფხვნილის ჭამა დაიწყეს. ერთი სიტყვით, შიმშილისგან ბევრი დაიხოცა, [მაგრამ] ციხიდან არ გავიდნენ და ყიზილბაშს არ ჩაბარდნენ. მდგომარეობა ისეთი გულსატკენი იყო, რომ რუმიდან მარაშის ბეგლარბეგმა მუსტაფა ფაშამ²⁹ ისლამის ლაშქართან ერთად ხსენებულ ციხეს ხმა მიანვდინა და თან უამრავი სურსათი მიუტანა. წყეულმა ყიზილბაშებმა ისლამის ლაშქრის მოსვლა რომ გაიგეს, სახე გაუშავდათ და ყველამ საკუთარ მამულს მიაშურა.

**თხრობა აქ შევწყვიტოთ და სხვა ამბავს მივუბრუნდეთ.
იგი მთავარსარდალ მუსტაფა ფაშას ეხება.**

იგი იმ წელიწადს გამარჯვების შარავანდედით მოსილი ლაშქრობიდან დაბრუნდა. რუმისკენ წასულმა მთელმა ჯარმა ერთ ადგილზე გამოიზამთრა. ზამთარს ყავლი გაუვიდა და მდელო, ველი და ვაკე გაზაფხულის მშვენიერებით, უთვალავი სხვადასხვა ფერის ყვავილით მოირთო და მოიკაზმა. ზამთრის სიბნე-

ლიდან და უბედურებისგან [თავდახსნილმა] ხეებმა თვალებიდან ცრემლი გადმოღვარეს და [ახლად] დამდგარი გაზაფხულის შესახვედრად თავზე ყვავილების ქუდები დაიხურეს. რადგანაც მდებლოები ამწვანდა, მიწიდან ბალახმა ამოყო თავი, მინდვრები ტიტით დაიფარა და გაზაფხული მოვიდა, ჩამქრალმა ბალახმა და ხეებმა ძლიერ გაიხარეს, თავები ასნიეს, უზენაეს ღმერთს ქებათა-ქება შეასხეს და თავები ისე შეარხიეს, თითქოს სამოთხის ბალის შუაგულში დასავლეთის ქარისგან კვიპაროსის ტოტი ირხევო.

ლექსი

გაზაფხული დადგა, მთელმა ქვეყანამ გაიცინა
და ერთიანობას მიაღწია. თითქოს მტირალი

შეყვარებულიაო,

ზამთრის სიმკაცრით დაუძღურებული მდებლოს
ყურამდე გაზაფხულის მოსვლამ რომ მიაღწია,

სიხარულმა [გააბრუა],

დედამიწის ზედაპირი დიდებულ სამოთხის ბალს დაემსგავსა,
ბალახმა მიწიდან ამოყო თავი და ყველამ დიდება აღუვლინა
[ღმერთს],

ხეები მწვანე სამოსით მოირთვნენ,

წითელი ვარდისთვის კენესის ბულბული,

შენც თუ ძლიერ მოგესურვება, საცეკვაო ადგილია,

რადგანაც დაფარული გაიხსნა. ღვთის წყალობით ყველა

ყვავილი მოციინარია.

ერთი სიტყვით, ნამდვილი გაზაფხული დადგა და კვლავ გამარჯვების შარავანდედით მოსილი ლაშქრობისათვის ყოველ მხარესა და ყველა ვილაიეთში ჩავუშები და მაცნეები დაიგზავნენ და მოუწოდეს: გამარჯვების შარავანდედით მოსილი ლაშქრობისათვის მოემზადეთ, დადგენილი ადგილისკენ ისწრაფეთ და შეგროვდითო. ამ უზენაესი ფირმანის გამოცხადებისთანავე სხვადასხვა ვილაიეთში გამოზამთრებული და უავგუსტოესი ლაშქრობისათვის განწესებული ჯარი ყოველი კუთხიდან

[დაიძრა] და რაზმებად და ჯგუფებად დაწყობილი არზრუმის ვილაიეთში მოვიდა და შეიკრიბა. არზრუმის ციხის ველი კვლავ ისლამის ლაშქრითა და სხვადასხვა ფერის კარვებით ისე [ლამაზად] მოირთო, რომ ამის აღწერა და გადმოცემა შეუძლებელია. იმ წელიწადს სირიის ბეგლარბეგ ჰასან ფაშასაც ებრძანა, რომ გამარჯვების შარავანდედით მოსილი ლაშქრობისათვის ისიც მომზადებულიყო და დადგენილ ადგილზე მოსულიყო. ჰასან ფაშაც მოემზადა და არაბეთის ქვეყნის გულადები და მამაცები წმინდა სირიიდან აიყარნენ, არზრუმის მხარეში მოვიდნენ და მთავარსარდლის აღმატებულებისათვის ლაშქრისა და ვაჟკაცობის საჩვენებლად საბრძოლო იარაღით აღიჭურვნენ. რაზმელები და ცხენები ოქროთი მოჭედილი და ძვირფასი თვლებით შემკული ნივთებითა და ჩასაცემელით მორთეს. ორმოცი ათასი გულადი და რჩეული მხედარი საბრძოლო იარაღით აღიჭურვა და ხელში შუბებით დიდებულ არაბულ ბედაურებსა და კუბაშურ ცხენებზე ამხედრდნენ. მოედნის შუაგულში თითოეულმა მათგანმა ლომებრ გულადად იბრძოლა და იარაღი იხმარა. ისეთი რაზმთა [წყობა] და შემართება აჩვენეს, რომ ამის კალმით აღწერა და ენით გადმოცემა შეუძლებელია. ანატოლიის ბეგლარბეგმა ჯაფერ ფაშამ³⁰ და სხვა ბეგლარბეგებმა, სანჯაყბეგებმა, ბოლუქის ალებმა, ზაიმებმა და გამარჯვების შარავანდედით მოსილი ლაშქრობისათვის განწესებულმა მთელმა ლაშქარმა შესაფერისი რაზმთა [წყობა] და შემართება აჩვენა და რაზმებად და მწკრივებად განლაგდა. მუსტაფა ფაშაც 987 წლის ჯუმად აღ-ვეელის³¹ [თვეში] არზრუმის ციხიდან აიყარა და ყარსის ნანგრევებისკენ გაემართა. სარდლის აღმატებულების წმინდა სურვილი ის იყო, რომ ამ კურთხეულ წელს დანგრეულ ყარსს აღადგენდა და, თუ ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა, შირვანში მივიდოდა და ოსმან ფაშას შეხედებოდა. [იგი] არზრუმის ციხიდან აიყარა და მეექვსე დღეს ყარსის ნანგრევებს მიაღწია. ისლამის ლაშქარი ხსენებული ნანგრევების გარშემო ბოლუქებად დაბანაკდა. ბეგლარბეგები, სანჯაყბეგები, ბოლუქის ალები და იანიჩრები თავ-თავის ადგილზე გაჩერდნენ. მთავარსარდალ მუსტაფა ფაშას აღმატებულებამ კარავი ხსენებული ნანგრევების მახლობლად გააშლევინა. ხუთი

ათასი იანიჩარი სარდალს გარს შემოერტყა და [ამგვარად] იგი შუაში მოექცა. ოთხასი ზარბაზანი და საშაჰო ქვემების ურიკა ლაშქარს გარს შემოუნყვეს. ურიკებს შორის ჯაჭვი ისე გააბეს, რომ მათი ერთმანეთისგან გამოცალკეება შეუძლებელი იყო. სიმაგრის მსგავსი რამ გამოვიდა და მთელ ლაშქარს გარს შემოერტყა. თანაც მტერი თუ ღამე დაესხმოდა თავს, ლაშქარში შესვლას ვერ შეძლებდა. ამ ღონისძიებების დასრულების შემდეგ ისლამის ლაშქარი დაბანაკდა და განლაგდა. გულადი ბეგლარბეგები დღე და ღამე გარშემო ყარაულში იდგნენ და დანგრეული ყარსის აღსადგენად ძალას არ იშურებდნენ. ყველანი, ფაშები, სანჯაყბეგები, ბოლუქის ალები, იანიჩართა ქეთხუდა, ნარჩინებულები, გამოცდილი ემირები, ხელოსნები, მშენებლები და საქმის მცოდნენი ციხის შეკეთებას შეუდგნენ და ძალ-ღონე არ დაზოგეს. თითოეულს თავ-თავისი ადგილი მიუჩინეს, ვინ ვის დაეხმარებოდა და რას გააკეთებდა განუსაზღვრეს, ალებსა და ბეგებს ჰკითხეს და შემდეგ მდგომარეობის შესაბამისად პატივი მიაგეს. იანიჩრებს ხსენებული ნანგრევების სამხრეთით მიმდინარე წყლის სიახლოვეს მდებარე მხარე გამოუყვეს, აღმოსავლეთი არზრუმის ლაშქარსა და ბაჰრამ ფაშას ჩააბარეს, ნარინყალას მხარეს კი ანატოლიის ბეგლარბეგი ჯაფერ ფაშა გაანწესეს. ერთი სიტყვით, ყველას თავ-თავისი ადგილი გამოუყვეს და შენება და შეკეთება დაიწყეს. ხსენებული ციხის შენების დაწყებისას 987 წ. ჯუმად აღ-ახირის დასაწყისი¹² იყო. ბედნიერი მუბარეჯის დასასრულს მიატოვეს [საქმე, მაგრამ] შემდეგ ყველამ ხელი გამოიღო. ბეგლარბეგები, სანჯაყბეგები და ალები თავის ხალხს თავზე ადგნენ, დღე და ღამეს ასწორებდნენ, ისე იშრომეს, რომ ყოველი მხარე კეთილმოდანყეს. კოშკები და კედლებიც დაასრულეს. ისეთი დიდებული ციხე გამოვიდა, რომ მისი მსგავსი არ იპოვებოდა. ხსენებული ციხის წინ მიმდინარე წყლის ერთი ნაწილი ციხეში მეტად ჭკვიანურად შეიყვანეს. იგი არტაანის კარის მხრიდან გადიოდა და კვლავ იმ მდინარეს ერთვოდა. წყლის ციხეში შესვლა გარედან სრულებით არ ჩანდა. მტერიც რომ მოსულიყო, წყალზე გასაჭირი [მაინც] არ ექნებოდათ. ხსენებული ციხის [აღდგენა] ოთხმოცდაათ დღეში დაასრულეს. უწმინდესმა და უზენაესმა

ღმერთმა აკურთხა და ციხის სრულად დამთავრების შემდეგ ციხისთავი, მეციხოვნეები და გულადები ჩანერეს. კედლებში და კოშკებში ქვემეხები და ზარბაზნები ჩადგეს, იარაღით მოამარაგეს და შიგნით მორიგე იანიჩრები და თიმარის პატრონები [ჩააყენეს]. ერთი სიტყვით, ხსენებული ციხე იარაღითა და მეომრებით გაავსეს და ციხის დასაცავად გამოყოფილმა ბეგებმა, ალებმა და სხვებმა ციხის შიგნით თავიანთთვის სახლებისა და თავლების შენება დაიწყეს და უმოკლეს დროში შიდა ციხე სახლებით ისე კეთილმოაწყეს, რომ ამის აღწერა შეუძლებელია. მეომრები ყარსის ციხის შესაკეთებლად დიდ გარჯასა და მცდელობაში იყვნენ, რომ თოქმაქ-ხანად ნოდებულის ნყეულის ლაშქრიდან ზოგიერთი ურჯულო შეიკრიბა და იმ არემარეში ბალახის, ქერისა და სურსათისთვის გასული [ცხენების] მომვლელი ბიჭები და მსახურები მეტად შეავიწროვა. მათი ძალადობის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, რის გამოც მთავარსარდლის აღმატებულებამ ანატოლიის ბეგლარბეგი ჯაფერ ფაშა და არზრუმის ბეგლარბეგი მუჰამედ ფაშა სერასქერად დანიშნა და ლაშქრის ერთი ნაწილი თან გააყოლა. [ისინი] ყარსიდან დაიძვრნენ. ჯაფერ ფაშამ ყასაბა ერევანზე, მუჰამედ ფაშამ [კი] საადრუხურზე¹³³ გაილაშქრა. წყეული მწვალელების ვილაიეთი და მისი მცხოვრებლები გაძარცვეს, ხელთგდებული ყიზილბაშები ხმლით აკუნეს, მათი ცოლ-შვილი დაატყვევეს, სახლები და ნათესები [კი] ცეცხლს მისცეს. ყასაბა ერევანში თოქმაქ-ხანის დიდებული სასახლე და კოშკები გადანვეს. ლაზიებმა ქონება [მიიტაცეს] და უთვალავი ხარი და ცხვარი ყოველი მხრიდან ჯგუფებად წინ გაირეკეს. მეომრები გამდიდრდნენ და ხორციით, პურიით და სხვა წყალობით ისე დაიტვირთნენ, რომ ერთ ხარს თხუთმეტ ახჩად, დიდ ცხვარს ხუთ ახჩად ჰყიდდნენ. თავზე საყრელად ჰქონდათ სურსათ-სანოვაგეც. ისლამის ლაშქარი ყარსის ციხის წინ დაბანაკდა, მაგრამ შემოდგომა დადგა და რადგანაც ვილაიეთი მაღლობზე მდებარეობდა, ზამთრის სუსხმა დაჰკრა, რამდენჯერმე მოთოვა კიდევ. მეომრებსა და ცხენებს დიდი სიცივეების გამო ძლიერ გაუჭირდათ და ამის გამო შირვანში წასვლასაც გადარჩნენ. 987 წლის კურთხეული რამაზანის დასაწყისში¹³⁴ ყარსის ციხიდან აიყარნენ და გეზი

არზრუმისკენ აიღეს. რამდენიმე სადგომის შემდეგ არზრუმის ციხეში შევიდნენ. ისლამის ლაშქრიდან ზოგმა აღნიშნულ ვილაიეთში გამოიზამთრა, ზოგს კი ნება დაერთო და თავის მამულში დაბინავდა.

თხრობა აქ შევწყვიტოთ და მივუბრუნდეთ სხვა ამბავს, რომელიც დემურკაფუში მყოფ ოსმან ფაშას ეხება.

იგი თანმხლები ლაშქრითურთ დემურკაფუს ციხეში, სამიოთხი მტრის შუაში გამომწყვდეული, ხან ქუთაჰის იალალზე მოკალათებულ ყიზილბაში ხანებიდან მეჰმედ-ხან წყეულს, ხან ყაითაღელებს, ხან კი კავკასიონის კალთაზე მცხოვრებ ქურეს ტომს ეომებოდა. ისეთი დღე არ იყო, რომ არ გვებრძოლა. რუმის მხრიდან ისლამის ლაშქარი მოვაო, ყოველდღე გზას გავყურებდით და ამ მოლოდინით, სამარხვო ლოცვით და ღვთისმოსაობით ვიყავით დაკავებულნი და იმ მაღალ ღმერთს დიდებას ვწირავდით. დერბენდში გამოვიკეტეთ და ამ უბედურებასა და დარდში გადაიოდა დრო. შემოდგომაც მოახლოვდა და სიცივეებმა დაიჭირა. რუმიდან ლაშქრის მოსვლის იმედი გადაგვეწურა. ასეთი გუნებაწამხდარნი ვცხოვრობდით, რომ, თურმე, ისლამის ფადიშაჰისა და ბრწყინვალე შაჰინშაჰის უდიდებულესობამ თათართა ხან მეჰმედ გირეი სულთანს¹³⁶ უსაზღვრო და უთვალავი წყალობა უბოძა. მისი უავგუსტოესი ფირმანი შემდეგი შინაარსისა იყო: შენ, რომელიც ჩემი ძმა მეჰმედ გირეი სულთანი ხარ, წყალობა მოიღე, ლაშქარი შეჰყარე და ჩერქეზეთის, ყივჩაღთა ველის, საშამხლოსა და ყაითაღის გავლით დემურკაფუში ოსმან ფაშას შეხვდი. [შემდეგ] იქიდანაც აიყარე და შირვანში ჩადი. შირვანსა და ყიზილბაშურ ვილაიეთებს შორის მიმდინარე მდ. მტკვარზე ჩემს ვეზირსა და სარდალს მუსტაფა ფაშას შეხვდი და იქ თადარიგი დაიჭირეთ. ქვეყნის დასამორჩილებლად ისე იმოქმედეთ, როგორც ამას თქვენი წმინდა აზრი გიკარნახებთ. რადგანაც უავგუსტოესი ფირმანი იყო, ამიტომ მეჰმედ გირეი-ხანიც ფადიშაჰის ბრძანებას

არ გადავიდა. თავისი ვილაიეთის ყველა მხარეში ჩავეუშები და მაცნეები გაგზავნა და ლაშქარი შეკრიბა. [შემდეგ] კაფადან აიყარა და გეზი დემურკაფუსკენ აიღო. მეჰმედ გირეი სულთნის უმაღლესობამ ოთხმოცი ათასი მამაცი და რჩეული თათრის სისხლისმსმელებითურთ ყივჩაღთა ველი, ჩერქეზეთი, ყუმუხის, ჰუკუკის, თუმანის, ყაბარდოს ვილაიეთები, საშამხლო გაიარა და ყაითაღის ვილაიეთში შევიდა, მაგრამ მანამდე აზოვის ბეგი მუჰამედ ბეგი, ხუთასი იანიჩარი, ხუთასი თათარი მეომარი და ქვეყნიერების მფარველი ფადიშაჰის მიერ გამოგზავნილი ხაზინა დემურკაფუში მყოფ რაზმთან გაგზავნა. იმათაც, დემურკაფუმდე ერთი-ორი დღის სავალი გზალა რჩებოდათ, როცა რამდენიმე მამაცი თათარი ვაჟკაცი ოსმან ფაშასთან მახარობლად გაგზავნეს. ერთ დღეს ისინი მოულოდნელად დემურკაფუში ილია ნინასწარმეტყველის მსგავსად გამოგვეცხადნენ, ოსმან ფაშას აღმატებულებას ეახლნენ და როცა მათი რუმიდან მოსვლა მთელმა ლაშქარმა გაიგო, [სიხარულისგან] გული შეუღონდათ, თითქოს მკვდრები გამოცოცხლდნენო, ჩამქრალი სული განუახლდათ. ოსმან ფაშასთან შეიკრიბნენ. ფაშას აღმატებულებამ დივანი მოიწვია. რაზმი დივანთან მოგროვდა. ქვეყნიერების მფარველი ფადიშაჰისგან გამოგზავნილი უზენაესი ბრძანება ამოიღეს და იქ მყოფმა რეისულქუთთაბმა¹³⁶ დალ მეჰმედ ჩელები¹³⁷ ხელში აიღო, გახსნა, სახეზე და თვალებზე გადაისვა და მთელი რაზმის ყურადღება მიიპყრო. უზენაესი ბრძანების წმინდა შინაარსი შემდეგს ამცნობდა: ჩემო ვეზირო ოსმან ფაშა, ბედნიერი იყავ, თეთრად დამიბერდი და ჩემი პური შენზე ალალი იყოს. იმაზე მეტი გააკეთე, ვიდრე მოველოდი. შენს ხელებს ძალა შეემატოს და მანდ მყოფი ჩემი ჯარი – სასახლის მცველები, იანიჩრები, თიმარის პატრონები და სხვები, ვინც არ უნდა იყოს, ყველა გაბედნიერდეს, თეთრად დამიბერდეს და ჩემი პური მათზე ალალი იყოს. თქვენმა [საგმირო] საქმეებმა ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. ახლა ვხედავ, რომ თქვენ, თქვენმა სიმამაცემ საქვეყნოდ გამოგაჩინათ. ისლამის სარწმუნოების სადიდებლად და ჩემთვის განეული თქვენი შრომა-დიდება ალაჰს – და გარჯა არ დაიკარგება და ბრძოლაში [კიდევ] რამდენი წყალობა გერგებათო. უზენაესი ბრძანება

ნაიკითხა და მისი შინაარსი ყველასთვის ცნობილი გახდა. ლაშქარმა, რომელსაც ამ უბედურებისა და ტანჯვისგან გუნება ჰქონდა წამხდარი და თვალში შუქი მოჰკლებოდა, გაიგო თუ არა, რომ ხაზინა და მეჰმედ გირეი-ხანი ოთხმოცათასიანი ჯარით მოემართებოდა, გული აუჩუყდა, ბედნიერებისგან ატირდა და ზოგს ყვირილი აღმოხდა. მხიარულების [ნიშნად] კედლებში ჩაყენებული ქვემეხები და თოფები გაისროლეს. იმ დღეს დემურკაფუსი ისეთი გართობა და მხიარულება სუფევდა, რომ ამის აღწერა და გადმოცემა შეუძლებელია. გახარებულები ერთმანეთს მეგობრობასა და სიყვარულს ეფიცებოდნენ. გამოცოცხლდნენ და გულის გამანყალბელი აზრები მოიშორეს. თითქოს მკაცრი ზამთრის სუსხისაგან გაშავებულ მინაზე ბალახი და მცენარეები გამქრალიყო, მათი არსებობა არარაობაში გადასულიყო და როგორც კი მათ ჩრდილოეთის ქარმა მოახლოებული გაზაფხულის სურნელი აგრძნობინა, ყველამ მინიდან ამოყო თავი, მინდვრებმა გაზაფხულის მოსვლით ძლიერ გაიხარეს და იცეკვეს, ხეებსაც თვალთ დაუბნელდათ და გაზაფხულის შესახვედრად თავზე ყვავილების ქუდები დაიხურეს, აცეკვდნენ და ისე ირწეოდნენ, თითქოს ლამაზ მდელიოზე შეყვარებულები ირხევიანო. ისლამის ლაშქარი ამგვარ გართობაში იყო, რომ 987 წლის დიდი შაბანის დასასრულს¹³⁸ მეჰმედ გირეი-ხანი ოთხმოცათასიანი ჯარით მოვიდა და დემურკაფუს ციხეში შევიდა. იმ დღეს ოსმან ფაშას აღმატებულება დემურკაფუსში მყოფ რუმის ლაშქართან ერთად ხანის აღმატებულების შესახვედრად გავიდა. ერთი სადგომით ადრე შეხვდა. ოსმან ფაშამ ხანის აღმატებულების გასამასპინძლებლად სხვადასხვა სიკეთე მოამზადებინა. ხანის აღმატებულება ბედნიერად მოვიდა და დემურკაფუს სიახლოვეს, კასპიის ზღვის სანაპიროზე დაბანაკდა. ის გამზადებული წყალობა და ძვირფასი რამეები შეიჭამა და შეისვა. ხანის აღმატებულება ოსმან ფაშას შეხვდა და ესაუბრა. იმთავითვე შირვანზე გასალაშქრებლად თადარიგი დაიჭირეს. თათრის დანარჩენი ლაშქრისთვის ფაშას აღმატებულებამ უთვალავი ცხვარი მოარეკინა და მაშინვე ბრძანება გასცა, რომ თათარი ცხვრით დანაყრებულიყო. შიმშილობაგამოვლილმა თათრის ჯარმა სამი ათასამდე ცხვარი გაანადგურა.

ისეთი სანახაობა იყო, რომ ამის აღწერა შეუძლებელია. ერთ ცხვარს შვიდი, რვა თათარი ესეოდა. თითოეული მათგანი მგელსავით ერთ კუთხეში მიიყუყებოდა, გაუტყავებლად ჭრიდა და უმად მიირთმევდა. ამდენი ცხვარი ერთ საათში გაანადგურეს. შემდეგ ოსმან ფაშა ხანის აღმატებულებას ესაუბრა. დემურკაფუში ერთი დღეც აღარ გაჩერდნენ და გეზი შირვანისკენ აიღეს, რადგანაც იქ მეჰმედ-ხანად წოდებული წყეული და ყიზილბაშთა ნაწილი იდგა. გადანყვიტეს, თავს მაშინ დასხმოდნენ, როცა უზრუნველად მყოფებს მტრის მოლოდინი არ ექნებოდათ. შესაბამისი თადარიგი დაიჭირეს. მაშინვე აიყარნენ დემურკაფუდან, გეზი შირვანისკენ აიღეს და დაიძვრნენ. მეოთხე დღეს ყასაბა შაბურანში ჩამოსხდნენ და შემახაში მოკალათებულ მეჰმედ-ხან წყეულზე გასალაშქრებლად განწესებული თათართა რაზმის მეთაურად მამაცთა ალა დელი კაიკუ დანიშნეს. აიყარნენ, ერთ-ორ დღეში მიაღწიეს და ის წყეული გასრისეს. დიდი ბრძოლა გაიმართა. მას [მეჰმედ-ხანს - მ. ი.] თავი მოჰკვეთეს და მასთან მყოფი ყიზილბაშების უმეტესობა ხმლით აკუნეს. ნაწილი გაიქცა და სულისა და ხორცის შენარჩუნებას შეეცადა. რუმისა და თათრის ლაშქარი შირვანის ვილაიეთში შევიდა და რამდენიმე სადგომის შემდეგ ქალაქ შემახაში მივიდა, მაგრამ ხსენებული ქალაქის სუნიტები ყიზილბაშებს დაეხოცათ, რაფიზიების ნაწილი თათრის შიშით გაქცეულიყო, ერთი კაციც კი არ დარჩენილიყო, რის გამოც ქალაქს თავისი ბრწყინვალეობა დაეკარგა. ლაშქარი აღნიშნული ქალაქის ახლოს დაბანაკდა. იქ სამი დღე შეჩერდნენ. მეოთხე დღეს იქიდანაც აიყარნენ და არეშისკენ გაემართნენ. რამდენიმე სადგომის შემდეგ ყასაბა არეში მივიდნენ, მაგრამ წყეულ ყიზილბაშს ხსენებული ქალაქი ისე დაენგრია და გადაენვა, რომ ნაგებობა და ძეხორციელი არ დარჩენილიყო. ის ლამაზი არეში გაევერანებინათ. [ისინი] გიოქ მეიდნად წოდებულ ადგილზე დაბანაკდნენ. მანამდე იქ მუსტაფა ფაშას აღმატებულება იყო შეჩერებული. ერთი დღე იქ დაჰყევს. ხანის აღმატებულებამ ოსმან ფაშა მიიწვია და ესაუბრა. მუსტაფა ფაშას მოუსვლელობას ძლიერ სწუხდნენ. იმ უბანში ლაზიებმა ერთი ყიზილბაში დაიჭირეს და მოიყვანეს. ხანის აღმატებულებამ იმ ყიზილბაშს მუსტაფა ფაშას ამბავი რომ

ჰკითხა, იმანაც მიუგო: ძლევამოსილო ხანო, მუსტაფა ფაშამ დან-გრეული ყარსი აღადგინა და წმინდა რამაზანის დასაწყისში გაბრუნდა, რუმისკენ გაემართა, ახლა არზრუმშიაო. ასეთი ზუსტი ცნობის მიწოდების შემდეგ ხანის აღმატიებულება ძლიერ შეწუხდა, მუსტაფა ფაშასთან შეხვედრის იმედი გადაეწურა. [მან] ზოგიერთი პატივსაცემი მირზა, მამობილივით მეგობარი და ოსმან ფაშა მიიწვია და გადანიყვიტა, რომ არეშის წინ მიმდინარე მდ. მტკვარზე ქოიუნ გეჩიდად სახელდებულ გადასასვლელს გადალახავდა და განჯის, ყარაბაღის, ჰოლუს,¹³⁹ არაზბარის,¹⁴⁰ დიზაკისა¹⁴¹ და რანდას¹⁴² ვილაიეთებს თავს დაესხმოდა. პირშავი ყიზილბაშების მხარესა და ვილაიეთებს დაარბევდა, გაძარცვავდა, მოსახლეობას დაატყვევებდა, [შემდეგ კი] კვლავ მობრუნდებოდა და კაფასკენ გაემართებოდა. ამ გადანიყვიტილებით ყასაბა არეშიდან აიყარა და მდ. მტკვარზე ხსენებულ ფონზე გადავიდა. მეორე დღეს ყასაბა ბარდას¹⁴³ მიადგა. ლაშქარი მის გარშემო დაბანაკდა. აღნიშნული დაბის მოსახლეობა გაძარცვა და დაარბია, სურსათი და ქონება მიისაკუთრა და სახლები გადაბუგა. რამდენიმე დღე იქ გაჩერდა. თათრის ლაშქარი იმ არემარეში ბოლუქებად იქნა გაგზავნილი. თათრის სისხლისმსმელები წყეულ ყიზილბაშურ მოსახლეობას იისფერი კალიასავით შეესივნენ. რამდენიმე დღის განმავლობაში თათრის ერთმა რაზმმა საქართველოს ვილაიეთებში ქალაქი ზაგემი, მეორემ კი არდებილის¹⁴⁴ სიახლოვეს მდებარე ყიზილბაშური ქვეყნები – დიზაკი, რანდა, არაზბარი და ჰოლუ დაარბია და გაძარცვა, ურჯულოები ხმლით აკუნა, სახლები და ნათესები ცეცხლს მისცა, ადამიანებს, ცხენებს, აქლემებს, ხარებსა და ცხვრებს ყოველი მხრიდან ჯგროდ მოერეკებოდნენ. მეომრები ისე გამდიდრდნენ, რომ ძვირფას ცხენებს ორმოცდაათ ოქროდ და მაიას აქლემებს¹⁴⁵ თითო, ორ-ორ ოქროდ ყიდდნენ, ხარსა და ცხვარს კი არაფერს უყურებდა. ყიზილბაშს არ დარჩესო ყელს ლადრავდნენ, ტოვებდნენ და მიდიოდნენ. იმ ყიზილბაშებისა და ქალაქ განჯის სპარსი ლამაზმანები და თვალწარმტაცია ახალგაზრდები თათრის ლაშქარმა ცხვრისა და ხარის მსგავსად გაიგდო წინ და ბანაკში მოიყვანა გასაყიდად, მაგრამ არაფერს ყიდულობდა, რადგანაც ყველა გამდიდრებულიყო. გასათხოვარ ქალებსა და

ყმანვილ ბიჭებს სამ-სამ, ოთხ-ოთხ ოქროდ იძლეოდნენ, მაგრამ ყიდვის მსურველი არავინ იყო. ხანის აღმატებულებამ წყეულ ყიზილბაშს ასეთი სილა გაანწა და თავისი ძმის ადილ გირეი-ხანის გამო შური იძია. შემდეგ კაფასკენ აიღო გეზი. იმ ბრძოლებში ყასაბა განჯაზე თავდასხმის დროს [მე], მწირი, დამწერი ამისა, უბედური ყიზილბაშის უწმინდურ ხელში ჩავევარდი, იქ მყოფთაგან უამრავი [კი] დაიღუპა, დაიჭრა და დასახინჩრდა. შვიდი, რვა თვე ირანისა და ყიზილბაშის ქვეყანაში ტყვედ ვიყავი. შემდეგ უწმინდესმა და უზენაესმა ღმერთმა გადმომხედა, სამოსი გამოვიცვალე და სამ თანამოსაქმესთან ერთად დიდი გაჭირვებით რუმის მხარეში დავბრუნდი – დიდება ალაჰს, ისლამის სარწმუნოების ვილაიეთს [კვლავ] შევხვდი. ქვეყნიერების მფარველი ფადიშაჰის ქვეყნის გაფართოებით ვიყავით დაკავებული. მეჰმედ გირეის აღმატებულებამ თათრის ლაშქართან ერთად შირვანის ვილაიეთი დატოვა, დემურკაფუში მოვიდა და თათართა ლაშქრის ერთი ნაწილი ოსმან ფაშას ჩააბარა, თავად კი კაფასკენ ბედნიერად გაემართა. ხანის აღმატებულების წასვლის შემდეგ ოსმან ფაშა კვლავ დემურკაფუს ციხეში მივიდა და დაბინავდა. ხსენებული ვილაიეთის დასაცავად ზრუნვა და გარჯა არ დაიშურა. იგი ქვეყნიერების მფარველი ფადიშაჰის უდიდებულესობის ქვეყნის გაფართოებით იყო დაკავებული და მის მიერ ხსენებულ ციხეში განუული სამსახური ქვეყანას წამლად დაედო.

თხრობა აქ შევწყვიტოთ და მივუბრუნდეთ სხვა ამბავს, რომელიც არზრუმში მყოფ სარდალ მუსტაფა ფაშას ეხება.

ამ კურთხეულ წელს ყარსის ნანგრევები აღადგინა და 987 წლის კურთხეული რამაზანის თვეში¹⁴ არზრუმის ციხეს მიანია. მეომრების ნაწილმა ხსენებულ ციხეში გამოიზამთრა, ნაწილს კი ნება დაერთო და თავის მამულში დაბინავდა. მთავარსარდალ მუსტაფა ფაშას აღმატებულება გამოსაზამთრებლად არზრუმის ციხეში იყო დაბინავებული, როცა ქვეყნიერების მფარველი ფადიშაჰისგან ბრძანება მიიღო, ბედნიერების

ზღურბლში¹⁴⁷ იხმობდა. სარდლის აღმატებულებამაც უზენაესი ფირმანის თანახმად, სტამბოლში წასვლა გადაწყვიტა და საზღვრების დასაცავად არზრუმში სარდლად ვანის [ბეგლარბეგი] ხოსრო ფაშა დატოვა. სასახლის მცველი რაზმიდან სიფაჰიების მეთაური, იანიჩართა ქეთხუდა და მეომართა ერთი ნაწილიც დატოვა. თვითონ 988 წლის მუჰარემის თვეში¹⁴⁸ არზრუმის ციხიდან ბედნიერად აიყარა და სტამბოლისკენ გაემართა. რამდენიმე დღის შემდეგ მისი აღმატებულება სტამბოლში შევიდა და დაბინავდა. იმ დროისათვის დიდვეზირი მეჰმედ ფაშა¹⁴⁹ გარდაცვლილი იყო. დიდვეზირად აჰმედ ფაშა დაესვათ, მაგრამ მასაც ღვთის ნებით აღსასრული დასდგომოდა, დიდვეზირი მუსტაფა ფაშა გახდა. ასე გავიდა რამდენიმე ხანი. ზამთარი მიიღია, გაზაფხული დადგა და კვლავ ქვეყნიერების მფარველი ფადიშაჰის უდიდებულესობამ აღმოსავლეთის მხარეში უზენაესი ლაშქრობის შესახებ ბრძანება გასცა. მესამე ვეზირ სინან ფაშას¹⁵⁰ აღმატებულება – ხანგრძლივკოს ალაჰმა მისი სიცოცხლე – შეარჩია და აღმოსავლეთის ლაშქრობისათვის განწესებულ ლაშქარს უსარდლა. გადაწყდა თუ არა მისი წასვლა, სინან ფაშას აღმატებულებამაც შვიდი ქვეყნის ფადიშაჰის უზენაესი ბრძანების თანახმად, გამარჯვების შარავანდედით მოხილი ლაშქრობისათვის საჭირო თადარიგი დაიჭირა, 988 წლის რები ულ-ეველის¹⁵¹ თვეში უსქუდარში გადავიდა. ლაშქარმა მასთან მოიყარა თავი. შემდეგ უსქუდარიდანაც ბედნიერად აიყარა და პირი არზრუმისა და ირანისკენ ქნა. უსქუდარიდან გამგზავრების დღეს სარდალ სინან ფაშას აღმატებულების გასაცილებლად მთელი ლაშქარი გამოვიდა. ისლამის ლაშქარი სარდლის აღმატებულების წინ და უკან რაზმებად და მწკრივებად დაეწყო და ნელ-ნელა დაიძრა. რამდენიმე დღის შემდეგ სივასად სახელდებულ ქალაქში შევიდნენ, რომლის ბეგლარბეგი იმ დროისათვის სინან ფაშას აღმატებულების ძმა მაჰმუდ ფაშა იყო. იგი მთავარსარდლის შესახვედრად გამოვიდა, ისლამის ლაშქარს წინ შეეგება და სივასის მახლობლად მდებარე მინდორზე დააბანაკა. ოთხი დღე იქ შეჩერდნენ, [შემდეგ] ქალაქ სივასიდან აიყარნენ და არზრუმისკენ გაემართნენ. რამდენიმე დღის შემდეგ, 988 წლის ჯუმად აღ-ეველის¹⁵²

თვეში, არზრუმის ციხეში შევიდნენ და არზრუმის წინ მდებარე მდელოზე დაბანაკდნენ. შემდეგ გამარჯვების შარავანდედით მოსილი ლაშქრობისთვის განწესებულმა ლაშქარმა ყოველი მხრიდან და ყველა ვილაიეთიდან ჯგუფებად და რაზმებად მოსვლა და თავმოყრა დაიწყო. არზრუმის ციხის მდელი კვლავ ისლამის ლაშქრით მოირთო და სხვადასხვა ფერის კარვებითა და ნაირფრად მოხატული საჩრდილობლებით აივსო. ყოველდღე მამაცები [და] გულადები მოედნის შუაგულში შედიოდნენ, სხვადასხვა თამაშობებით მეომრის ხელოვნებას [აჩვენებდნენ] და თან იარაღს ხმარობდნენ. დიდებული სარდლის აღმატებულებამ არზრუმის ციხეში ამგვარი ყოფით ოცი დღე დაჰყო, ლაშქარმაც მთლიანად აქ მოიყარა თავი. შემდეგ, 988 წლის ჯუმად აღ-ახირის თვეში,¹⁵³ არზრუმის ციხიდან აიყარა და გაემართა. ჰასანკალეში მივიდა. ხუთი დღე ხსენებულ ციხეში გაჩერდა, იქიდანაც აიყარა, ჩობანის ხიდზე¹⁵⁴ გაიარა, ყარსის ციხეში შევიდა და მთელი ლაშქარი ხსენებული ციხის ირგვლივ დაბანაკდა. რამდენიმე დღე იქაც გაჩერდა. მთელმა ლაშქარმა იქ მოიყარა თავი. იმოდენა ჯარი შეგროვდა, რომ ამის გადმოცემა შეუძლებელია. სარდლის აღმატებულების წმინდა სურვილი ის იყო, რომ ამ კურთხეულ წელს თბილისის ციხეს სურსათ-სანოვაგეს მიანვდიდა. [სურდა ასევე], რომ წყეულ ყიზილბაშს მისთვის სასურველი ვილაიეთები და მშვენიერი შირვანი თავისი ნებით გადაეცა და თუ ელჩები სასურველი ზავის პირობებით [არ მივიდოდნენ] და იმ ვილაიეთებს არ მისცემდნენ, რომლებიც მას უნდოდა, [მაშინ] თბილისის სურსათ-სანოვაგით მომარაგების შემდეგ ერევანზე გაილაშქრებდა, თავრიზამდე მივიდოდა და ყიზილბაშთა ქვეყნებსა და ვილაიეთებს დააქცევდა. ამ განზრახვით ყარსის ციხიდან აიყარა და თბილისისკენ გაემართა. რამდენიმე სადგომის შემდეგ გურჯიბოლაზში¹⁵⁵ შევიდა, მაგრამ იმ დღეებში ისე ძლიერ წვიმდა და ის ციცაბო ქართული ვილაიეთები ისეთი ატალახებული იყო, რომ ადამიანი ტლაპოდან ველარ ამოდიოდა. დიდი გაჭირვება გადაიტანეს. ლაშქრის ზურგში [მდგომნი] დაიშალნენ და დაიფანტნენ. ბევრი ინვალეს. იმ გადასასვლელთან ფაშას აღმატებულება ცხრა დღე გაჩერდა. ლაშქარმაც [აქ] მოიყარა თავი. [ფაშა]

იქიდანაც აიყარა, გაემგზავრა და რამდენიმე სადგომის შემდეგ თბილისის ციხეში შევიდა. ლაშქარი ხსენებული ციხის ირგვლივ დაბანაკდა. რუმიდან ჩამოტანილი სურსათი თბილისის ციხეს გადასცა. ხსენებული ციხე ხორაგით გაივსო. სარდლის აღმატებულება თბილისში ათი დღე გაჩერდა, ციხე საჭირო რამეებით მოამარაგა, თვითონ კი ბედნიერად გაემგზავრა ყარსის ციხისკენ. შემდეგ, 988 წლის დიდი შაბანის დასაწყისში,¹⁵⁶ ყარსის ციხეში შევიდა. ისლამის ლაშქარი ხსენებული ციხის ირგვლივ დაბანაკდა. ასე გავიდა რამდენიმე დღე. მთავარსარდლის აღმატებულებამ მთელ ჯარს მიმართა: მოემზადეთ, ორმოცი დღის [სამყოფი] სურსათი მოიმარაგეთ, ერევანზე გავლით ქალაქ თავრიზში წასვლა გადაწყვეტილიაო. რუმის ლაშქარმაც მაშინვე მოიმზადა სამყოფი რაოდენობის სანოვაგე. თავი მოინერვივეს, ცხენებს მიხედეს და იარაღი ააპრიალეს. ყველა მზად იყო. უკვე გამგზავრებას აპირებდნენ, რომ წყეულ ყიზილბაშს რუმის ლაშქრის თადარიგი და სამზადისი შეეტყო, [ისიც გაეგო], რომ თავრიზზე გალაშქრება ჰქონდა გადაწყვეტილი, ამას კი ისინი მეტად შეშფოთებინა. გამოცდილი ხანები ერთ ადგილზე შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს: რუმის ლაშქარს სასურველ ვილაიეთებს თუ არ მივცემთ, სიჯიუტეს გამოვიჩინთ და წინააღმდეგობას გავუწევთ, [მაშინ] ამოდენა ჯარი ჩვენზე გამოილაშქრებს, წინააღმდეგობის გასაწევად [კი] ძალ-ღონე არ შეგვწევს, ჩვენს ვილაიეთებს დაანგრევს და გადაწვავს, მით უფრო, რომ ახლა მათი სარდალი სინან ფაშაა. იმდენად ჭკვიანი და მცოდნე ვინმეა, რომ იემენისა¹⁵⁷ და ხალკ ულ-ვადის დიდი ციხე და კუნძული დაიპყრო. ამდენი საქმე გააკეთა, მეტად ბრძენი ვინმეა. შესაძლოა ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქროს, [მაშინ] ჩვენს ვილაიეთებს ააოხრებს და მოსახლეობას დაატყვევებს. მოდით, ახლა, ამათ შუამავალი კაცი გავუგზავნოთ და სასურველი ვილაიეთები დავუთმოთ. ამ გზით ასეთ დიდ ლაშქარს უკუვაგდებთ და შემდეგ ისე ვიმოქმედებთ, როგორც შესაძლებელი იქნება. წყეულებმა თადარიგი დაიჭირეს და როცა ყარსის ციხეში მყოფი მთავარსარდალ სინან ფაშას აღმატებულება თავრიზზე გალაშქრებას აპირებდა, [იმ დროს] რამდენიმე ყიზილბაში შუამავლად მოვიდა. სარდლის აღმატებულე-

ბას ეახლნენ და თავიანთი ელჩად მოსვლა აუწყეს. შაჰის ნებართვით რამდენიმე ჩვენი სახელოვანი ხანი მზად არის, რომ საჩუქრებით გეახლონ და პატივი მოგაგონ. მათ ქვეყნიერების მფარველი ფადიშაჰის უდიდებულესობასთან ჩვენი მდგომარეობის გადმოცემის პატიოსანი სურვილი [აქეთ], შედეგად რაც მოსახდენია, მოხდეს – უთხრეს და მთავარსარდლის აღმატებულე-ბაც წყეულთა მორჩილების პირობას ენდო და თავრიზში წასვლაზე ხელი აიღო. უბედური ყიზილბაში ელჩები [ჯერ კიდევ] იქ იყვნენ, როცა მთავარსარდლის აღმატებულებამ მთელ ლაშქარს უბრძანა, რომ უკეთური ურჯულოებისთვის თავიანთი მამაცობა და ვაჟკაცობა ეჩვენებინათ. ბეგლარბეგები, სანჯაყბეგები, ბოლუქის ალები და საერთოდ მთელი ლაშქარი ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ტანსაცმლით სათანადოდ შეიმოსა, ცხენებიც აღკაზმა. [შემდეგ] ყველანი ცხენებს ზურგზე მოექცნენ და მნკრივებად და რაზმებად [დანყობილნი] ისე დადგნენ, რომ მნახველს გონება ებინდებოდა. იანიჩრებიც მოირთვნენ. თავზე დიდებული, თვლებით შემკული ქუდები, ჯიღები და არნივისფრთიანი თავსაბურავები დაიხურეს, თოფები მხარზე გადაიდეს, ფითილებს შეუნთეს, ოთხასი ცალი საქვემეხე ურიკა და ზარბაზანი მოამზადეს და კარგად შეინახეს. მთავარსარდალ სინან ფაშას აღმატებულებამ ისლამის ლაშქრის წინ მეომრები საბრძოლო ნესრიგით მნკრივებად და რიგებად დაანყო, აქა-იქ ოთხას ზარბაზანს ცეცხლი შეუნთეს და ოთხმა-ხუთმა ათასმა იანიჩარმა თოფები დაცალა. ისეთი ხმაურიანი სანახაობა გაიმართა და იმდენი ხალხი მოგროვდა, რომ ამის აღწერა და გადმოცემა შეუძლებელია. ასეთი მორთულობისა და საბრძოლო წყობის ჩვენება იმისთვის [მოაწყვეს], რომ პირშავი ყიზილბაშებისთვის ისლამის ლაშქრის ძლიერება და გამირობა ეჩვენებინათ და როცა ისინი [ამას] დანარჩენ გზააღდენილ ურჯულოებს გააგებინებდნენ, ყოველ მათგანს შიში დაეუფლებოდა. მთავარსარდლის აღმატებულე-ბა ყარსის ციხეში ზუსტად ერთი თვე შეყოვნდა. [შემდეგ] იქიდანაც აიყარა და გეზი არზრუმის ციხისკენ აიღო. რამდენიმე სადგომის შემდეგ ჰასანკალეში შევიდა. ოცი დღე იქ დაჰყო და წმინდა მუბარეჟის დღესასწაული იქვე გადაიხადა. 988 წლის შევალის თვის დასაწყისში¹⁵⁸ არზრუმის ციხეში მივიდა. ისლამის

ლაშქრიდან ზოგმა ხსენებულ ციხეში გამოიზამთრა, ზოგს კი ნება დაერთო და თავის მამულში დაბინავდა. სარდლის აღმატებულება არზრუმის ვილაიეთის დასაცავად დიდ მცდელობაში იყო, რომ [იმ დროს] მაღალ პორტაში დიდვეზირ მუსტაფა ფაშას აღმატებულება გარდაიცვალა, რის გამოც ქვეყნიერების მფარველი ფადიშაჰის და დიდებული შაჰინშაჰის უდიდებულესობამ სარდალ სინან ფაშას აღმატებულების ბედნიერების ზღურბლში მისვლა მოისურვა. იგიც, ფადიშაჰის ბრძანება გაიგო თუ არა, მაშინვე აიყარა არზრუმის ციხიდან და სტამბოლისკენ გაემართა. რამდენიმე დღის შემდეგ დიდებული სარდლის აღმატებულება ღვთით დაცულ სტამბოლში შევიდა და დიდვეზირი გახდა. უნმინდესმა და უზენაესმა ღმერთმა აკურთხოს იგი, მისი სასარგებლო ცოდნა და შრომა სამართლიანი იყოს, ამინ!

ბაიტი

აქამდე მომხდარი ამბები გადმოგეცით,
ნაკლს რომ საზღვარი არა აქვს, ეს დღეზე უფრო ნათელია,
როცა ერთად მოვუყარე თავი, პატიოსანმა მეგობრებმა
ნაიკითხეს და იმედია, რომ სიამოვნებას მიიღებდნენ,
უზენაესი ღმერთი წყალობით აგვაგებს და თუ
მტერზე გავიმარჯვებთ, ჩვენი ფადიშაჰი განდიდება,
ის თავისი ცოდნით კი ღვთის აჩრდილია და ამავე დროს
ქვეყნის მართვის საქმეში
ინდოეთის ოკეანესავით გულუხვია,
ძლიერი ხელით თუ გაიმარჯვებს, გზააბნეულთა
ძალმომრეობას ბოლოს მოუღებს,
მცოდნე მმართველია. მისი ბრძანება ყურანის შესაბამისია.
ყველა მისი საქმე
ბეჩავისთვისაა [გამიზნული] და მათ წყალობას არ აკლებს,
თავისი გამგებლობის დროს მთელი ქვეყანა ააყვავა
და სამართლიანობა დაამკვიდრა. რამდენი ნანგრევი
ალადგინა,
სამართლიანობითა და მოწყალებით გამორჩეულია.
ამ რისაღეს ნაკლი უსაზღვროა.

აქამდე მომხდარი ამბები რაც ვიცოდით, შეძლებისდაგვარად
გადმოგეცით. იმედი მაქვს, რომ უნმინდესი და უზენაესი ღმერ-
თი ჩვენს ბედნიერ ფადიშაჰს ძალასა და გამარჯვებას გაუმრავ-
ლებს, წყეულ ურჯულოებს უსიამოვნებებს მიაყენებს, მეამბოხე
ვილაიეთებს დააპყრობინებს და წმინდა ისლამით მორთავს და
მოკაზმავს, ამინი ჭეშმარიტად .ეს სურვილები აუსრულდეს!

წიგნის დასასრული.

ალაჰის შენევნით მე, მწირმა ავტორმა აბუბექრ აბდულაჰის
ძემ, მარცხენა ულუფეჯიების ჯემაათის წევრმა, ქალაქ კონ-
სტანტინოპოლში 990 წლის გამარჯვებული საფარის თვის შუა
რიცხვებში¹⁵⁹ დილით დავასრულე.

შენიშვნები

- ¹ ორმოცი წიგნი – ორმოცი ჰადისი უნდა იგულისხმებოდეს.
- ² ოთხი თანამებრძოლი – პირველი ოთხი მართლმორწმუნე ხალიფა: აბუბექრი (632-634), ომარი (634-644), ოსმანი (644-656) და ალი (656-661).
- ³ შირვანი – ჩრდილო აზერბაიჯანი.
- ⁴ დემურკაფუ – ახლანდელი ქ. დერბენდი.
- ⁵ ოსმან ფაშა – (მეტსახელად: გონული-მამაცი) წარმოშობით ჩერქეზია. დაიბადა ეგვიპტეში 1527 წ. თოთხმეტი წლის ასაკში ყულარ ალასიდ დანიშნეს. 1545 წ. სანჯაყბეგი გახდა, 1560 წ. კი ეგვიპტის ჰაჯიების ემრობა ეწყალობა. 1562 წ. მამამისის გარდაცვალების შემდეგ მის ნაცვლად აბისინიის ბეგლარბეგად დანიშნა. იქ ხუთი წელი დაჰყო. 1567 წ. კვლავ ეგვიპტეში დაბრუნდა, მაგრამ ცოტა ხანში იძულებული გახდა იემენში გამგზავრებულიყო, რადგანაც იქ დაწყებული აჯანყების ჩახშობა დაავალეს. იყო სანასა და იემენის ვილაიეთების ბეგლარბეგი, მაგრამ 1568 წლის ზაფხულში სარდალ კოჯა სინან ფაშასთან უთანხმოების გამო იქაურობა მიატოვა და ჰაჯში გაემგზავრა. 1570 წ. სტამბოლში ჩავიდა. იქ სასახლის მთავარი მეკარისა და უმცროსი მირახორის თანამდებობაზე მუშაობდა. ერთი წლის შემდეგ ლაჰსას, მომდევნო წელს ბასრას, 1573 წ. კი დიარბექირის ბეგლარბეგი გახდა. ამ მოვალეობისგან 1577 წ. გაათავისუფლეს. ზამთარი იქვე გაატარა, ხოლო 1578 წ. მარტის თვეში კი არმიაში გაიწვიეს, რადგანაც ირანთან ომის დაწყება გადანყევტილი იყო. ამავე წლის შემოდგომაზე შირვანში დარჩენილი ლაშქრის მთავარსარდალად დანიშნეს. 1584 წ. 28 ივლისს დიდვეზირი გახდა, მაგრამ ამ თანამდებობაზე დიდხანს ყოფნა არ დასცალდა. 1585 წ. თავრიზის ალების შემდეგ, 30 ოქტომბერს ანგინით გარდაიცვალა. იხ. محمد ثريا سجل عثمانى ياخود. იხ.

تذكرة مشاهير عثمانیه III, გვ. 416; İ. A. Gövsa, Resimli Yeni Luğat ve Ansiklopedi, ტ. 4, გვ. 2111; M. Kemal Özergin, Özdemir – Oğlu Osman Paşanın Şirvan seferi ile ilgili üç manzûme. – Tarih Enstitüsü Dergisi, sayı: 2, İstanbul, 1971, გვ. 255-288.

- ⁶ რისალე – არაბ. < رساله – ტრაქტატი, თხზულება.
- ⁷ სულთანი მურადი – ოსმალეთის სულთანი მურად III (1574-1595).
- ⁸ ღაზავათ-ნამე – არაბ. სპარსული < غزوات نامے – გამარჯვებათა წიგნი.
- ⁹ მუსტაფა ფაშა – (მეტსახელად: ლალა – გამზრდელი, იშვიათად კარა-შავი) წარმოშობით ბოსნიელია, სოკოლოვების გვარიდან. იგი დელი ხოსრო ფაშას ძმა იყო, რის გამოც სასახლეში მოხვდა. ექვსი წლის მანძილზე სულთან სულეიმან კანუნის (1520-1566) დალაქი იყო. გახდა უმცროსი მირახორი და ჩაშნაგირბაში, შემდეგ კი უფლისწულ სელიმის (1566-1574) გამზრდელად დანიშნეს. სასახლიდან სანჯაყბეგის ტიტულით გამოვიდა. სხვადასხვა დროს იყო ტიმოშვარის, ვანის, არზრუმის, ალემოს, სირიის ბეგლარბეგი. გახდა მეექვსე ვეზირი. ამის შემდეგ დაიპყრო კვიპროსი, რის გამოც „კვიპროსის დამპყრობელს“ უწოდებდნენ. ხელმძღვანელობდა ასევე ირანთან წარმოებულ ბრძოლებს. მიიღო მეორე ვეზირის ტიტული. ცოლად ჰყავდა ეგვიპტის მმართველის კანსაგორინის ქალიშვილი, რომლისგანაც ჰყავდა ვაჟი, სახელად მეჰმედი. ლალა ფაშა გარდაიცვალა 1580 წლის ივლისის თვეში. დაკრძალულია სტამბოლში, ეიუბის მეჩეთის ეზოში. იხ. محمد ثري ტ. 4, გვ. 377; Gövsa, ტ. 3, გვ. 1565.
- ¹⁰ სერასქერი – მთავარსარდალი.
- ¹¹ 986 წ. მუჰარემის დასაწყისი – 1578 წ. მარტის მეორე დეკადის დასაწყისი.
- ¹² უსქუდარი – სტამბოლის აზიურ ნაწილში მდებარეობს.
- ¹³ სიფაჰი – მხედარი, ცხენოსანი. ოსმალეთში მინების უმეტესი ნაწილი სახელმწიფო მინების ფონდში შედიოდა. ამ მინებიდან გაიცემოდა სამხედრო საკარგავები – თიმარები და ზეამეთები, რომლებიც ფეოდალებს სამხედრო სამსახურისთვის ეძლეო-

დათ. თიმარებისა და ზეამეთების მფლობელები შეადგენდნენ ფეოდალურ ლაშქარს – სიფაჰიებს. თიმარის მფლობელს შემოსავლის ყოველ სამი ათას ახჩაზე, ზეამეთის მფლობელს კი ყოველ ხუთი ათას ახჩაზე ერთი შეიარაღებული მხედარი გამოჰყავდა. იყო მეორე სახის სიფაჰიც – ხელფასიანი, ანუ სასახლის ცხენოსანი არმიის წევრი. იხ. გ. ფუთურიძე, ოსმალური ფეოდალური მინისმფლობელობა. – ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 251, 252; თურქული წყაროები მე-16 ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ, თბ., 1983, გვ. 64.

- ¹⁴ მარცხენა ულუფეჯიები – სასახლის მცველი მხედრიონის მესამე და მეოთხე ბოლუქი, რომელთაც შესაბამისად მარჯვენა და მარცხენა ულუფეჯიები, ორივეს ერთად კი „შუა ბოლუქი“ ეწოდებოდა. ისინი ფადიშაჰის მარჯვენა მხარეს მიმავალი სიფაჰიების და მარცხენა მხარეს მიმავალი მეთოფეთა გვერდით, ბანაკში და ბრძოლაში ყოფნისას კი ფადიშაჰის დროშის მარჯვენა და მარცხენა მხარეს იდგნენ, სწორედ ამის გამო ეწოდათ ეს სახელი. მარჯვენა ულუფეჯიები ასოც, მარცხენა ულუფეჯიები კი ას რაზმად იყოფოდა. ულუფეჯიებს ევალებოდათ ხაზინის დაცვა. მათი იარაღი ხმალი და შუბი იყო. ისინი ჯამაგირს სახელმწიფო ხაზინიდან იღებდნენ. მარცხენა ულუფეჯიები სულთნის დროშას იცავდნენ და დიდვეზირის ამაღლებაში ირიცხებოდნენ. ერთი ხანობა ესენი სტამბოლში იმყოფებოდნენ, შემდეგ კი გამოკვების შემსუბუქების მიზნით მათ სტამბოლის, ედირნეს და ბურსის შემოგარენში მდებარე დაბებსა და სოფლებში ანაწილებდნენ. სტამბოლში მყოფებს, იმათ, ვინც დაოჯახებულნი იყვნენ, თავიანთ სახლებში უშვებდნენ, სხვებს კი ქარავანსარაიში და უფრო მეტად ტყვიით მოპირკეთებულ სახლში აბინავებდნენ. იანიჩართა კორპუსის გაუქმების შემდეგ ულუფეჯიების ბოლუქებიც გაუქმდა. იხ. İ. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devleti Teşkilâtından Kapıkulu Ocakları, 2, 1944, გვ. 137, 146, 151; M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü, İstanbul, ტ. 3, 1954, გვ. 549, 550.

- ¹⁵ იანიჩარი – თურქული სიტყვაა და ახალ ჯარს ნიშნავს. ეს იყო რეგულარული არმია, რომელიც დააარსა სულთანმა ორხანმა 1330 წელს, ხოლო სულთანმა მაჰმუდმა კი 1826 წელს გააუქმა.
- ¹⁶ რუმელიელი – ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერიას რუმის იმპერიასაც უწოდებდნენ, ხოლო რამდენადაც შემდგომში ეს ტერიტორია ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა, მის ევროპულ ნაწილს რუმი შეერქვა, რუმელიელი კი ამ ნაწილის მცხოვრებს ნიშნავს.
- ¹⁷ მალთეფე – უბანი სტამბოლის აზიურ ნაწილში – უსქუდარში.
- ¹⁸ იზმითი – ქალაქი მარმარილოს ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.
- ¹⁹ იზნიქი – ქალაქი იზნიქის ტბის (მარმარილოს ზღვის აღმოსავლეთით მდებარეობს) აღმოსავლეთ სანაპიროზე.
- ²⁰ იენიშეჰირი – იზნიქის სამხრეთით მდებარე ქალაქი.
- ²¹ სომხითის გადასასვლელი – (ارمنی جریندی) ამ ტოპონიმის დაქებნა ვერ მოხერხდა. იბრაჰიმ ფეჩევის ზ. ბუნიატოვისეულ თარგმანში ნათქვამია, რომ სარდალმა გაიარა უსქუდარი, გადალახა გადასასვლელი და არზრუმს მიაღწია. შესაძლებელია ერთ-ერთ ამ გადასასვლელთაგანს სომხითის გადასასვლელი ეწოდებოდა. იხ. Ибрахим Эфенди Печеви, История (Извлечения по истории Азербайджана и сопредельных стран и областей периода 1520-1640 гг.), перевод с турецкого языка и примечания академика АН Азербайджанской ССР З. М. Бунятова, Баку, 1988, გვ. 31.
- ²² ბოზიუქის გზა – ბოზიუქი ბილევჯიქის ვილაიეთს (იზნიქის სამხრეთით მდებარეობს) დაქვემდებარებული ოლქისა და მისი ცენტრალური ქალაქის სახელია. ბილევჯიქსა და ესქიშეჰირს შორის რკინიგზის ზედა მხარეს მდებარე დაბამ ეს სახელწოდება იმ რუხი ფერის ბორცვის გამო მიიღო, რომელზედაც მდებარეობს. იხ. Gövsə, ტ. 1, გვ. 311.
- ²³ სანჯაყი სულთან ონუ – სანჯაყი დასავლეთ ანატოლიაში. მე-16 საუკუნეში მის შემადგენლობაში შემდეგი ნაჰიეები შე-

დიოდა: Karaca-şehir, İn-önü, Bilecik, Seyid Gazi, Gün-yüzü, იხ. Prof. Dr. Tuncer Baykara, Anadolunun Tarihi Coğrafyasına Giriş (Anadolunun İdarî Taksimâtı), Türk Kültürünü Araştırma Enstitüsü, Ankara, 1988, Yayınları: 86, Seri: - VII - Sayı: A, Z, გვ. 186.

24 ფოლადინი – ქალაქი დასავლეთ ანატოლიაში.

25 აქშეჰირი – ქალაქი დასავლეთ ანატოლიაში.

26 ილგინი – ქალაქი სამხრეთ ანატოლიაში.

27 ჩიფთლიქი – მინის ნაკვეთი, რომელიც ოთხი სახისა იყო: 1. გლეხის მინის ნაკვეთი, რომლის ზომა დამოკიდებული იყო თვითონ მინაზე. საუკეთესო ხარისხის მინის ზონაში ჩიფთლიქი 60, 70-80, საშუალო ხარისხისაში 100 და ცუდი ხარისხისაში 120, 135-150 დონუმისგან შედგებოდა. ეს ნაკვეთები გლეხებს სახელმწიფო მიწებიდან ეძლეოდათ. გლეხს, რომელიც მინას არ დაამუშავებდა, წაართმევდნენ და სხვას მისცემდნენ. გადასახადი ყოველ ათ დონუმზე ერთ ახჩას შეადგენდა, 2. სახასო ჩიფთლიქები-თიმარში მინის ნაკვეთი, რომელიც ფეოდალის კერძო განკარგულებაში იმყოფებოდა, მას „ხმლის ადგილს“ უწოდებდნენ. სიფაჰი ამ მინას დასამუშავებლად გლეხებს ურიგებდა. იღებდა ქირას – შემოსავლის 1/3 ან 1/4 ნაწილს, 3. ჯარისკაცების ჩიფთლიქები, რომლებიც ყოველგვარი გადასახადებისგან თავისუფლები იყვნენ. ჯარისკაცები მორიგეობით დადიოდნენ ლაშქრობებში და ასევე მორიგეობით ამუშავებდნენ ამ ნაკვეთებს, 4. ფეოდალისთვის სამემკვიდრეოდ ბოძებული მამული. აქ ეს უკანასკნელი უნდა იგულისხმებოდეს. იხ. M. Pakalın, ტ. 1, გვ. 364-369; A. C. Тверитинова, Аграрный строй Османской империи 15-17 вв. 1963, გვ. 219-220.

28 ქერუბინის სასახლე – ქერუბი ღმერთთან დაახლოებული ოთხი ანგელოზიდან ერთ-ერთის – ცეცხლოვანი ანგელოზის სახელია. ილგინში ალბათ მისი სახელობის სასახლე იყო.

29 კონია – ქალაქი სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიაში.

30 მევლანა ხუდავენდიგარი – იგივე ჯელალ ედ-დინ რუმი, რომლის აკლდამა ქ. კონიაშია. მუსტაფა აღის ცნობითაც კონიაში ლალა ფაშამ მისი აკლდამა მოინახულა. იხ. نصرتنام, გვ. 313.

- 31 კაისერი – ქალაქი ცენტრალურ ანატოლიაში, კაისერის ოლქის ცენტრი.
- 32 სივასი – ქალაქი ცენტრალურ ანატოლიაში, კაისერის ჩრდ. აღმოსავლეთით, სივასის ოლქის ცენტრი.
- 33 არზრუმი – ქალაქი ჩრდ. აღმოსავლეთ ანატოლიაში.
- 34 ილიჯე – ბუნებრივი ცხელი წყალი.
- 35 კაფიკულუ – სასახლის მცველი მხედართა რაზმი, რომელიც ექვსი ბოლუქისგან შედგებოდა: 1. სიფაჰიები, 2. მეთოფეთა, 3. მარჯვენა ულუფეჯიები, 4. მარცხენა ულუფეჯიები, 5. მარჯვენა ღურებები და 6. მარცხენა ღურებები. იხ. İ. Uzunçarşılı, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.
- 36 ასქერი – ჯარისკაცი.
- 37 ვილაიეთი – < არაბ. ولاية – ვილაიეთი, ოლქი, პროვინცია < არაბ. ولاية – მმართველი, ვალი. ოსმალეთის იმპერიის მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული.
- 38 ბეგლარბეგი – ვილაიეთის მმართველი.
- 39 სანჯაყბეგი – ვილაიეთი დაყოფილი იყო სანჯაყებად (სადროშოებად), რომელთა მმართველებსაც სანჯაყბეგები ეწოდებოდათ. ისინი იყვნენ ასევე სანჯაყის ლაშქრის მეთაურებიც.
- 40 ზაიმი – ზეამეთის მფლობელი. ზეამეთის შემოსავალი 20000-დან 99999 ახჩას შეადგენდა.
- 41 ალაიბეგი – ათასეულის მეთაური. იგი სანჯაყბეგს ემორჩილებოდა. იყო ზეამეთის მფლობელი. მას ექვემდებარებოდა სამი, ოთხი სუბაში, რომლებიც მშვიდობიან დროს პოლიციელების მოვალეობას ასრულებდნენ. იხ. А. Тверитинова, გვ. 193.
- 42 986 წ. ჯუმად აღ-ეველი – 1578 წ. ივლისის თვე.
- 43 ბოლუქის ალა – ბოლუქის მეთაური; ბოლუქი – სამხედრო ერთეული, რომლის მხედართა რაოდენობა ჯარის სახეობაზე იყო დამოკიდებული, მაგ. იანიჩართა ბოლუქი 100 კაცისგან, სასახლის მცველი სიფაჰიების ბოლუქი კი 20-30 მხედრისგან შედგებოდა. იხ. А. Тверитинова, გვ. 196.
- 44 ალი – მუჰამედის ქალიშვილის ფატიმას მეუღლე. რიგით მეოთხე ხალიფა.

- 45 თოქმაქ-ხანი - ირანელთა ცნობილი სარდალი. უსთაჯლუ შაჰ ყული სულთნის ვაჟი, ჩუხურსაადის ბეგლარბეგი. იხ. B. Kütkoğlu, გვ. 224, F. Kurzioğlu, გვ. 538.
- 46 მიჰმანდარი - მესტუმრე.
- 47 მეჰმედ ხუდაბენდე - ირანის შაჰი (1578-1587).
- 48 ყარსი - ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, ყარსის ოლქის ცენტრი.
- 49 შასანკალე - ბასიანი.
- 50 მდ. მტკვარი.
- 51 986 წ. ჯუმად აღ-ახირის დასაწყისი - 1578 წ. აგვისტოს დასაწყისი.
- 52 ხათუნი - მუხრანბატონის ასული დებორა და ქაიხოსრო II-ის (1545-1573) ქვრივი დედისიმედი. იხ. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (მე-15-16 სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 174.
- 53 მანუჩარი - ქაიხოსრო II-ის ვაჟი, მაჰმადიანობაში მუსტაფა ფაშად წოდებული. 1582 წელს იგი ისლამს განუდგა და კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნდა. იხ. ქრ. შარაშიძე, გვ. 154, 171; محمد ثر, ტ. 4, გვ. 378.
- 54 კვიპროსის ციხე - ლალა მუსტაფა ფაშას მეთაურობით ოსმალებმა დაიპყრეს 1570-71 წელს. იხ. F. Kurzioğlu, დასახ. ნაშრომი, გვ. 267.
- 55 ხალკ ულ-ვადი - ტუნისის დედაქალაქი ტუნისი. იგი ოსმალებმა აიღეს 1574 წელს. იხ. محمد ثر, ტ. 4, გვ. 375; F. Kurzioğlu, გვ. 267; Краткая географическая энциклопедия, М., 1964, ტ. 4, გვ. 156.
- 56 ჩილდირი - აქ ჩილდირის ტბის მიმდებარე ტერიტორია.
- 57 იბლისის ციხე - ქაჯთა ციხე, მას თურქები შეითანკალასაც უწოდებდნენ. იგი ძურძნას სამხრეთით კარასუს მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. ვრცლად იხ. ს. ჯიქია, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, წიგნი III, თბ., 1958, გვ. 402-405; F. Kurzioğlu, გვ. 288.

- ⁵⁸ ბაჰრამ ფაშა - (მეტსახელად: სალირ-ყრუ) 1561/62 წელს უფროს დევთერდარად დანიშნეს. იყო სივასის (1569/70), არზრუმის (1570/71) და დიარბექირის (1577/78) ბეგლარბეგი. 1579/80 წელს თბილისში გააგზავნეს და იქვე გარდაიცვალა. იხ. *سید محمد*, ტ. II, გვ. 32.
- ⁵⁹ დიარბაქირი/დიარბექირი - ქალაქი სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში, დიარბაქირის ოლქის ცენტრი.
- ⁶⁰ დერვიშ ფაშა - სირიის (1568/69), ალეპოს (1570/71) და დიარბაქირის (1575/76) ბეგლარბეგი იყო. ამ თანამდებობაზე იგი დანიშნა დიდგვირმა სოქოლლუ მეჰმედ ფაშამ, რომელსაც დერვიშ ფაშა ბიძაშვილად ერგებოდა. 1577/78 წელს იგი დიარბაქირის ბეგლარბეგობიდან გადააყენეს, რის შედეგადაც გარდაიცვალა, იხ. *سید محمد*, ტ. II, გვ. 328; İ. Danişmend, დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 18.
- ⁶¹ იმამყული-ხანი - ყარაბაღის მმართველი.
- ⁶² სარუხან ბეგი - მუჰამედ ბეგის ძე, ხაზოს მმართველი. ხაზო მდებარეობს ქ. მუშის სამხრეთით. იხ. Шериф-хан Бидлисн, Шараф-хаме, перевод, предисловие, примечания и приложения Е. И. Васильевой, М., ტ. 1, 1967, გვ. 61, 254, 499.
- ⁶³ ოლთისი - იმიერ ტაოში, ოლთისის წყალზე მდებარე ძველი ქართული ქალაქი. ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა და არზრუმის ოლქის რაიონული ცენტრია. ჩვენს ტექსტში, ისევე, როგორც სხვა ოსმალურ წყაროებში, ოლთი (اولت) ფორმითაა გადმოცემული. იხ. ც. აბულაძე, თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 62.
- ⁶⁴ აღჯაყალა - თეთრციხე, რამდენიმეა (იხ. მ. ილურიძე, აღჯაყალათა იდენტიფიკაციისათვის. - მაცნე, ისტორიის სერია, 2, 1989, გვ. 114-121), აქ ჩილდირის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე აღჯაყალა იგულისხმება.
- ⁶⁵ აბდურრახმან ბეგი - წარმოშობით ქურთია. არტაანისა და შარკი ყარაპისარის ბეგი იყო. იგი ოზდემიროღლუ ოსმან ფაშასთან ერთად შირვანის დასაცავად დატოვეს. იხ. F. Kirzioğlu, გვ. 205.
- ⁶⁶ დაუთ-ხანი - სიმონ მეფის (1556-1569, 1578-1600) გამაჰმადიანებული ძმა დავითი, რომელიც 1569-1578 წლებში ყიზილბაშ-

- თა დახმარებით უკანონოდ ფლობდა ქართლის ტახტს, ავტორი ნიგნისა „იადიგარ დაუდი“. გარდაიცვალა ოსმალეთში.
- ⁶⁷ იუქი – ასი ათას ახჩას უდრის, ათი იუქი კი ერთი მილიონი ახჩაა. იხ. M. Pakalin, ტ. III, გვ. 639.
- ⁶⁸ ახჩა – ვერცხლის ფულია და თეთრს ნიშნავს. პირველად ორხან-ბეგის სახელზე ბურსაში მოიჭრა 1328 წელს. ახჩებზე თარიღის დასმა სულთან ილდირიმ ბაიაზეთის (1389-1402) დროს დაიწყო. მისი წონა მისხალის მეოთხედს (ერთი მისხალი 4,8 გრამია), ანუ ექვს კირატს და 1,154 გრამს შეადგენდა. ერთი ქისა ახჩა 500 გროშია. შემდგომში ახჩის რაოდენობა მუდმივად იცვლებოდა. ევროპელები ასპერს უწოდებდნენ. იხ. M. Pakalin, ტ. I, გვ. 32-34; Б. Недков, Осmano-турска дипломатика и палеография, 2, София, 1972, გვ. 369.
- ⁶⁹ ზაგემი (ბაზარი) – მე-16 საუკუნის ახლად დაარსებული კახეთის სამეფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი მდ. ალაზნის აღმოსავლეთით, მისი ერთ-ერთი შენაკადის სანაპიროზე. ამჟამად სოფელი ზაგემი მდებარეობს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და ზაქათალის რაიონში, მუხახის სოფსაბჭოში ირიცხება. იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 6, თბ., 1973, გვ. 160; ლ. ჭილაშვილი, კახეთის ქალაქები (მე-14-18 სს.), თბ., 1980, გვ. 157-171; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, გვ. 100, 160; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 57, 106, 150; Азербайджанская ССР, Административно территориальное деление, 1979, გვ. 40.
- ⁷⁰ ლევან შაჰი – ლევან კახთა მეფე (1520-1574).
- ⁷¹ ალექსანდრე – ლევან კახთა მეფის ძე ალექსანდრე მეფე (1574-1605).
- ⁷² კაიტას ბეგი – სასახლეში დანიანურების შემდეგ ჯერ სახელმწიფო სილაჰდარად, შემდეგ პირველ მირახორად, 1575/76 წელს კაფუჯიბაშის წოდებით ნიგდეს ბეგად და 1578/79 წელს სარუხანის (მანისას) ბეგად დაინიშნა. შემდეგ არზრუმის ბეგლარბეგი გახდა. ირანთან ომში მონაწილეობდა და 1579/

80 ნელს მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა. იხ. محمد ثرث, ტ. 4, გვ. 40.

⁷³ სტამბოლური ქილა – საწყაო მარცვლეულისათვის. ქილა რამდენიმე სახისა იყო – სტამბოლური 18-20 ოყას, ანუ 25 კგ-ს, იბრაილისა 70-80 ოყას, ანუ 100 კგ-ს, ქართლში კი 14,6 და 16 კგ-ს უდრიდა. იხ. M. Pakalin, ტ. I, გვ. 281; გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 122, 123; В. Хинц, Мусульманские меры и веса с переводом в метрическую систему, перевод с немецкого Ю. Э. Брегеля, М., 1970, გვ. 52; Е. А. Давидович, Материалы по метрологии средневековой Средней Азии, М., 1970, გვ. 52; А. Тверитинова, გვ. 203.

⁷⁴ ოყა (ვექიე) – არაბ. < اوقية – წონის ერთეული. იგი 400 დირჰემს ანუ 1,282 გრამს ან კიდევ 1,224 გრ. და 1,228 გრამს უდრიდა. ოსმალეთის სხვადასხვა მხარეში მისი წონა 200-დან 400 დირჰემამდე მერყეობდა. იხ. M. Pakalin, ტ. II, გვ. 723; Б. Недков, გვ. 522; А. Тверитинова, გვ. 209; В. Хинц, გვ. 33; გ. ჯაფარიძე, გვ. 73, 74.

⁷⁵ ამირ-ხანი – თავრიზის ბეგლარბეგი, წარმოშობით თურქმენი.

⁷⁶ რაფიზი (მწვალებელი) – ასე ეძახდნენ სუნიტები შიიტებს.

⁷⁷ 986 წ. რეჯების დასაწყისი – 1578 წ. სექტემბრის დასაწყისი.

⁷⁸ არეში – ქალაქი შირვანში.

⁷⁹ სუნიტი – ისლამურ რელიგიაში ორი ძირითადი მიმდინარეობაა – სუნიტური და შიიტური, მათ მიმდევრებს კი შესაბამისად სუნიტებს და შიიტებს უწოდებენ. სუნიტები მემკვიდრეობითობის პრინციპს არ ცნობენ, შიიტები კი პირიქით, მემკვიდრეობითობის პრინციპს აღიარებენ, რის გამოც სუნიტებისგან განსხვავებით პირველ სამს – აბუბექრს, ომარს და ოსმანს, რომლებიც მუჰამედის შთამომავლები არ იყვნენ, უკანონო ხალიფებად თვლიან და ხალიფათა თვლას მეოთხე ხალიფა აღიდან იწყებენ. იხ. ნ. ნაჭყებია, ირანი, ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი, თბ., 1972, გვ. 66, 67; P. P. Мавлютов,

- Ислам, М., 1974, გვ. 71-74; А. Массе, Ислам, М., 1963, გვ. 82, 83; Ислам, Краткий справочник, М., 1983, გვ. 102.
- ⁸⁰ 986 წ. შაბანის დასაწყისი - 1578 წ. ოქტომბრის დასაწყისი.
- ⁸¹ ჯავადი - აზერბაიჯანშია. ამჟამად ჯავადის სოფსაბჭო საბი-
რაბადის რაიონში შედის. Азербайджанская ССР, გვ. 75.
- ⁸² სალიანი - 1590 წლის ირან-ოსმალეთის ზავის შემდეგ იგი
შემახის ვილაიეთში შემავალი სანჯაყი იყო. ქ. სალიანი ბაქო-
დან 193 კმ-ის დაცილებით მდებარეობს. იხ. F. Kurzioğlu, გვ.
305; Азербайджанская ССР, გვ. 77.
- ⁸³ შაბურანი - შემახასა და დერბენდს შორის მდებარეობდა
და დერბენდის ვილაიეთში ირიცხებოდა. იხ. B. Kütükoğlu,,
გვ. 222.
- ⁸⁴ რუსტემ-ზალი - შაჰნამეს გმირი როსტომ ზაალის ძე.
- ⁸⁵ არას-ხანი - შირვანის ვალი/ბეგლარბეგი. წარმოშობით თურქ-
მენი. იხ. F. Kurzioğlu, გვ. 457.
- ⁸⁶ 986 წ. შაბანის დასასრული - 1578 წ. ოქტომბრის დასასრუ-
ლი.
- ⁸⁷ 986 წ. რამაზანის დასაწყისი - 1578 წ. ნოემბრის დასაწყისი.
- ⁸⁸ ჩარკაჯი - ლაშქრის წინ ჩამწკრივებული მსუბუქად შეიარა-
ღებული მენინავე რაზმი, რომელიც საბრძოლო მოქმედებას
ინყებდა.
- ⁸⁹ ხოსრო ქეთხუდა - ჩალღირანის ბეგი.
- ⁹⁰ ბალი ალა - აზაბთა ალა. ეს ის ბალი ალაა, რომელსაც
1574 წლის 5 თებერვლის ბრძანების თანახმად გურიაში და
სამეგრელოში აკრეფილი გადასახადების ჩატანა ებრძანა.
(აზაბები მეომრები იყვნენ. ისინი სხვადასხვა საქმეში გამოი-
ყენებოდნენ. ეგვიპტეში მათ ქალაქის დაცვა ჰქონდათ ჩაბა-
რებული, იყენებდნენ მეციხოვნეებად, მაგრამ მათ ძირითად
საქმიანობას გემზე სამსახური შეადგენდა. აზაბთა კორპუსი
იანიჩართა კორპუსის შექმნამდე ჯერ ანატოლიაში, შემდეგ
კი რუმელიაშიც ჩამოყალიბდა. ციხისა და ზღვის აზაბები
იანიჩართა კორპუსის გაუქმებამდე არსებობდნენ. აზაბები
დაყოფილი იყვნენ მარჯვენა და მარცხენა აზაბებად. მათ
ზღვისპირა სოფლებიდან აგროვებდნენ. მე-17 საუკუნის შუა

ნლებში მათი ხელფასი 4-7 ახჩას შეადგენდა. ისინი უცოლოები იყვნენ და ნითელ თავსაბურავს ატარებდნენ). იხ. M. Pakalin, ტ. I, გვ. 128-131; Mühimme, XXV, 522; F. Kurzioğlu, გვ. 417.

⁹¹ ადილ გირეი - (1548-1578) ყირიმის ხანის დევლეთ გირეის ვაჟი. 1578/79 წელს იგი ტახტის მემკვიდრედ დაადგინეს. 1579 წელს ყიზილბაშებთან ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა. თავდაპირველად ირანის შაჰის კარზე დიდი პატივით ეპყრობოდნენ, მაგრამ შემდეგ შაჰის მეუღლის თავიდან მოცილების მიზნით (შაჰის მეუღლეს მაჰდი ულიას შაჰის კარზე დიდი გავლენა ჰქონდა. ფაქტობრივად იგი მართავდა სახელმწიფოს, მეტად ზღუდავდა ყიზილბაშური ტომების ემირების როლს ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ცდილობდა გაეძლიერებინა ირანული ელემენტი) მასთან სატრფიალო კავშირი დააბრალეს და მოახრჩვეს. იხ. محمد ثالث, ტ. III, გვ. 263; Шараф-наме, ტ. II, გვ. 238, 239; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 56; საპირისპირო ვერსიის შესახებ იხ. O. A. Эфендиев, Образование Азербайджанского государства сефевидов в начале 16-го века, Баку, 1961, გვ. 163-167.

⁹² აზოვი - ქალაქი მდ. დონის შავ ზღვასთან შეერთების ადგილზე.

⁹³ ყივჩალთა ველი - ურალის მთებსა და მდ. ვოლგას შორის მდებარეობს. იქ ჩინგიზ-ხანის უფროსმა ვაჟმა ჯუჩიმ საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოს „ყივჩალთა ველის“ სახელწოდებით, რომელიც მე-15 საუკუნეში ხუთ სახანოდ დაიყო. იხ. იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 33-36; Gövsa, ტ. III, გვ. 1443.

⁹⁴ საშამხლო - მსხვილი პოლიტიკური ერთეული, რომელიც ჩრდ. დაღესტანში მდებარეობდა. მასში შედიოდა მიწები, რომლებიც დასახლებული იყო ყუმუხებით, ლაკებით, დარგინებით და ა. შ. საშამხლოს ცენტრი იყო ყაზიყუმუხი. იხ. История Дагестана, ტ. I, М., 1967, გვ. 247; ქართული ენციკლოპედია, ტ. III, გვ. 403.

- 95 კაფა - ახლანდელი ქალაქი ფეოდოსია.
- 96 ყაითალი - დალესტანში დერბენდის ჩრდილოეთით მდებარე ოლქი, ამჟამად ყაითალის რაიონი.
- 97 ჰამზა - აბდულმუთალიბის ვაჟი (567-624), მუჰამედის ერთ-ერთი ბიძათაგანი და ძიძიშვილი. მუსლიმთა წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის. მას „ალაჰის ლომს“ უწოდებენ. იხ. Gövsa, ტ. II, გვ. 1055.
- 98 მაჰმუდაბადი - ქალაქი, რომელიც შირვანში, მდ. მტკვრის სანაპიროზე მდებარეობდა.
- 99 იგულისხმება შაჰ მეჰმედ ხუდაბენდეს ვაჟი ჰამზა მირზა.
- 100 მირზა სალმანი - დიდვეზირი, რომელიც ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტად აქტიურ როლს თამაშობდა.
- 101 ფირე-ხანი - უსთაჯღუს ტომის წარმომადგენელი. იგი ყველაზე უფრო წარჩინებულ ყიზილბაშ ემირთა რიცხვში ირიცხებოდა. მან და სხვა ემირებმა მეჰმედ ხუდაბენდეს შაჰობის დროს ირანის ტერიტორია გაინაწილეს. იხ. Шапаф-Һәмә, ტ. II, გვ. 234.
- 102 მუჰამედ-ხანი - ქაშანის მმართველი, წარმოშობით თურქმანი. იხ. Шапаф-Һәмә, ტ. II, გვ. 316.
- 103 შახრუხ-ხანი - მაჰმუდაბადის ბეგი (?). იხ. F. Kirzioğlu გვ. 305.
- 104 ხალიფა ანსარი - ყაჯართა ტომის წარმომადგენელი. ყარაჯადალის სანჯაყბეგი.
- 105 ქოიუნ გეჩიდი - ქართულად ცხვრის გადასასვლელს ნიშნავს, იგივე Koyun-Köprüsü (ცხვრის ხიდი), რომელიც მდინარეების ივრისა და ალაზნის მტკვართან შეერთების სიახლოვეს უნდა ყოფილიყო. იხ. B. Kütnkoğlu, გვ. 56, 57, 216.
- 106 ქაბალას ციხე - შირვანში მდებარეობს.
- 107 986 წ. რამაზანის დასასრული - 1578 წ. ნოემბრის დასასრული.
- 108 არიფის ღამე - < არაბ. عرف يوم არიფის დღე - ზილჰიჯეს თვის მეცხრე დღე, რომელსაც მომლოცველები არაფატის მთაზე ატარებენ; მსხვერპლშენირვის დღესასწაულის წინა დღე, შემდგომში ტკბილეულის დღესასწაულის წინა დღესაც

უნოდებდნენ; მნიშვნელოვანი მოვლენების წინა დღე. იხ. X. K. Баранов, Арабско-Русский словарь, II, М., 1970, გვ. 652; Mustafa Nihat Özön, Resimli Türk Dili Sözlüğü, İstanbul, 1967, გვ. 61; İ. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilâtı, Ankara, 1948, გვ. 149.

- ¹⁰⁹ მუბარეჟის დღესასწაული – აქ იგულისხმება მარხვა, რომელსაც მუსლიმები რამაზანის თვეში ინახავენ.
- ¹¹⁰ შამხალი – სამამხლოს მმართველის ტიტული.
- ¹¹¹ თაბასარანი – დერბენდის სამხრეთით მდებარეობს, ამჟამად თაბასარანის რაიონი.
- ¹¹² ქურე – სამხრეთ დაღესტანში მდებარეობს. წინათ უმეტესად ებრაელებით იყო დასახლებული. იხ. И. Я. Чернаго, Горские еврей. – СМОМПК, т. III, 1870, გვ. 42.
- ¹¹³ ალთუნი – თურქული ოქროს მონეტა, 1453 წელს სულთან მეჰმედ II-ის სახელზე მოიჭრა და 3,5 გ. იწონიდა. იხ. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. II, თბ., 1973, გვ. 131.
- ¹¹⁴ მესქურე – მუსტაფა ალის ცნობით იგი დერბენდის ვილაიეთის ერთ-ერთი სანჯაყი იყო. იხ. Künhülâhâr, გვ. 314 ა-ბ, ვუთითებთ F. Kurzioğlu-ს დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 305.
- ¹¹⁵ აბუ ჰანიფი – აბუ ჰანიფი ქუფი, იმამი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჰანიფიტურ მიმდინარეობას, სუნიტური მოძღვრების ერთ-ერთ მიმართულებას. დაიბადა დაახლოებით 699 წ. ქუფაში და იქვე გარდაიცვალა 767 წ. იხ. Шараф-наме, т. II, გვ. 182; Ислам, краткий справочник, გვ. 28, 29.
- ¹¹⁶ ანდაზა – < სპარ. ა.جاسا, საზომი ერთეული, რომელიც დაახლოებით 26 დიუმს, ანუ 65 სანტიმეტრს უდრის. იხ. Turkish and English Lexicon, By sir James W. Redhouse, 1921, გვ. 216.
- ¹¹⁷ მინბარი – მიჰრაბის გვერდით მდებარე ამალღებული კათედრა იმამისა და მქადაგებლისათვის. პარასკევის ნამაზის დროს ხუტბას მინბარიდან კითხულობენ. მინბარები მხოლოდ საკრებულო მეჩეთებშია. იხ. И. П. Петрушевский, Ислам в Иране в 7-15 веках, Л., 1966, გვ. 88, 89.

- ¹¹⁸ მიპრაბი – ოთხკუთხედი, ნახევრად მრგვალი ან მრავალკუთხა ნიშა მეჩეთის უკანა კედელთან. იგი მექისკენ მიმართულებას აჩვენებს და მორთულია ყურანის ტექსტებით. იხ. И. Петрушевский, გვ. 88.
- ¹¹⁹ ხუმსი – სამხედრო ნადავლის მეხუთედი ნაწილი, რომელიც განკუთვნილი იყო მუჰამედის შთამომავლების, „საღვთო ომში“ დაღუპულთა ქვრივ-ობლებისა და ღარიბთა დასახმარებლად. იხ. И. Петрушевский, გვ. 29.
- ¹²⁰ აბუ-მუსლიმი – (727-755) ომაიელთა სახალიფოს წინააღმდეგ მიმართული აჯანყების მეთაური. აბასელთა სახალიფოს დამკვიდრების შემდეგ (749-750) იგი ხორასნის ვალიდ დანიშნეს. ხალიფა მანსურმა, შეეშინდა რა მისი გავლენის გაძლიერებისა, იგი მოაკვლევინა. გადმოცემის თანახმად, აბუ-მუსლიმი დაღესტანში ისლამის გამავრცელებელი ყოფილა. თავდაპირველად მას აბდურაახმანს უწოდებდნენ. ის იყო შვილი სეიდისა, შვილიშვილი მეფე ნოფალისა, ხლუფის მეფეთა შთამომავალი. მან ჰიჯრის 120 (737/38) წელს დაამარცხა მამამისის მკვლელი იეზიდი მეფე მირვანი. ამას მოყვა შემახისა და დაღესტნის დამორჩილება. იხ. Эвлия Челеби, Книга Путешествия, выпуск 2, состовитель и ответственный редактор А. Д. Желтяков, предисловие А. П. Григорьева, примечания и комментарии А. П. Григорьева и А. Д. Желтякова, М., 1979, გვ. 114, 118, 233; А. Массе, Ислам, გვ. 214; А. И. Лилов, Очерки из быта горских мусульман, СМОМПК, ტ. 5, 1886, გვ. 2; Д. Бабаев, Селение Ахты, СМОМПК, ტ. 17, 1893, გვ. 138, 139.
- ¹²¹ შაფის სექტა – შაფიიტური სექტა წარმოადგენს კომპრომისს ჰანიფიტებისა და მალიკიტების მოძღვრებებს შორის. მისი ფუძემდებელია იდრის აშ-შაფი. იხ. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978, გვ. 128; Ислам, краткий справочник, გვ. 123.
- ¹²² თუმანის ტომი – ჩეჩნები.
- ¹²³ ჭუკუკის ტომი – ტომს ამ დასახელებით ვერ მივაკვლიეთ. ეტყობა, მისი ვინაობა ვენური ნუსხის გადამწერსაც ვერ

გაურკვევია და საერთოდ ამოუღია. ქათიბ ჩელების „ჯიჰან ნუმაში“ (სამყაროს მეგზური) ტომთა ჩამოთვლისას ნათქვამია, რომ „ამ ტომის (ჩერქეზების – მ. ი.) განდევნილებს დაკუკს ეძახიან, ესენი ქათმის ხორცს არ ჭამენ. ერთი ხე აქვთ, კოდოშს უწოდებენ“. შესაძლოა, რომ ჩვენი ავტორი „ჰუკუკში“ სწორედ ამ „დაკუკს“ გულისხმობს. ქათიბ ჩელების „ჯიჰან ნუმაში“ ჩვენთვის საინტერესო ეთნონიმი გრაფიკულად გამოსახულია ამგვარად – اقاقي, „აღმოსავლეთის ლაშქრობებში“ კი შემდეგნაირად – اقاقي. ვფიქრობთ, რომ ადგილი აქვს გრაფიკულ აღრევას, ა შეცვლილია ҄-ით. ამგვარად, აბუბეკრს დაკუკები შეცდომით ცალკე ტომად აღუქვამს. „დაკუკებს“ ჩერქეზებად იხსენიებს ასევე ევლია ჩელებიც, მხოლოდ „თაკუკების“ (طاقاقو, Takako) სახელწოდებით. იხ. كتاب چلبی، قسطنطنیه ۱۱۴۵ - 1732/33, გვ. 403; ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 132; ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, გვ. 102, ნაკვ. II, გვ. 70; Mehmed Zilli oğlu, Evliya Çelebi, Seyahatnamesi, üçüncü kitap, İstanbul, 1970, გვ. 106; კოდოშის შესახებ იხ. Ксаверио Главани, Описание Черкессии, 1729 г. перевод и примечания Е. Г. Вейденбаума, Тифлиси, 1893, გვ. 11.

¹²⁴ აბაზას ტომი – აბაზები ცხოვრობდნენ მდინარეების კუბას, დიდი და პატარა ზელენჩუკებისა და ყუბანის ხეობების ზემო ნელში, ასევე ამ ტერიტორიების სამხრეთ-დასავლეთით, მთიან რაიონებში. მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ოსმალურ წყაროებში „აბაზებად“ იწოდებიან როგორც საკუთრივ აბაზები, ასევე აფხაზები. იხ. ევლია ჩელები, ტ. I; გვ. 83, 89, 96, 99, 100-108, 273, 333, 337, 338, 420, 439; გ. ანჩაბაძე, ევლია ჩელების ცნობები აფხაზური და აბაზური ტომების შესახებ. – საისტორიო კრებული, 6, თბ., 1976, გვ. 83.

¹²⁵ ხოსრო ფაშა – (მეტსახელად: ქოსა) 1552/53 წელს აინთაბის ბეგად, შემდეგ კი ბეგლარბეგად დანიშნეს. იყო ფადიშაჰის სიძე და დევთერდარი. 1562/63 წ. სირიის, 1567/68 და 1582 წ. დიარბაქირის, 1580/81 წ. არზრუმის, 1584 წ. ალექსოს და

1585/86 წელს ვანის ვალი იყო. 1586/87 წ. ირანთან ომში მონაწილეობის სიკვდილით აღესრულა. ცნობილია როგორც გონიერი მმართველი და საზღვრის საქმეების შესანიშნავი მცოდნე. იხ. محمد, ტ. II, გვ. 273.

¹²⁶ ხალილ-ხანი – ყაჯართა ტომის წარმომადგენელი, შაჰვერდი სულთნის ვაჟი და მამა მეჰმედ ხანისა, რომელსაც იმამყული-ხანის სიკვდილის შემდეგ განჯის ვილაიეთი ებოძა. იხ. F. Kirzioğlu, გვ. 370.

¹²⁷ 986 წ. რამაზანის თვე – 1578 წ. ნოემბრის თვე.

¹²⁸ სიმონ მეფე – ქართლის მეფე (1556-1569, 1578-1600).

¹²⁹ მუსტაფა ფაშა – ლალა მუსტაფა ფაშას ქეთხუდა იყო. იგი მოგვიანებით მარაშის, იგივე ზულ-ყადარის ბეგლარბეგად დაინიშნა, გარდაიცვალა 1594/95 წ. იხ. محمد, ტ. 4, გვ. 379.

¹³⁰ ჯაფერ ფაშა – (მეტსახელად: ხადიმი – მსახური) სასახლიდან დანიშნურდა. 1574/75 წ. სირიის, 1579/80 წ. ანატოლიის და 1582 წ. რუმელიის ბეგლარბეგად დანიშნეს. 1585 წ. მეორე ვეზირი გახდა და რვა წლის განმავლობაში თავრიზის ვალი იყო. 1592/93 წ. ბაღდადის და 1593/94 წ. ტიმოშვარის ვილაიეთი ებოძა და 1599/1600 წ. იქვე გარდაიცვალა. იხ. محمد, ტ. II, გვ. 71.

¹³¹ 987 წ. ჯუმად აღ-ვეელი – 1579 წ. ივნის-ივლისი.

¹³² 987 წ. ჯუმად აღ-ახირის დასაწყისი – 1579 წ. ივლისის დასასრული.

¹³³ საადრუხური – იგივე ჩუხურსაადი. არარატის ოლქის ეს სახელწოდება მე-15 საუკუნიდან გავრცელდა. ეს სახელი ამ ტერიტორიამ მიიღო მე-14 საუკუნეში იქ გამეფებული მომთაბარე თურქმენი ამირ სა'დის პატივსაცემად. შემდგომში ჩუხურსაადის ვილაიეთი სეფიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. მისი ცენტრი ერევანი იყო, რის გამოც ხშირად ჩუხურსაადის ვილაიეთს ერევნის ვილაიეთსაც უწოდებენ. იხ. ქათიბ ჩელები, გვ. 113; Г. Г. Берадзе, Л. П. Смирнова, Материалы по истории ирано-грузинских взаимоотношений в начале 17 века, Тб., 1988, გვ. 74; “Джихан-Нюма” и “Фезлеке” Кятиба

Челеби как источник по истории Армении (17 в.), предисловие, перевод и комментарии А. А. Папазяна, Ереван, 1973, გვ.102; О. А. Эфендиев, Территория и границы Азербайджанских государств в 15-16 вв. – Историческая география Азербайджана, Баку, 1987, გვ. 111, 112.

¹³⁴ 987 წ. რამაზანის დასაწყისი – 1579 წ. ოქტომბრის მესამე დეკადა.

¹³⁵ მეჰმედ გირეი სულთანი – (მეტსახელად: სემინი – მსუქანი) ყირიმის ხანი მეჰმედ გირეი II, დევლეთ გირეის ვაჟი. თავისი ძმის აჰმედ გირეის სიკვდილის შემდეგ ტახტის მემკვიდრე გახდა, 1577/78 წელს კი მამამისის გარდაცვალების გამო ყირიმის ხანი გახდა. შემდგომში მან ოსმალების მორჩილებაზე უარი თქვა, რის გამოც ოზდემიროღლუ ოსმან ფაშა 1584 წელს ყირიმისკენ გაემართა, 40 დღის ალყის შემდეგ მეჰმედ გირეი ხელთ იგდო და სიკვდილით დასაჯა. იხ. محمد كرتلي, ტ. 4, გვ. 124; Н. А. Смирнов, Политика России на Кавказе в 16-19 веках, М., 1958, გვ. 34.

¹³⁶ რეისულქუთთაბი – 1. სახელმწიფო კანცელარიის უფროსი, იგივე მნიგნობართუხუცესი, იგივე სახელმწიფო მდივანი, 2. საგარეო საქმეთა მინისტრი, 3. დიდვეზირისა და ვეზირების პირადი კანცელარიების გამგებელი.

¹³⁷ დალ მეჰმედ ჩელები – შირვანის თეზქერეჯი და „შეჯაათ ნამეს“ (საგმირო წიგნი) ავტორი. ნანარმოებში აღწერილია 1585 წ. თბილისის დასაპყრობად ოზდემიროღლუ ოსმან ფაშას გაგზავნა, ლაშქრობა ყირიმში და თავრიზის დაპყრობა, იხ. А. Levend, გვ. 88.

¹³⁸ 987 წ. შაბანის დასასრული – 1579 წ. ოქტომბრის მესამე დეკადის დასაწყისი.

¹³⁹ პოლუ – კონტექსტის მიხედვით ყარაბაღის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

¹⁴⁰ არაზბარი – ყარაბაღის ვილაიეთის ერთ-ერთი სანჯაყი. ამჟამად აზერბაიჯანში აღჯაბედინის რაიონში ირიცხება, იხ. Азербайджанская ССР, გვ. 21.

- ¹⁴¹ დიზაკი - ყარაბალის/განჯის ვილაიეთის სანჯაყი იყო. ამჟამად დიზაკის რაიონი გადაკეთებულია გადრუთის რაიონად და ყარაბალის ავტონომიურ ოლქში ირიცხება. იხ. Азербайджанская ССР, გვ. 113, 213.
- ¹⁴² რანდა - ვფიქრობთ, რანდა ოვჰანეს წარეცის თხზულებაში ფიქსირებული ვარანდი უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ რანდა აბუბექრის თხზულებაში დიზაკის გვერდითაა მოხსენიებული, ვარანდი კი ისევე, როგორც დიზაკი, ყარაბალში მდებარეობს. იხ. არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და კომენტარები კ. კუციასი, თბ., 1974, გვ. 47.
- ¹⁴³ ბარდა - ქალაქი აზერბაიჯანში. ბაქოდან 319 კმ-ითაა დაცილებული. იგი იყო პირველი ქალაქი, რომელიც ყარაბალში აიგო. იხ. Азербайджанская ССР, გვ. 27; История Карабага, Баку, 1959, გვ. 64.
- ¹⁴⁴ არდებილი - ირანის აზერბაიჯანის ჩრდ.-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი იყო სეფევიდების პირველი სამეფო ქალაქი. მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენს თურქულენოვანი შაჰსეევანთა ტომი. იხ. ც. აბულაძე, თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, გვ. 63.
- ¹⁴⁵ მაია - დედალი საჯიშე აქლემი.
- ¹⁴⁶ 987 წ. რამაზანი - 1579 წ. ოქტომბერ-ნოემბერი.
- ¹⁴⁷ ბედნიერების ზღურბლი - სტამბოლი.
- ¹⁴⁸ 988 წ. მუჰარემი - 1580 წ. თებერვალ-მარტი.
- ¹⁴⁹ მეჰმედ ფაშა - (მეტსახელად: ტავილი-მალალი) ბოსნიელია. სასახლიდან კაფუჯიბაშის წოდებით გამოვიდა. 1546-47 წ. რუმელიის ვალი, ვეზირი და სულთან სელიმის სიძე გახდა. 1565 წ. მაისში დიდვეზირი გახდა. მეტად ღვთისმოსავი ადამიანი იყო. გამოიცვალა სამი სულთანი და გარდაიცვალა 1581 წელს. დაკრძალულია ეიუბის მეჩეთში. იხ. محمد گرت, ტ. 4, გვ. 122, 123.
- ¹⁵⁰ სინან ფაშა - (მეტსახელად: კოჯა-დიდი, მოხუცი) ალბანელია. სასახლიდან ჩაშნაგირბაშის წოდებით გამოვიდა. მალტაში, კასტამონუში, ლაზაში, ტრაბლოში და სირიაში მირლივა

იყო, შემდეგ არზრუმის, ალექოს ბეგლარბეგი და 1567/68 წ. ეგვიპტის ვალი გახდა. 1569/70 წ. იემენის დაპყრობას ხელმძღვანელობდა, 1572/73 წ. მეექვსე ვეზირი გახდა და ტუნისი დაიპყრო. 1580-1582, 1588/89-1590/91, 1593-1595 წლებში დიდვეზირი იყო. გარდაიცვალა 1596 წ. 4 აპრილს. იხ. محمد سبط، ტ. III, გვ. 109; იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 126, 127.

- ¹⁵¹ 988 წ. რები ულ-ეველი – 1580 წ. აპრილ-მაისი.
- ¹⁵² 988 წ. ჯუმად ალ-ეველი – 1580 წ. ივნის-ივლისი.
- ¹⁵³ 988 წ. ჯუმად ალ-ახირი – 1580 წ. ივლის-აგვისტო.
- ¹⁵⁴ ჩობანის ხიდი – მწყემსის ხიდს ნიშნავს. მდებარეობს არზრუმის ოლქის ჩობანდედეს თემში ბასიანიდან აღმოსავლეთით 15 კმ-ის დაშორებით, მდ. არაქსისა და კარგაფაზარის შესართავში. იხ. İbrahim Hakkı Konyalı, Abideleri ve kitabeleri ile Erzurum Tarihi, სტამბოლი, 1960, გვ. 438-443, ვუთითებთ ც. აბულაძის ნაშრომის „თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის“ მიხედვით, გვ. 64.
- ¹⁵⁵ გურჯიბოლაზი – საქართველოს ყელი. იგი ნამირვანსა და არზრუმს შორის მდებარეობდა. იხ. ევლია ჩელები, ტ. I, გვ. 304, 317, 334.
- ¹⁵⁶ 988 წ. შაბანის დასაწყისი – 1580 წ. სექტემბრის შუა რიცხვები.
- ¹⁵⁷ იემენი – ოსმალებმა 1567-1569 წლებში დაიპყრეს.
- ¹⁵⁸ 988 წ. შევალის დასაწყისი – 1580 წ. ნოემბრის მეორე დეკადის დასაწყისი.
- ¹⁵⁹ 990 წ. საფარის შუა რიცხვები – 1582 წ. მარტის მეორე დეკადის დასაწყისი.

Ebubekir bin Abdullah

GAZAVATNAME

ÖZET

16. yüzyıl Osmanlı tarihçisi, "Cemaat-i Ulufeciyan-i Yesar" üyesi Solak Ebubekir bin Abdullah'ın "Gazavatname"sinde, Lala Mustafa Paşa komutasında Osmanlıların 1578-1580 yıllarındaki Kafkasya seferleri anlatılır. Yazar, tanıklık ettiği olayları tasvir etmiştir. 1579 yılında, Gence kasabasına düzenlenen akın sırasında yazarın Kızılbaşların eline düştüğünü, sekiz ay sonra da kaçtığını ve Diyar-i Rum'a döndüğünü kendi eserinden anlıyoruz.¹ Ebubekir Kars'a gelmiş, 1582 yılında da Serdar Sinan Paşa ile İstanbul'a dönmüştür.²

"Gazavatname"nin İstanbul, Paris ve Viyana Millî kütüphanelerinde üç nüshası bulunduğu, A. Sırrı Levend, E. Blochet ve. G. Flügel'in kataloglarında belirtilmektedir.³

Yukarıda adı geçen üç nüshadan Paris nüshası 1582 yılında, İstanbul nüshası 1584 yılında yazılmıştır. Viyana nüshasının kopya tarihi ise eserde belirtilmemiştir.

Paris nüshasının sonunda yazarın kimliği – **مؤلف الحقير ابو بكر بن عبد** – **الله عن جماعت علوفجيان يسار** – tam olarak verilmiş, Viyana nüshasında ise yazarın adı hiç zikredilmemiştir. J. Hammer'e göre Viyana nüshası İbrahim Rahimizade'ye aittir.⁴ Viyana Millî Kütüphanesi'nde Rahimizade'nin

¹ Ebubekir bin Abdullah, Paris nüshası, s. 125, 126.

² F. M. Kırzioğlu. Osmanlılar'ın Kafkas ellerini Fethi (1451-1590), Ankara, 1976, s. 399.

³ Ağâh Sırrı Levend, Gazavat nameler ve Mihaloğlu Ali Beyin Gazavatnamesi, Ankara, 1956, s. 87; Bk. İstanbul Kütüphaneleri Tarih-Coğrafya Yazmaları Katalogları, İstanbul, 1944, s. 143; E. Blochet, Catalogue des manuscrits turcs, Paris, 1932, 2. cilt, Supplement, № 123; G. Flügel, Arabischen, persischen und türkischen Handschriften kaiserlich königlichen Hofbibliothek, Wien, 2. cilt, 1865, s. 237, № 1016.

⁴ J. Hammer, Geschichte des Osmanischen Reichs, 9. cilt, Wien, 1833, s. 204.

“Kitab-i Feth-i Tebriz” adlı eseri bulunmaktadır. Bu kaynak ve Ebubekir’in “Gazavatname”si aynı kalemden çıkmıştır. Bizce J. Hammer’in yaptığı yanlışın nedeni, bu iki eserin yazılışının birbirine benzemesinden gelmektedir.

J. Hammer’in, “Gazavatname”nin Rahimizade’ye ait olduğu biçimindeki düşüncesini G. Flügel çok şüpheli bulmuştur. Ona göre ne el yazmasında ne de başka kaynaklarda bu düşünceyi doğrulayacak bilgiler mevcut değildir.⁵ A. Sırrı Levend, Paris ve Viyana nüshalarının ayrı eserler olduğunu, Viyana nüshasının ise nedense Rahimizade’nin “Kitab-i Gencine-i Feth-i Gence”sinin bir parçası olduğunu belirtmiştir.⁶

A. Sırrı Levend, Ebubekir’in eserini “Özdemiroğlu Osman Paşa’nın Dağıstan ve Şirvan Seferleri Tarihçesi” adıyla anmaktadır.⁷ F. Kırzioğlu ile B. Kütükoğlu çalışmalarında da, bu kaynağın bilgilerine rastlıyoruz. B. Kütükoğlu başlık olarak “Şark Seferleri” kullanıyor,⁸ J. Hammer ve G. Flügel ise esere “Tarih-i Osman Paşa” demişlerdir.⁹ Yunus Zeyrek tarafından 2001 yılında yayımlanmış bu tarihî kaynak da aynı başlığı taşıyor. Buna benzer başlığı Paris nüshasında da görüyoruz. I b de, metindeki yazıyla değil, başka bir hatla yazılıdır: “Tevarih-i Osman Paşa beray Demur Kapu hikayat-i acaybe”. Eser, “Tarih-i Osman Paşa” olarak adlandırıldığı takdirde, 1585 yılında, yani Osman Paşa’nın Tebriz şehrinde ölmesi ile son bulmalıydı, Osman Paşa’ya ait olan son tarih ise 1579 yılıdır. Bizce, Ebubekir bin Abdullah’ın yaptığı gibi, eserin “Gazavatname” olarak adlandırılması daha doğrudur, çünkü eserde Lala Mustafa Paşa ve Koca Sinan Paşa ile ilgili vakalar da anlatılmaktadır.

Biz, Paris ve Viyana nüshalarının fotokopilerini elde etmiş bulunuyoruz. 141 sayfalık Paris nüshası siyah mürekkep ve nesih hatla yazılıdır. Bir sayfada 13 satır vardır. 69 sayfadan ibaret olan Viyana nüshası da nesih hat ve siyah mürekkeple yazılmış, ama bazı tarih ve şiirlerin başında kırmızı mürekkep kullanılmıştır, bir sayfada 23 satır vardır.

Biz, Paris ve Viyana nüshalarını karşılaştırırken aşağıdaki farklılıkları tespit ettik: Paris nüshası nispeten geniştir. Nüshaların başlangıç metinleri

⁵ G. Flügel, age, s. 237.

⁶ A. Sırrı Levend, age, s. 90.

⁷ A. Sırrı Levend, age, s. 87.

⁸ B. Kütükoğlu, Osmanlı-İran siyasi münasebetleri, I, 1578-1590, İstanbul, 1962, s. IX.

⁹ J. Hammer, age, s. 204; G. Flügel, age, s. 237.

hemen hemen aynıdır. Viyana nüshasında ara sıra “و” bağlacını, “فی” edatını, bazı sözcükleri, sonunda ise cümlelerle tarihî bilgileri içine alan bazı parçaları da hiç görmüyoruz. Viyana nüshasında arada bir kelimelerin sırası değiştirilmiş, yeni sözcükler veya cümleler de eklenmiştir, Paris el yazmasındaki bazı kelimeler ile cümleler çıkarılmıştır. Paris ve Viyana nüshalarında aynı vaka üzerine verilmiş bilgilerde, ayrıca sayısal verilerde farklılıklar görülür.

Paris nüshasında tamlayan durumu sözcük gövdesinin sonuna وک, Viyana nüshasında ise ک, belirtme durumu Paris el yazmasında “ین”, Viyana’da ise “ن” harfleri getirilerek yapılmış, “o” ve “ö” seslilerini ifade etmek için Paris nüshasında “P”, Viyana’da “او” kullanılmıştır. Paris nüshasında çoğu kez yumuşak sessizler yerine sert sessizler bulunur, “د” ile “ه” ve “و” ile “ه”, Viyana’da ise sadece “د” ve “ه” harfleri bitişik yazılmıştır. Viyana el yazmasında “با”, Paris’te ise “فی” edatı kullanılır. Paris ve Viyana nüshalarının başı ve sonu hemen hemen aynıdır.

Yukarıda değindiğimiz farklılıklara bakınca, Viyana nüshasının Paris nüshasından kopya edilmediği açıktır. Bizce Viyana nüshasının kopyacısı, çalışmasında İstanbul ya da henüz bilmediğimiz başka bir nüshayı kullanmıştır.

Ebubekir, Kaheti Kralı olan Aleksandre yerine Kral Levan’ı yazıyor, ama bu yanlışlık müellifin bilgisizliğinden gelmiyor. Çünkü eserinde Aleksandre adına da rastlıyoruz. O zamanlarda Kral Levan itibar gördüğünden dolayı Kaheti ülkesi “Levend memleketi” adıyla da anılırdı ve Osmanlı müellifleri bu gibi yanlışlıkları o zamandaki âdet gereği yaparlardı.

“Gazavatname”de, Gürcistan, Şirvan ve Dağıstan’a dair bilgiler verilmiştir. Gürcistan üzerine bilgiler esasen yirmi sayfada yer alır, ama 1578-1580 yıllarında Osmanlıların seferlerindeki bütün vakalar anlatılır. Eserde Lala Mustafa Paşa tarafından Atabek IV. Kvarkvare’nin kardeşi Manuçar’a ve Kaheti kralı olan Aleksandre’ye gönderilmiş mektupların muhtevası verilmiştir, bununla beraber İblis (Kacı) Kale’sinin alınması, Çıldır Cengi, Manuçar’ın Lala Mustafa Paşa’ya gitmesi ve erzak getirmesi, Osmanlıların Tiflis’e girmesi, Tiflis muhasarası, Maraş Beylerbeyi Mustafa Paşa ve sonra Sinan Paşa’nın seferleri, Kırım Tatarları tarafından Zagem’in harap edilmesi gibi vakalardan bahsedilmiştir. Ebubekir, Gürcistan’daki olayları anlatırken,

yabancı ve Gürcü kaynaklarında var olan bilgileri tekrar eder, kimi zaman bu bilgilerden bazısını farklı bir şekilde ya da daha etraflıca anlatır.

Ebubekir bin Abdullah, 1578-1580 yıllarında Şirvan topraklarında Osmanlı ile Kızılbaşlar arasında sert çarpışmalar olduğundan bahsediyor, bu bölge hakkında daha etraflıca malumat naklediyor, ama Gürcistan ile ilgili olarak sadece muharebe hareketlerinden söz ediyor. Bunun sebebi aynıdır: Ebubekir, Şirvan'da da Gürcistan'daki gibi kısa bir süre kalmış, 1578 sonbaharı ve 1579 kışını ise Dağıstan'da geçirmiştir. Bu yüzden sadece muharebe hareketlerini değil, yerli kabilelere dair çeşitli bilgiler de vermiştir. Örneğin, Dağıstan kabilelerinin dini, harp kuvvetleri, hukuku, âdetleri vb.

Adı geçen Rahimizade'nin "Kitab-i Feth-i Tebriz" adlı eseri bize göre Ebubekir bin Abdullah tarafından yazılmış olabileirdir. Eserin sonunda yazarın kimliği - رحیمی زاده چاوش - mevcuttur, ama bu yazı kopyacı tarafından da yazılmış olabilir. Bugünkü Türk tarihçiliğinde Rahimizade'nin üç eseri bilinmektedir, bunlar şunlardır: 1. Zafename-i Hazret-i Sultan Murad-Han, 2. Kitab-i Gencine-i Feth-i Gence ve 3. Gonca-i bağ-i Murad.¹⁰ Bu son eserde, "Kitab-i Feth-i Tebriz"deki gibi, Tebriz'in 1585 yılında Osman Paşa tarafından fethi tasvir edilmiştir. Rahimizade'nin aynı olay hakkında iki eser yazmış olması çok şüphelidir. "Kitab-i Feth-i Tebriz" ile Ebubekir'in "Gazavatname"si karşılaştırılınca, bu iki eserin yazılış tarzı ile kelime hazinesinin birbirine benzediğini ve sık sık aynı veya çok benzer cümlelerin tekrarlandığını fark etmiştik.

Ebubekir, başka Osmanlı müellifleri gibi tarafgirdir, ama 16. yüzyılın son çeyreğindeki Gürcistan ve bütün Kafkasya'daki durumunu oldukça canlı bir şekilde tasvir etmiştir. Onun verdiği bilgiler, yabancı ve Gürcü kaynaklarınca da doğrulanmaktadır. Bundan dolayı Ebubekir bin Abdullah'ın güvenilir müellif olduğunu düşünmekteyiz.

NOT: Kitabımızda esas metin olarak Paris nüshası kullanılmış, Viyana nüshasının farkları ise alt notlarda verilmiştir. Paris nüshası "P", Viyana nüshası ise "W" harfleri ile gösterilmiştir.

¹⁰ İ. H. Danişmend, İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi, 3. cilt, İstanbul, 1961, s. 694; B. Kütükoğlu, age, s. X; F. Kırzioğlu, age, s. 399; A. Sırrı Levend, age, s. 89, 90; F. E. Karatay, Topkapı Sarayı Müzesi Kütüphanesi, Türkçe Yazmalar Kataloğu, 1. cilt, İstanbul, 1961, s. 233, 234.

Abubekr bin Abdullah

THE BOOK OF VICTORIES

SUMMARY

